საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მარტი ორშაბათი 2012

№071(13677) ფასი 80 თეთრი



თორნიკე შენგელიას გაბზარული ტერფის სამკურნალოდ სამი თვე დასჭირდა. მან ბელგიის ჩემპიონატში დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა.

20 წლის ქართველმა თავდამსხმელმა „შარლერუას" შემადგენლობით „სტელა არტუასთან" მოედანზე 4 წუთი გაატარა და 2-2 მოხსნა-პასი მოაგროვა. მისმა გუნდმა სტუმრად 81:65 იმარჯვა.

↳12

# სამი თვის შემდეგ

# შენგელიამ და ზირაქაშვილმა ითამაშეს



დავით ზირაქაშვილი

↳13

# კობი დაბრუნდა, მაინცი აბრუნდა



ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ) მაინცთან



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

# ელიტაში გვინდა ტაში

დღეს 17-წლამდელები ესპანეთით იწყებენ

წინათქმა ↳2

# ზესტაფონი მეტალურგებისთვის უტეხი ფოლადი გამოდგა



გუშინ ქუთაისში. ტორპედო-დინამო 1:1

ფოტო: www.fcdinamo.ge

პრემიერლიგა ↳8

## STOK სიტი



## იუვემ ინტერი სუფთაზე დადო



სერია A ↳6

ბუნდესლიგა ↳7

## თხა თხაზე ნაკლებიო და ბორუსიამ თხები შეჭამა 6:1



ქართული ფეხბურთი

U17. ელიტრაუნდის წინათქმა

# ქართული ამბიცია სიქვდილის ჯგუფში

**დღეიდან** თბილისში ქართველ გულშემატკივარს ჩინებული სანახაობის ხილვა შეეძლება – "მიხეილ მესხსა" და "დინამო არენაზე" ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტრაუნდის მატჩები გაიმართება. ამ მნიშვნელოვანი ტურნირის შესახებ სისტემატურად ვწერდით, ელიტრაუნდის დაწყების დღეს კი ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებს წარმოგიდგენთ და მოკლედ მეტოქეებსაც გაგაცნობთ.

მანამდე კი თბილისური ელიტრაუნდის კალენდარს შეგახსენებთ:

**26 მარტი**

მ. მესხი. 14:00
**საქართველო-ესპანეთი**
არბიტრი: კრის რაიში (ლუქსემბურგი)

ეროვნული. 16:00
**ინგლისი-უკრაინა**
არბიტრი: მარკუს ჰამეტერი (ავსტრია)

**28 მარტი**

მ. მესხი. 14:00
**საქართველო-ინგლისი**
არბიტრი: კრის რაიში (ლუქსემბურგი)

ეროვნული. 16:00
**ესპანეთი-უკრაინა**
არბიტრი: ნიკოლაი იორდანოვი (ბულგარეთი)

**31 მარტი**

მ. მესხი. 14:00
**საქართველო-უკრაინა**
არბიტრი: მარკუს ჰამეტერი (ავსტრია)

ეროვნული. 16:00
**ესპანეთი-ინგლისი**
არბიტრი: ნიკოლაი იორდანოვი (ბულგარეთი)

შეგახსენებთ, ფინალურ ეტაპზე მასპინძელ სლოვენიასთან ერთად, მხოლოდ ელიტრაუნდის ჯგუფების გამარჯვებულები ითამაშებენ. ფინალური ეტაპი 4 მაისს დაიწყება და 16-ში დასრულდება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ **ვასილ მაისურაძის** გუნდმა პირველი ეტაპის შეხვედრები მოლდოვაში ჩაატარა – პირველ ტურში ბულგარეთს 3:2 სძლია, მერე მასპინძელ მოლდოვას 2:1 აჯობა, ბოლოს კი არაფრისმომცემი შეხვედრა შვედეთთან 0:2 დათმო.

*ახლა კი, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა*

**მეკარეები:**

**ალექსანდრე ადამია** (ოლიმპი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 2 მატჩი*

*ნაკრების ძირითადი მეკარეა. კარის ხაზზე დამაჯერებელია, მაგრამ დასახვეწი აქვს გამოსვლებზე თამაში. მწვრთნელთა აზრით, დაცვას უფრო აქტიურად უნდა უხელმძღვანელოს და კონცენტრაცია არ დაკარგოს.*

**ნიკოლოზ შერმადინი** (უკლუბო)

***პირველ ეტაპზე:** 1 მატჩი*

*სამწვრთნელო შტაბს მის მიმართაც იგივე შენიშვნები აქვს. ხაზზე კი ისიც მაღალ დონეზე თამაშობს.*

**მცველები**

**გიგა სამხარაძე** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*ფლანგის მცველი. კლუბში საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებს, მაგრამ სანაკრებო ექსპერიმენტმა გაამართლა და მაისურაძემ მისი სახით საიმედო მარცხენა მცველი იპოვა.*

**ნიკოლოზ ქანთურია** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 2 მატჩი, 1 გოლი*

*ცენტრალური მცველი. ასაკის მიუხედავად, აზრიანი და დაკვირვებული თამაშით გამოირჩევა. ამასთანავე, არც ძალისმიერ ორთაბრძოლებში შესვლას ერიდება.*

**ალექსანდრე გურეშიძე** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*ცენტრალური მცველი. ბოლო დროს მისი პროგრესი აშკარა გახდა, უპირველესად, ფიზიკური კონდიციები გაიუმჯობესა და ნაკრებშიც მოხვდა.*

**ლაშა დვალი** (ოლიმპი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი*

*ცენტრალური მცველი. ფიზიკურად და "მეორე სართულზე" ძლიერია, გასაუმჯობესებელი აქვს ტექნიკა.*

**გიორგი გოროზია** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი*

*ფლანგის მცველი. ადრე საყრდენი ნახევარმცველი იყო, პოზიციის შეცვლას იოლად შეეგუა და დაკისრებულ მოვალეობებს თავს დამაჯერებლად ართმევს.*

**ნახევარმცველები**

**გიორგი აბურჯანია** (ოლიმპი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 2 მატჩი*

*ცენტრალური ნახევარმცველი. გუნდის ლიდერი და კაპიტანია. თანაგუნდელებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვს. რამდენიმე მატჩი აქვს ჩატარებული აქვს რუსთავის "მეტალურგის" მთავარ გუნდში, გასულ ზაფხულს ევროტურნირებზეც ითამაშა.*



ვასილ მაისურაძეს და 17-წლამდელთა ნაკრებს დიდი გამოცდა ელით
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



**ქიაბერ ქექელაშვილი** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი, 2 გოლი*

*ცენტრალური ნახევარმცველი. პირველ შესარჩევ რაუნდში 2 გოლით ნაკრების ბომბარდირი გახდა. შეუძლია თამაშის რიტმის წარმართვა, "ბურთის დაჭერა" და შორეული დარტყმებიც კარგად გამოსდის. ნაკრების ვიცე-კაპიტანია, ყველა მატჩს შესაძლებლობების ზღვარზე ატარებს.*

**მათე ცინცაძე** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი*

*ცენტრალური ნახევარმცველი. აბურჯანიასა და ქექელაშვილთან ერთად ნახევარდაცვის ცენტრში მძლავრ ტრიოს ქმნის და იგივე დადებითი მხარეები აქვს, რაც ზემოთ ნახსენებ ორ ფეხბურთელს.*

**გიორგი პაპუნაშვილი** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი, 1 გოლი*

*შემტევი ნახევარმცველი. ტექნიკურია, შეუძლია თამაშის გამწვავება და მოედნის ხედვა და დარტყმაც კარგი აქვს. უკეთეს პოზიციაში მდგომ თანაგუნდელს პასს არ უგვიანებს.*

**ნიკოლოზ ახვლედიანი** (ბაია, ზუგდიდი)

***პირველ ეტაპზე:** 3 მატჩი, 1 გოლი*

*შემტევი ნახევარმცველი. შეუძლია სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, აქვს კარგი ტექნიკა და სისწრაფე. კარგად გამოსდის ნებისმიერი დისტანციიდან დარტყმა.*

**ოთარ კაკაბაძე** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 2 მატჩი*

*ფლანგის ნახევარმცველი. სტაბილური ფეხბურთელია, სწრაფია და ძლიერია ერთი-ერთზე ბრძოლისას. ბევრს მოძრაობს და პასიც ეხერხება.*

**არჩილ მესხი** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*ფლანგის ნახევარმცველი. ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში, ტექნიკურია და დრიბლინგითაც გამოირჩევა. ფიზიკური კონდიციები თუ აიმაღლა, კარგ ფეხბურთელად ჩამოყალიბდება.*

**თავდამსხმელები**

**დავით დარციმელია** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე:** 2 მატჩი*

*კლუბში ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებს, ნაკრებს კი შეტევაში დასჭირდა. მშრომელი და მონდომებულია, თუმცა შეტევის დასკვნით ფაზაში უნდა დაიხვეწოს.*

**ალექსანდრე მზევაშვილი** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდი ტრავმის გამო გაუცდა. სასურველ ფორმაში ჯერ არ არის, მაგრამ ნაკრების სამწვრთნელო შტაბს მისი შესაძლებლობების სჯერა და საელიტრაუნდოდ ამიტომაც უხმო.*

**დავით ჯიქია** (ლოკომოტივი, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*ნაკრებში ისიც ბოლო ხანს დამკვიდრდა და საერთაშორისო ტურნირებსა თუ საკონტროლო მატჩებში არაერთი გოლი გაიტანა.*

**ვანო ნილოსანი** (დინამო, თბილისი)

***პირველ ეტაპზე არ უთამაშია***

*შეტევა შეუძლია როგორც ცენტრიდან, ასევე ფლანგებიდან. ფიზიკურად ძლიერი და შრომისმოყვარეა.*

## ესპანეთი საუკეთესო ბომბარდირის გარეშე

ჯგუფის უდავო ფავორიტი ესპანეთია, თუმცა ბრძოლა ყველასთან შეიძლება. ამაში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გასული წლის ივნისშიც დაგვარწმუნა, როცა მაისურაძის გუნდმა ესპანელ 17-წლამდელებს ბაქოში გამართულ „კასპიის თასზე" ტოლი არ დაუდო და ფრედ, 1:1 ეთამაშა. ესპანელები ტურნირის ფინალში მხოლოდ გატანილ-მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით გავიდნენ.

ჩვენს წისქვილზე წყალს ის ფაქტიც დაასხამს, რომ ტრავმის გამო ესპანეთის ნაკრებს თბილისში საუკეთესო ბომბარდირი **სანდრო რამირესი** ვერ მოჰყვება. იგი ტრავმირებულია. ცნობისთვის, რამირესმა პირველი შესარჩევი ეტაპის სამ მატჩში 7 გოლი გაიტანა.

ესპანელებმა პირველ რაუნდში სამივე შეხვედრა მოიგეს – ჩერნოგორიასთან 2:1, მალტასთან 6:0 და პოლონეთთან 2:0.

ელიტრაუნდს სწორედ **სანტი დენიას** გუნდთან დაპირისპირებით ვიწყებთ და ბრძოლის გასაგრძელებლად მინიმუმ არნაგება გვჭირდება.

ესპანეთის ნაკრების თბილისური შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები: **რუბენ ვეიგა** („სელტა"), **ანდერ არმენდარისი** („ოსასუნა");

მცველები: **ალეხანდრო გრიმალდო** („ბარსელონა"), **ივან ხიმენესი** („რეალი" მადრიდი), **ხოსე ლუისი** („ვალენსია"), **ვიქტორ რამოსი** („მალაგა"), **რამონ გოსალბო** („ვილეარეალი"), **ხაიმე სანჩეს მუნიოსი** („კადისი"), **ექტორ მორუნო** („არსენალი", ინგლისი);

ნახევარმცველები: **სამპერ მონტანა** („ბარსელონა"), **ბორხა მარტინეს სანჩესი** („ატლეტიკო" მადრიდი), **ანტონიო პერესი** („სევილია"), **ივან რუის კალერო** („ატლეტიკო" მადრიდი), **ალვარო სანდოვალი** („სპორტინგი", ხიხონი), **ხოაკინ მორენო** („ალმერია"), **სამუელ ასუაგა** („მალაგა");

თავდამსხმელები: **ალეხანდრო გარსია „ალექსი"** („სპორტინგი", ხიხონი), **ხუან რუისი „ხუანხე"** („სევილია"), **დანიელ გაგო** („დეპორტივო", **ივან კალერო** („ატლეტიკო", მადრიდი)

მთავარი მწვრთნელი: **სანტი დენია**

## ინგლისს ვარსკვლავების შვილები დააკლდა

ტრავმების გამო ინგლისის ნაკრებს ორი ცნობილი საფეხბურთო გვარის წარმომადგენელი დააკლდება – **დევენტ კოული და დიეგო პოიეტი.** პირველი ინგლისელი ფორვარდის, **ენდი კოულის** ვაჟია, მეორე კი არანაკლებ ცნობილი ურუგვაელი ნახევარმცველის, **გუსტავო პოიეტის** შვილი გახლავთ.

ინგლისელთა თავკაცი **ჯონ პიკოკი** კი თბილისში ადრეც ყოფილა – 2010 წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოს დედაქალაქმა ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი რაუნდის ჯგუფს უმასპინძლა. მაშინ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა პიკოკის მიერ გაწვრთნილ ინგლისელებთან 1:1 ითამაშა.

ელიტრაუნდში ინგლისმაც 9 ქულით გაალწია. ბრიტანელებმა ლატვია 4:0 გაანადგურეს, ბოსნია 2:0 დაამარცხეს, ხოლო ჰოლანდიას მინიმალურად, 1:0 მოუგეს.

პიკოკის რჩეული 18 ფეხბურთელი:

მეკარეები: **ჯორჯ უილისი** („შეფილდ იუნაიტედი"), **ანგუს განი** („მანჩესტერ სიტი");

მცველები: **ჯოშ ვები** („ასტონ ვილა"), **ლუკ შოუ** („საუთჰემპტონი"), **ლეო ჩემბერსი** („ვესტ ჰემი"), **ისააკ ჰეიდენი** („არსენალი"), **რაიან ინისი** („კრისტალ პალასი"), **ალისტერ გორდონი** („ჩელსი");

ნახევარმცველები: **კირონ უოლასი** („ნოტინგემ ფორესტი"), **კალუმ ჩემბერსი** („საუთჰემპტონი"), **ჯონ სვიფტი** („ჩელსი"), **ჯეკ ჯები** („არსენალი"), **ჯორდან გრემი** („ასტონ ვილა"), **ლუკ ვუდლენდი** („ბოლტონი");

თავდამსხმელები: **მეისონ ბენეტი** („დერბი ქაუნთი"), **ჩუბა აკპომი** („არსენალი"), **უილ ჰაგისი** („დერბი ქაუნთი"), **კალუმ რობინსონი** („ასტონ ვილა").

მთავარი მწვრთნელი: **ჯონ პიკოკი**

## უკრაინას ძველი ნაცნობია

უკრაინის 17-წლამდელთა ნაკრებთან ქართველებმა რამდენიმე თვის წინ, მინსკის საერთაშორისო ტურნირის ფინალში ითამაშეს და დამარცხდნენ. 2:0 ბელგიასთან, 0:1 ხორვატიასთან და 0:0 აზერბაიჯანთან – ასე მძიმედ გავიდნენ უკრაინელები ელიტრაუნდში.

სათბილისოდ უკრაინის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ეს შემადგენლობა შეარჩია:

მეკარეები: **ბოგდარ სარნავსკი** („არსენალი", კიევი), **იაროსლავ სტავიცკი** („შახტარი", დონეცკი);

მცველები: **მიკიტა ბურდა** („დინამო", კიევი), **ტარას კაჩარაბა** ("ლვოვი"), **ვიაჩესლავ ლუხტანოვი** („დინამო", კიევი), **პავლო პოლეენკო** („დინამო", კიევი), **ედუარდ სობოლი** („დინამო", კიევი), **იური ტკაჩუკი** („მეტალისტი", ხარკოვი), **რომან იარემჩუკი** („დინამო", კიევი);

ნახევარმცველები: **არტემ გაბელოკი** („შახტარი", დონეცკი), **იგორ ხარატინი** („დინამო", კიევი), **რომან ლაზაროვიჩი** ("ვოლინი"), **ვიაჩესლავ ტანკოვსკი** („შახტარი", დონეცკი), **იური იასტრუბი** ("ლვოვი");

თავდამსხმელები: **დმიტრო ბილონოგი** („შახტარი", დონეცკი), **არტურ მირანიანი** („შახტარი", დონეცკი), **არტემ რადჩენკო** („მეტალისტი", ხარკოვი), **ტარას ზავისკი** („კარპატი", ლვოვი), **მაქსიმ ტიშჩენკო** („დინამო", კიევი), **მიკიტა ვეტროვი** („მეტალურგი", ზაპოროჟიე).

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

## პლეი ოფი (1-8 ადგილები)

25.03. ქუთაისი. ტორპედო. 11 000 მაყურებელი

ტორპედო 1

დინამო 1

1:0 გოცირიძე (42), 1:1 თომაშვილი (65)

| ტორპედო 4-2-3-1 | დინამო 4-3-3 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ლორია |
| რიგვავა | ტვილდიანი |
| კვახაძე | კვეკვესკირი |
| გამეზარდაშვილი | თომაშვილი |
| გურული | რეხვიაშვილი |
| გ.დათუნაიშვილი | ხმალაძე |
| დილმელაშვილი | ძარია |
| დოლიძე | მერებაშვილი |
| კუხიანიძე | კოტო |
| საბანაძე | ჩისკო |
| გოცირიძე | გოგუა |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| გ. გეგუჩაძე | გ. დევდარიანი |

**ტორპედო**

69. დოლიძე- **ოსელიანი**
71. კუხიანიძე- **ვ.ბოლქვაძე**
79. დილმელაშვილი- **ფირცხალავა**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, დ.ჯანელიძე, ფანცულაია*

**დინამო**

19. მერებაშვილი- **ალვარო**
37. ალვარო- **ჯილაური**
82. კოტო- **ფოცხვერია**

*სათადარიგოები: ხეფიაშვილი, პაპავა, ანდრეუ, კოშკაძე*

გაფრთხილება: რიგვავა (14), გოცირიძე (21), კოტო (29), დილმელაშვილი (34), გურული (63)

არბიტრი: ლ.სილაგავა

# კლასიკური კლასიკო

დიდთოვლობამ ჩაიარა და ქუთაისში ერთთვიანი პაუზის შემდეგ დიდი ფეხბურთი დაბრუნდა. თანაც, არც მეტი არც ნაკლები, თბილისის „დინამოსთან" მატჩით, რომელსაც იმერეთის ცენტრში ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესითა და მობილიზებით ხვდებიან. ამ მხრივ 50-ე საიუბილეო (საქართველოს ჩემპიონატში) ქართული კლასიკოც არ ყოფილა გამონაკლისი. ქუთაისური გუნდის ხელმძღვანელობამ მატჩისადმი გულშემატკივართა დიდი ინტერესი გაითვალისწინა და კლასიკოზე დასწრება უფასო გამოაცხადა. ყოველივე ამას კარგი ამინდიც თან დაერთო და საყვარელი გუნდის საქომაგოდ სტადიონზე 11 000-მდე გულშემატკივარი მივიდა. შეხვედრამ მოლოდინი გაამართლა. სუპერკლასიკოს არ აკლდა დაძაბულობა, ემოციები, ტემპი, ლამაზი ეპიზოდები და, რაც მთავარია, გატანილი გოლები.

შეხვედრა „ტორპედომ" უფრო აქტიურად დაიწყო. განსაკუთრებით ქუთაისელთა მარცხენა ფრთა აქტიურობდა, სადაც ძალიან ნაყოფიერად ირჯებოდა **გიორგი გურული**. აშკარა იყო, რომ **გია გეგუჩაძეს** სწრაფი გოლი ჰქონდა ჩაფიქრებული. ქუთათურები მიზანთანაც ახლოს იყვნენ, **რევაზ გოცირიძეს** პირველივე წუთზე შეეძლო სტუმრების დამწუხრება, მაგრამ მახვილი კუთხიდან ზუსტად ვერ დაარტყა. ცოტა ხანში **კი დათა რიგვავას** კარგი გადაცემით **ნიკა საბანაძემ** ვერ ისარგებლა. თბილისელები გაცილებით ფრთხილად ირჯებოდნენ, თითქოსდა უფრო მეტოქის შეცდომებზე იყვნენ ჩასაფრებული, თუმცა ტორპედოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დაცვაში დიდი ყურადღებითა და თავდადებით თამაშობდნენ და მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ. მატჩის დებიუტშივე „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი **გიორგი მერებაშვილი** დაუშავდა, რომელიც **გიორგი დევდარიანმა ალვაროთი** ჩაანაცვლა, თუმცა შემდეგ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ესპანელი ნახევარმცველი 18 წუთში **ჯაბა ჯილაურით** შეცვალა. როგორც დინამოელთა თავკაცმა მატჩის შემდეგ გვითხრა, ალვაროს მისთვის თავადვე უთხოვია შეცვლა. პირველ ტაიმში ქუთაისელები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და გოლსაც ნელ-ნელა „ამწიფებდნენ". მართალია, ერთ ეპიზოდში **დავით დილმელაშვილს** არ გაუმართლა და თითქმის ცარიელ კარს ააცილა ბურთი, მაგრამ მასპინძელთა მონდომებამ შედეგი მაინც გამოიღო. ტაიმის მიწურულს **გრიგოლ დოლიძის** ჯარიმის შემდეგ მცველებიდან გამოვარდნილ ბურთთან პირველი რევაზ გოცირიძე გაჩნდა და **გიორგი ლორიას** შანსი არ დაუტოვა.

„დინამოს" შეხვედრის განახლებისთანავე შეეძლო გათანაბრება, **გოგიტა გოგუა**, რომელიც პირველ ტაიმშიც აქტიური იყო, მცველებს გაექცა და კარშიც ძლიერად დაარტყა, მაგრამ **ომარ მიგინეიშვილმა** იყოჩაღა და რთული ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი **კოტომ** ააცილა. საერთოდაც, მეორე ტაიმში თბილისური კლუბი გაცილებით აქტიურად გამოიყურებოდა და მწვავედაც უტევდა. გოგუამ მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა, "მეორე სუნქვა" გაეხსნა და ტორპედოელებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა. ამასობაში „დინამოს" აქტიურმა გულშემატკივრებმა თითქოსდა მათი გუნდის წარმატება იწინასწარმეტყველეს, ტრიბუნაზე პეტარდები დაანთეს და ანგარიშიც მალევე გათანაბრდა. დინამოელებმა ჯარიმა გაითამაშეს, **ნიკა კვეკვესკირის** ჩაწოდების შემდეგ მცველებმა ბურთი ვერ გამოიტანეს და ის კარის წინ უყურადღებოდ დარჩენილ **გულვერდ თომაშვილს** მიუვიდა, რომელსაც ახლო მანძილიდან არ გასჭირვებია გატანა. თბილისელთა გოლამდე გოცირიძემაც შეარხია სტუმართა კარის ბადე, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა, რამაც ადგილობრივი გულშემატკივრების „გაცეცხლება" გამოიწვია. გოლმა თბილისელებს „ფრთები შეასხა", დინამოელებმა კიდევ ერთი უალრესად სახიფათო ეპიზოდი შექმნეს, თუმცა **ჩისკოს** სიზუსტე დააკლდა. ფრეს არც ერთი გუნდი არ ეგუებოდა და შეხვედრა ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. გეგუჩაძემ თამაშში **იოსელიანი, ბოლქვაძე** და **ფირცხალავა** ჩართო, რომლებმაც გუნდს ახალი ენერგია შესძინეს. განსაკუთრებით გივი იოსელიანის რეიდები გამოსარჩევი. ერთ ეპიზოდში კი მის ჩაწოდებას ნიკა ფირცხალავას სახიფათო თავური დარტყმა მოჰყვა, რომელიც სულ ოდნავ ასცდა ლორიას კარს. მატჩის მიწურულს კი „ტორპედო" თავად გადაურჩა გოლს. თომაშვილის ჩაწოდების შემდეგ ჯილაური ახლოდან თავით ურტყამდა და ქუთაისელთა საბედნიეროდ ბურთი პირდაპირ მიგინეიშვილისკენ წავიდა. აქვე უნდა, ვთქვათ, რომ გუშინ „დინამოს" რიგებში უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა **ვახტანგ ფოცხვერიას**, რომელიც გიორგი დევდარიანმა საპასუხისმგებლო და ემოციებით დატვირთულ ბოლო ათი წუთი ათამაშა და ახალგაზრდა ფეხბურთელს „ამინდი" ნამდვილად არ გაუფუჭებია. საბოლოოდ, გუნდების დიდი მცდელობისა და აქტიურობის მიუხედავად ანგარიში აღარ შეცვლილა და ქართულ კლასიკოში საბრძოლო ფრე დაფიქსირდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

25.03. ზუგდიდი. [illegible] 400 მაყურებელი

ბაია 2

მერანი 1

0:1 ე. გრიგალაშვილი (63), 1:1 კუტალია (75), 2:1 სიხარულია (78)

| ბაია 4-5-1 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| სომხიშვილი | შეროზია |
| გ. ქვარცხავა | გეგეჭკორი |
| აფაქიძე | ჭვანია |
| გამრეკლიძე | იოგაშვილი |
| აკობია | კიკალიშვილი |
| ნ. შონია | დიდავა |
| ზ. ქვარცხავა | ვართაგავა |
| შ. ლომია | ე. გრიგალაშვილი |
| სიხარულია | ტორონჯაძე |
| ეხვაია | ტორაძე |
| გაგედავა | სუხიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ტყეგუჩავა | მ. ჭვანია |

**ბაია**

58. შ. ლომია – **კუტალია**
80. შონია – **ტყემალაძე**
80. ეხვაია – **ენდელაძე**

*სათადარიგოები: მაქაცარია, აქუბარდია, ტყებუჩავა, ფარჯიკია*

**მერანი**

46. ვართაგავა – **ფონიავა**
46. ტორაძე – **ტაპე**
74. ტორონჯაძე – **ჩალაძე**

*სათადარიგოები: შენგელია, ამბროლაძე, ბოხუა, კაკულია*

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

25.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 2500 მაყურებელი

ზესტაფონი 2

მეტალურგი 1

1:0 დვალი (5. გრიგალაშვილის პასით), 1:1 სიხარულიძე (29. მაისურაძის პასით), 2:1 ონიანი (37. აფციაურის პასით)

| ზესტაფონი 4-4-2 | მეტალურგი 4-2-3-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ბედიაშვილი |
| ლონდაძე | გავაშელიშვილი |
| გ. ონიანი | კვარაცხელია |
| საჯაია | მახვილაძე |
| ელიავა | ს. თოდუა |
| გორგიაშვილი | ქავთარაძე |
| აფციაური | რაზმაძე |
| მენთეშაშვილი | თექთურმანიძე |
| შ. გრიგალაშვილი | ი. მაისურაძე |
| დ. მუჯირი | ჯაფარიძე |
| დვალი | სიხარულიძე |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| გ.ჭიაბრიშვილი | კ.ჟორჟიკაშვილი |

**ზესტაფონი**

52. აფციაური - **შარიქაძე**
60. მუჯირი - **რაჭამაშვილი**
79. გორგიაშვილი - **ბერაია**

სათადარიგოები: მამალაძე, კობახიძე, წინამძღვრიშვილი, ხიდეშელი

**მეტალურგი**

61. ქავთარაძე - **ტატანაშვილი**
61. ჯაფარიძე - **გენაძე**
74. მახვილაძე - **გ. სეთურიძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, დობროვოლსკი, ხოხონიშვილი, ექვთიმიშვილი*

გაფრთხილება: კვარაცხელია (2), მენთეშაშვილი (24), თექთურმანიძე (68)

არბიტრი: ლ.კვარაცხელია

# საჩემპიონო ნაბიჯი



ფოტო: www.fczestafoni.ge

მატჩის დღეს ზესტაფონში დილიდან წვიმდა, მაგრამ თამაშის დაწყებამდე მზემ გამოანათა და, რომ იტყვიან, ნამდვილი საფეხბურთო ამინდი შეიქმნა. სამიოდე დღის წინ „დინამოსთან" ბრძოლაგადატანილმა ზესტაფონელებმა მატჩი ძალიან აქტიურად დაიწყეს. მათ პირველსავე წუთზე შეეძლოთ გატანა. ჯარიმიდან **შოთა გრიგალაშვილის** ჩაწოდებულ ბურთს **საჯაიამ** მეტოქის საჯარიმოში ფეხი შეაგება და რუსთაველები მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილის** კარგმა თამაშმა იხსნა. **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებმა მასპინძელთა საწყის შტურმს კიდევ ოთხი წუთი გაუძლეს, შემდეგ კი მცველების უხეში შეცდომის გამო დაისაჯნენ. გრიგალაშვილმა **ჯაბა დვალი** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და ზესტაფონელთა ენერგიულ ფორვარდს რუსთაველთა დამწუხრება არ გასჭირვებია. დვალი გრიგალაშვილთან ერთად ძალიან აქტიური იყო და მცველებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა. ყურადღების ცენტრში ხშირად ხვდებოდა **თორნიკე გორგიაშვილიც**, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდა, მას გოლის გატანის შესანიშნავი შანსი მიეცა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ვერ მოათავსა ბურთი. ზესტაფონელთა საწყისი უპირატესობის შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა და მეტოქის კარისკენ რუსთაველებმაც „გაიხედეს". **როინ კვასხვაძის** მზადყოფნა **ირაკლი ამაისურაძემ** შეამოწმა, მის მიერ დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი ზესტაფონელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია. მომდევნო ეპიზოდში კვლავ მაისურაძემ იაქტიურა, მცველებს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ ოდნავ უზუსტოდ გამოუვიდა. ზესტაფონელთა დაცვა სუსტად გამოიყურებოდა, ფეროელები ერთმანეთის დაზღვევას ვერ ახერხებდნენ, ამით სტუმრებმა კარგად ისარგებლეს და მაისურაძის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **ირაკლი სიხარულიძემ** ახლო მანძილიდან ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრა „ზესტაფონის" მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა. ალსანიშნავია გრიგალაშვილი-მუჯირი-დვალის კარგი კომბინაცია, თუმცა ამ უკანასკნელს მცველებმა დაასწრეს და მდგომარეობა განმუხტეს. კომბინაციები, რომ არ გამოუვიდათ, ზესტაფონელებმა კურიოზულ სიტუაციაში შეძლეს გატანა. **თორნიკე აფციაურის** მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი შეტევაში ჩართულ **გიორგი ონიანს** ზურგზე მოხვდა, შემდეგ მეკარემაც ვერ შეიმაგრა და კარში ალმოჩნდა. ჟორჟიკაშვილის გუნდს მალევე შეეძლო გათანაბრება, ზესტაფონელთა დაცვის მორიგი ჩავარდნის შემდეგ მახვილი კუთხიდან **ლაშა ჯაფარიძე** გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა და ხარიხას გადააცილა.

მეორე ტაიმი პირველივით კარგი საცქერი ვერ გამოდგა. გუნდები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ აშკარა იყო, რომ ეს მათი საუკეთესო თამაში არ იყო. რუსთაველებს აქტიურობას ვერ დავუწუნებთ, ბევრსაც მოძრაობდნენ, მაგრამ მათ შეტევებს სიმწვავე აკლდა და ფეროელებს მათი წაკითხვა არ უჭირდათ. სამაგიეროდ თავად მასპინძლებს შეეძლოთ წინ წასული „მეტალურგის" დამწუხრება. სწრაფი კონტრშეტევისას გრიგალაშვილს კარგად გახსნილი **რაჭამაშვილისთვის** ოდნავ ზუსტი გადაცემა რომ გაეკეთებინა, სტუმრებს გოლისგან ალარაფერი იხსნიდა. ბოლო წუთზე კი დვალს ჰქონდა დუბლის გაკეთების შანსი, ბედიაშვილს კარი „დაკარგული" ჰქონდა, მაგრამ საჯარიმოს შიგნიდან მცველს გაარტყა ბურთი. "ზესტაფონმა" რთული, თუმცა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონობის შესანარჩუნებლად წინ დიდი ნაბიჯი გადადგა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 17 | 11 | 4 | 2 | 31 | 14 | 37 |
| 2 | მეტალურგი | 18 | 10 | 2 | 6 | 26 | 21 | 32 |
| 3 | დინამო | 17 | 7 | 5 | 5 | 31 | 24 | 26 |
| 4 | ტორპედო | 16 | 7 | 4 | 5 | 18 | 14 | 25 |
| 5 | ბაია | 17 | 5 | 5 | 7 | 14 | 21 | 20 |
| 6 | დილა | 17 | 4 | 5 | 8 | 17 | 19 | 17 |
| 7 | კოლხეთი | 17 | 3 | 7 | 7 | 9 | 20 | 16 |
| 8 | მერანი | 17 | 4 | 2 | 11 | 15 | 28 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 14 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |

25.03. ფოთი. ფაზისი. 300 მაყურებელი

კოლხეთი 0

დილა 0

| კოლხეთი 4-4-2 | დილა 4-2-3-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | სკენდერი |
| გ. კილასონია | ალადაშვილი |
| ბოიომო | ინწკირველი |
| ლომაშვილი | სალუქვაძე |
| გაბუნია | მეგრელიშვილი |
| ქებაძე | ბეჟვაია |
| პ. დათუნაიშვილი | არზიანი |
| გვალია | გურული |
| წურწუმია | ახალკაცი |
| პავლიაშვილი | რ. ჯიქია |
| ტულუში | ვანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. მახარაძე | თ. მახარაძე |

**კოლხეთი**

75. ქებაძე – **გოგონაია**
84. ბოიომო – **ცხვიტარია**
88. პავლიაშვილი – **დ. ფოფხაძე**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, სიჭინავა, წაბრია, ციცხვაია*

**დილა**

50. არზიანი – **კანდელაკი**
60. ჯიქია – **ხოჯავა**
73. კანდელაკი – **კახელიშვილი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, კაშია, ბარაბაძე*

გაფრთხილება: არზიანი (12), ლომაშვილი (33), პ. დათუნაიშვილი (56), ვანაძე (71)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**გამოტოვებული მატჩები**

**29 მარტი, პარასკევი**

დინამო-დილა
ზესტაფონი-ტორპედო
კოლხეთი-ბაია

**V ტური**

**2 აპრილი, ორშაბათი**

დინამო-კოლხეთი
მეტალურგი-ტორპედო
ბაია-ზესტაფონი
დილა-მერანი

## პლეი აუტი (9-16 ადგილები)

# ჩიხ-ურა: ვისთვის ჩიხი, ვისთვის ურა!

24.03. ოზურგეთი. მეგობრობა.
2 500 მაყურებელი

გურია **0**
ჩიხურა **2**

0:1 კირკიტაძე (40. კვასხვაძის პასით), 0:2 კირკიტაძე (83. ფიფიას პასით)

| გურია 4-4-2 | ჩიხურა 4-3-2-1 |
|---|---|
| ბუზუტეიშვილი | რ. თევდორაძე |
| ჩუენსუ | მურველაშვილი |
| ზ. ჩხეტიანი | გუშარაშვილი |
| ბაქრაძე | ზაბახიძე |
| ჯანგიძე | სალარიძე |
| ტ. კუკულაძე | ჭელიძე |
| მაისაშვილი | ძამსაშვილი |
| მოსიაშვილი | ფიფია |
| სამსეიშვილი | კირკიტაძე |
| კვერენჩხილაძე | ნ. კვასხვაძე |
| გ. თოდუა | მუმლაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. იმნაძე | ს. ფრუიძე |

**გურია**

46. ტ. კუკულაძე - **ჩარგეიშვილი**
52. თოდუა - **ალავერდაშვილი**
66. სამსეიშვილი - **რ. ონიანი**

*სათადარიგოები: გოგუაძე, რ. კუკულაძე, ლალაძე, შენირული*

**ჩიხურა**

12. გუშარაშვილი - **ბერიანიძე**
84. მურველაშვილი - **დეკანოიძე**
89. ფიფია - **ტუხაშვილი**

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ლ. ნოზაძე, ლილუაშვილი, ჩიკვაიძე*

გაფრთხილება: ძამსაშვილი (23), ჯანგიძე (75), ჩხეტიანი (84), კვერენჩხილაძე (90).
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ლანჩხუთიდან ოზურგეთში 1000-მდე (!) ქომაგი ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული გულშემატკივარი საჩხერიდანაც ჩამოვიდა და მთელი შეხვედრის მანძილზე ორივე კლუბის ფანების ქომაგობამ სტადიონზე ჩინებული ატმოსფერო შექმნა.

... პირველი ტაიმის შუაში იყო ეპიზოდი, რასაც შეეძლო „გურიის" სასარგებლოდ გადაეწყვიტა მატჩის ბედი — არასათამაშო სიტუაციაში **ზურაბ ძამსაშვილმა** არასპორტული საქციელი ჩაიდინა და ლანჩხუთელთა კამერუნელ ლეგიონერს, **არნო ჩუენსუს** ფეხი განზრახ ჩაარტყა. **თორნიკე გვანცელაძემ** ჩიხურელი მხოლოდ ყვითელი ბარათით დასაჯა. არბიტრს იმავე მობურთალის გაძევება ერთხელ კიდევ მართებდა, როცა უკვე საკუთარ საჯარიმოსთან ითამაშა უხეშად, მაგრამ რატომღაც ამჯერადაც დაინდო.

როგორც გამოჩნდა, ეს იყო გადამწყვეტი „გურიასთვის", რადგან რიცხობრივი თანაფარდობისას ლანჩხუთელებმა მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს. უკვე მთელი მეორე ტაიმის მანძილზე აშკარა იყო, „გურიას" ძალა აღარ ჰყოფნიდა ვითარების გამოსასწორებლად და მეტოქეს უფრო ინერციით უტევდა. **გიგლა იმნაძემ** შეცვლებითაც სცადა ვითარების გამოსწორება — მოედანზე ახალწვეული **გიორგი ალავერდაშვილიც** შეიყვანა. მატჩის გადარჩენის ცდაში „გურია" 83-ე წუთამდე იყო — ამ დროს კი დაცვის ხაზმა ბავშვური შეცდომა დაუშვა და **გოგი ფიფიამ** კირკიტაძეს დუბლი შეასრულებინა.

პირველი გოლიც თითქოს უწყინარ სიტუაციაში გაუშვეს „მასპინძლებმა" — **ნიკა კვასხვაძემ** ბოლომდე იბრძოლა, კარის ხაზიდან მეკარის ბაქნის წინ ჩააწოდა, სადაც მეკარესა და მცველს როგორღაც **დავით კირკიტაძემ** დაასწრო.

**მათე გურული**
ოზურგეთიდან

25.03. მცხეთა. მცხეთა პარკი.
300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **1**
სიონი **0**

1:0 გ. ჯანელიძე (25)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| რეჭია | გოგლიაშვილი |
| დ. ხურცილავა | ავსაჯანიშვილი |
| გოგიაშვილი | გ. ოქროპირიძე |
| კასრაძე | ქემოკლიძე |
| ღანიაშვილი | ჩიკვილაძე |
| ვასაძე | კაციტაძე |
| გურ. გურეშიძე | ჯოვჯუა |
| კორიფაძე | ისიანი |
| გ. ჯანელიძე | დ.ბოლქვაძე |
| ვაშაკიძე | ჭანკოტაძე |
| კუხალეიშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ.კოჭლაშვილი | ხ.ძასრაშვილი |

**ვიტ ჯორჯია**

46. ვაშაკიძე - **ჯულელი**
70. კუხალეიშვილი – **ლობჯანიძე**
80. ჯანელიძე - **დავლაშელიძე**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ჯაყელი, ტიელიძე, ზაქრაძე*

**სიონი**

58. კაციტაძე - **უგულავა**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ხიდეშელი, ნემსაძე, კობაური, გველესიანი, ქუცურუა*

გაფრთხილება: კაციტაძე (30), კუხალეიშვილი (350, ვასაძე (64), კასრაძე (85)
არბიტრი: გ.ვადაჭკორია

# ჯორჯიას ჯანი ჯანელიძეა

## სიონი უტევს და აგებს

ოდენ ერთი გოლი კი გავიდა, თუმცა თამაშს უინტერესო არ ეთქმოდა. "სიონმა" კარგად იბრძოლა და მცხეთიდან ქულის წამოღების შანსი ჰქონდა, "ვიტ ჯორჯიამ" კი ერთხელაც დაგვანახა, რომ ქვედა რვიანში საუკეთესოზე აქვს პრეტენზია.

ყველაფერი **გიორგი ჯანელიძის** ჩუბინობამ გადაწყვიტა, ვიტჯორჯიელთა კაპიტანი მოედანზე საუკეთესო იყო და გოლიც მისივე მონაგრებულ ჯარიმას მოჰყვა – ჩაწოდების შემდეგ გადმოვარდნილი ბურთი ჯანელიძეს მიუვიდა და ტექნიკური დარტყმით გადაგზავნა "სიონის" კარში.

არადა, გოლის გატანა მანამდე ბოლნისელებს მართებდათ. ჯერ იყო და **გიორგი ჭანკოტაძემ** იკისრა სოლო რეიდი, კარისკენაც დაარტყა, თუმცა მხოლოდ კუთხურს გამორჩა. შემდეგ **ზვიად მეტრეველს** ჰქონდა რიგიანი შანსი, მაგრამ დარტყმა **ჯინო რეჭიამ** მოიგერია.

ჯანელიძის გოლის შემდეგ მეტრეველმა ხელმეორედ სცადა ბედი, ვარდნაში უთავაზა ბურთს თავური და კარს ააცილა.

"სიონი" არ ცხრებოდა, **თენგიზ ჩიკვილაძემ** მარცხნიდან ჩააწოდა, **დავით ბოლქვაძემ** თავით დააგდო ბურთი და კარიდან 2-3 მეტრში მყოფმა მეტრეველმა ბურთს კარგად ვერ შეაგება ცაცია და მორიგი შანსი გაფლანგა.

"ვიტ ჯორჯიას" კი ანგარიშის გაზრდა შეეძლო – **ჯემალ გოგიაშვილმა** სიონელთა დაცვისა და მეკარის შეცდომით ისარგებლა, თუმცა მისი თავური ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს.

შესვენების შემდეგ ტერიტორიულ უპირატესობას "სიონი" დაეუფლა. ვერ გეტყვით, ეს ბოლნისელთა აქტიურობის ბრალი იყო, თუ უბრალოდ "ვიტ ჯორჯიამ" აირჩია დაცვითი ტაქტიკა, მაგრამ თამაში, ფაქტობრივად, მოედნის ცალ მხარეს მიდიოდა, "ვიტ ჯორჯია" კონტრშეტევებზე ელოდა შანსს.

აღნიშვნის ღირსია შეცვლაზე შესული **გიგა ჯულელის** ფლანგური გარღვევა, ვიტჯორჯიელმა ოციოდე მეტრი ირბინა ბურთით, დარტყმა კი არაზუსტი გამოუვიდა.

"სიონი" გამუდმებით უტევდა, თუმცა იერიშებს სიმწვავე აკლდა. შეიძლება ითქვას, რომ "სიონმა" მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შექმნა – ხელსაყრელი პოზიციიდან ჭანკოტაძემ მიზანი ვერ გაისწორა.

მასპინძლებს კონტრშეტევაზე შეეძლოთ სტუმრების გამოჭერა – **ელგუჯა ლობჯანიძის** პასით ჯულელს მიეცა საგოლე შესაძლებლობა, მაგრამ რატომღაც სუსტად დაარტყა და **მინდია ბობლიაშვილიც** იოლად დაეუფლა ბურთს.

შეხვედრის ბოლო წუთზე "სიონმა" ერთხელაც გაიბრძოლა, **ვილი ისიანის** ფლანგურ ჩაწოდებას მეტრეველმა მიაყოლა ღონიერი თავური – ბურთი კარიდან განზე წავიდა.

**დავით თავართქილაძე**
მცხეთა-თბილისი

25.03. ოზურგეთი. მეგობრობა.
2 000 მაყურებელი

მერცხალი **0**
ბათუმი **1**

0:1 ვ. თევდორაძე (77)

| მერცხალი 4-1-4-1 | ბათუმი 4-1-4-1 |
|---|---|
| გია გოგუა | მამინაშვილი |
| ზ. ტულუში | რამიშვილი |
| ქობულაძე | ხუხია |
| ხაჩიძე | კაჭკაჭიშვილი |
| ბაჯელიძე | ქორიძე |
| ზ. ვარდუაშვილი | ლობჟანიძე |
| ტაკიძე | ცნობილაძე |
| ტყეშელაშვილი | ა. მუჯირი |
| თ. ვარდუაშვილი | ნასუაშვილი |
| ათუაშვილი | ბერიძე |
| მეგრელაძე | ბაციკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ხ. ჩხატარაშვილი | ი. ნასუაშვილი |

**მერცხალი**

46. ათუაშვილი - **კალანდაძე**
46. ზ. ვარდუაშვილი - **ლორია**
67. მეგრელაძე - **ს. ჩიგოგიძე**

*სათადარიგოები: ხურციძე, ვაშაკიძე, ჩხატარაშვილი, მურუსიძე*

**ბათუმი**

46. ნასუაშვილი - **ვ. თევდორაძე**
52. ბერიძე - **დიასამიძე**
65. რამიშვილი - **ჯორბენაძე**

*სათადარიგოები: მ.ალავიძე, მაკარიანი, აბუსელიძე, თოდაძე*

გაფრთხილება: ხაჩიძე (3), რამიშვილი (45), ლობჟანიძე (47), ქობულაძე (63), მუჯირი (53, 68), ვ. თევდორაძე (78)
გაძევება: მუჯირი (68), ბერიძე (78)
არბიტრი: გ. დოგრაშვილი

# ბათუმური ესკიზები

## მუმუს ნერვები ვალერიანის წვეთებით განკურნეს!

ეს უქმეები გურული კლუბებისთვის უიღბლო გამოდგა. წინადღეს „გურიის" წაგების შემდეგ საკუთარი მაყურებლის წინაშე მარცხი „მერცხალმაც" განიცადა. არადა, ოზურგეთელებს გვარიანი შანსი მიეცათ, გოლგაუტანელი და მოუგებელი სერია შეეწყვიტათ. მატჩის მიმდინარეობა კი იმას მაინც მოასწავებდა, გურულები პირველ ქულასთან ძალიან ახლოს რომ იყვნენ.

ეს მას შემდეგ, რაც სტუმართა ერთ-ერთმა ლიდერმა, **ამირან მუჯირმა** 15 წუთიან მონაკვეთში ორჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი, ორჯერვე სამართლიანად და უნდა ითქვას, უწყინარ სიტუაციაში: „მუმუმ" ჯერ ნერვები ვერ მოთოკა და მისი გუნდის კართან ჯარიმის დანიშვნისას მსაჯთან გვარიანად იდავა, მეორედ კი — ჯარიმას უკვე თავად ასრულებდა, როცა არბიტრს დაჟინებით მოსთხოვა 9-მეტრიანი დისტანციის დაცვა, მან კი სასტვენამდე შეიყვანა ბურთი თამაშში.

მართალია, სტუმრები უპირატესობას მანამდეც ფლობდნენ, მაგრამ მასპინძლები თავს ორგანიზებულად და შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ იცავდნენ. გურულთა თავკაცის გათვლა გამართლებული და კარგად მისახვედრი იყო — **ხარიტონ ჩხატარაშვილი** საიმედო დაცვისა და წინ **გიორგი მეგრელაძის** იმედზე იყო.

თითქოს კაცნაკლულ ბათუმელებს კიდევ უფრო უნდა გასჭირვებოდათ მასპინძელთა კარის დალაშქვრა და უფრო მეტი ყურადღება დაცვაზე უნდა გადაეტანათ, მაგრამ ასე არ მოიქცნენ და უნდა ითქვას, მათმა ქმედებამ გაამართლა — 10 კაცით დარჩენილებმა უკეთაც კი ითამაშეს და მატჩის მოგებაც მოახერხეს. აშკარად გაუმართლა შეცვლებში სტუმართა თავკაცს — გოლი სწორედ შეცვლაძე შესულმა **ვალერიან თევდორაძემ** გაიტანა. მან კარგად ისარგებლა მასპინძელთა დაცვის მიუტევებელი შეცდომით და საჯარიმოში დაუცველად დარჩენილმა „მერცხალის" მეკარე უშანსოდ დატოვა.

ეს 77-ე წუთზე მოხდა, მანამდე წამებით ადრე კი გურულთა ვეტერანმა მეკარე **გია გოგუამ** ასევე შეცვლაზე შესული **მიხეილ ჯორბენაძის** ახლოდან დარტყმული სასწაულებრივ უკუაგდო. ორჯერ ბათუმელებმა კარის ძელს მოარტყეს, რამდენჯერმე კი საიმედოდ „მერცხალის" მეკარე გაისარჯა.

რაც შეეხებათ მასპინძლებს, მათ ყველაზე რეალური შანსი 72-ე წუთზე მიეცათ, როცა ბურთის მოგერიებისას შეცდა „დინამოს" მეკარე **შოთა მამინაშვილი**, თუმცა შექმნილ არეულობაში ოზურგეთელებმა ორჯერ ვერ იხეირეს — პირველად ბურთის მეკარისთვის თავზე გადაგდებას რომ ლამობდნენ და მეორედ, როცა უკვე კარისკენ ურტყამდნენ.

დასასრულ, მეორე წითელი ბარათის შესახებაც გეტყვით: **თორნიკე ბერიძე** არბიტრმა მეოთხე მსაჯის რეკომენდაციით სათადარიგოთა მოედნიდან მაშინ გააძევა, როცა შეცვლილი იყო: როგორც გაირკვა, გოლის გატანისას მსაჯებს მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

**მათე გურული**
ოზურგეთიდან

**პლეი აუტი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4 | 0 | 10 |
| 2 | სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 3 | გაგრა | 4 | 1 | 2 | 1 | 5 | 4 | 5 |
| 4 | გურია | 4 | 1 | 2 | 1 | 7 | 8 | 5 |
| 5 | ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 4 |
| 6 | დინამო (ბთ) | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 7 | სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 5 | 5 | 3 |
| 8 | მერცხალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | 4 | 0 |

**გამოტოვებული მატჩები**
**29 მარტი, პარასკევი**
მერცხალი-ჩიხურა
ბათუმი-სიონი

**V ტური**
**2 აპრილი, ორშაბათი**
გაგრა-მერცხალი
სიონი-სპარტაკი
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია
ბათუმი-გურია

25.03. თბილისი. ბენდელა.
100 მაყურებელი

სპარტაკი **2**
გაგრა **1**

1:0 შარაშენიძე (49.მელქაძის პასით), 1:1 ტყეშელაშვილი (57), 2:1 მელქაძე (61.ჭაფოძის პასით)

| სპარტაკი (4-2-3-1) | გაგრა (4-4-2) |
|---|---|
| ნადირაძე | ბეგაშვილი |
| ჭაფოძე | ხუციძე |
| მაჭავარიანი | ტყეშელაშვილი |
| ლომაია | კალანდაძე |
| ორბელაძე | ნ.ჯიშკარიანი |
| ნ.მაისურაძე | ყიფიანი |
| ჩივაძე | ყურულაშვილი |
| შარაშენიძე | ზვიადაძე |
| ლ.მელქაძე | კობერიძე |
| ჩაფიძე | კვანტალიანი |
| გაბაშვილი | ჯერემია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ვ. ხაჩიძე | ზ. ჯელაძე |

**სპარტაკი**

46. ორბელაძე - **სამხარაძე**
78. ჩაფიძე - **თუხარელი**
90. გაბაშვილი - **გ. გურეშიძე**

*სათადარიგოები: ძაგანია, მერეჩკო, ტეტუნაშვილი, თ.შონია*

**გაგრა**

55. ყიფიანი - **სარდალიშვილი**
65. ზვიადაძე - **ხოჯაშვილი**
72. კვანტალიანი - **როსტიაშვილი**

*სათადარიგოები: მაღრაძე, ნარმანია, ფალავანდიშვილი, სეთურიძე*

გაფრთხილება: ჭაფოძე (5), გაბაშვილი (19), კობერიძე (50), კობერიძე (51), ტყეშელაშვილი (60), ლომაია (64), სარდალიშვილი (82), ჩივაძე (89), სამხარაძე (90+3)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# სანახაობა და გოლები

მატჩის საწყის წუთებში რამდენიმე სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს: **ლევან ყიფიანის** გადაცემის შემდეგ **შალვა კვანტალიანმა** სცადა ფონს გასვლა, თუმცა მეკარე ადგილზე დაუხვდა მის დარტყმულს. სამიოდე წუთში იმავე კვანტალიანის გამჭოლი გადაცემას არავის გამოეხმაურა, არადა ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა კარს. ცოტა ხანში **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდების ჯერიც დადგა, ყველაზე დიდ პრობლემებს მეტოქეს გამოცდილი **ლევან მელქაძე** და ახალგაზრდა **კონსტანტინე გაბაშვილი** უქმნიდნენ. მშვენივრად გამოიყურებოდა **ნოდარ მაჭავარიანიც**, რომელიც ხშირად ერთვებოდა შეტევებში. ერთ-ერთ ეპიზოდში მან საჯარიმოს მისადგომებიდან ყუმბარისებურად გაისროლა, თუმცა **გიორგი ბეგაშვილმა** კვლავ იყოჩაღა.

ამის შემდეგ იყო საკამათო მომენტიც, როდესაც **მიხეილ კობერიძემ** ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მცველი, თუმცა წაიქცა. სტუმართა გულშემატკივრები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ **კრიჭაშვილმა** წესების დარღვევა არ დააფიქსირა. სტუმრებმა მალე კიდევ ერთი ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან: კობერიძის სახიფათოდ ჩამოწოდებულ კუთხურს „სპარტაკის" მცველმა **სერგი ორბელაძემ** შეუცვალა ბურთს მიმართულება, მაგრამ მასპინძლები მეკარემ გადაარჩინა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა პირველივე შეტევა გოლად აქციეს: სპარტაკელთაგან გამორჩეულმა **ლევან მელქაძემ** შესანიშნავი გადაცემა გაუკეთა **თემურ შარაშენიძეს**, რომელმაც მახვილი კუთხიდან ბურთი თავზე გადაუგდო მეკარე ბეგაშვილს.

57-ე წუთზე გაგრელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს: მოწინააღმდეგის კარისკენ დანიშნული საჯარიმო დარტყმა **გიორგი ტყეშელაშვილმა** შეასრულა უნაკლოდ—1:1. ამას მასპინძლები სულაც არ გაუტეხია, განსაკუთრებულად გამორჩეული იყო მელქაძე, რომელმაც 61-ე წუთზე კუთხურიდან შექმნილ არეულობით ჩინებულად ისარგებლა და ახლო მანძილიდან "თავისი" გოლიც გაიტანა. ამით მან თავის გუნდს ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო გამარჯვება მოუპოვა.

**ბესიკ გვაზავა**

ლეგიონის უქმეები

# კობიაშვილი: ექვსი ნაბიჯი რეკორდამდე



კახა კალაძე

უახლოესი კვირების განმავლობაში ლეგიონის უქმეების ერთ-ერთი უმთავრესი თემა **ლევან კობიაშვილის** სარეკორდო შანსი იქნება და რაკი ამ შაბათ-კვირას ღირსშესანიშნავი ბევრი არაფერი მომხდარა, თქვენს ყურადღებას სწორედ ამ უაღრესად საინტერესო ფაქტზე შევაჩერებთ. შეგახსენებთ, ვეტერან ქართველს რეალური შესაძლებლობა აქვს, სულ მალე გერმანიის რეკორდსმენი გახდეს პირველ ბუნდესლიგაში ლეგიონერთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობით. დღეისთვის კობიაშვილის ანგარიშზე 331 შეხვედრაა, რითაც მან ბოსნიელ **სერგეი ბარბარესს** გადაუსწრო. ერთპიროვნულ ლიდერს, ბრაზილიელ **ზე რობერტოს** კი ბუნდესლიგაში 336 მატჩი ჩაუტარებია. შესაბამისად, ლევანს მისი რეკორდის დამხობა ამ სეზონშივე შეუძლია.

კობიაშვილმა ბუნდესლიგის წინა ტურში მიუნხენის "ბაიერნთან" დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა, შაბათს კი "ჰერტას" კაპიტნის რანგში დაუბრუნდა. ბერლინელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და იმის მიუხედავად, რომ ჯერაც გასავარდნ ზონაში არიან, ელიტაში დარჩენის არცთუ ურიგო შანსს ინარჩუნებენ.

სხვა მხრივ კი ქართველი ლეგიონერებისთვის გასული უქმეები დიდად გამორჩეული ვერ გამოდგა. სასიამოვნოა **სანდრო კობახიძის, გიორგი ბერიაშვილისა** და **ნუგზარ კვირტიას** გოლები, უსიამოვნო კი – **დავით სირაძისა** და **უჩა ლობჟანიძის** გაძევებები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| ფეხბურთელი | გუნდი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზონი |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ჰერტა | მაინცი | 3:1 გ | 90 წუთი | 26 თ, 1 გ |
| ლევან ყენია | შალკე | ბაიერი | 2:0 შ | არ უთამაშია | 0 თ |
| II ბუნდესლიგა. XXVII ტური | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ფიურტი | 0:3 გ | 90 წუთი, გაფრთხ. | 25 თ, 8 გ |
| ნიკოლოზ გელაშვილი | ბოხუმი | ინგოლშტადტი | 0:1 შ | 71 წუთი, შეცვალეს | 8 თ, 1 გ |
| იტალია. სერია ა. XXIX ტური | | | | | |
| კახა კალაძე | ჯენოა | ფიორენტინა | 2:2 შ | 90 წუთი | 20 თ |
| სერია ბ. XXXII ტური | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | სასუოლო | 0:1 გ | 14 წუთი, შეცვლაზე | 18 თ, 1 გ |
| ირაკლი შეყილაძე | ემპოლი | სასუოლო | 0:1 გ | არ უთამაშია | 1 თ |
| საფრანგეთი. ლიგა 2. XXIX ტური | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | ლე მანი | ბულონი | 0:2 გ | 90 წუთი | 23 თ |
| ამირან სანაია | ბასტია | არლი | 0:0 გ | არ უთამაშია | 4 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XXXVI ტური | | | | | |
| ჯანო ანანიძე | სპარტაკი მ. | დინამო | 3:1 გ | არ უთამაშია, სათად. | 11 თ, 1 გ |
| საბა კვირკველია | რუბინი | ზენიტი | 1:1 გ | არ უთამაშია, სათად. | 6 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | კრასნოდარი | ამკარი | 0:1 შ | 90 წუთი | 29 თ |
| ალექს. ამისულაშვილი | კრასნოდარი | ამკარი | 0:1 შ | 90 წუთი, გაფრ. | 29 თ, 1 გ |
| ოთარ მარცვალაძე | კრასნოდარი | ამკარი | 0:1 შ | 45 წუთი, შეცვალეს | 29 თ, 6 გ |
| ლევან გვაზავა | ტერეკი | ვოლგა | შ | დღეს | 22 თ |
| გია გრიგალავა | ვოლგა | ტერეკი | გ | | 23 თ |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ. | როსტოვი | 1:2 გ | 80 წუთი, გაძევება | 27 თ, 2 გ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. XXIV ტური | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | კრივბასი | ტავრია | 0:3 შ | 90 წუთი, გაფრ, გაძევ. | 19 თ |
| ჯაბა კანკავა | კრივბასი | ტავრია | 0:3 შ | 71 წუთი, შეცვალეს | 17 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | არსენალი | მეტალისტი | 4:2 შ | 90 წთ, გოლი, გაფრთ. | 17 თ, 3 გ |
| დავით თარგამაძე | ილიჩივეცი | დინამო კ. | 0:1 შ | 90 წუთი | 20 თ, 4 გ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | ილიჩივეცი | დინამო კ. | 0:1 შ | არ უთამაშია | 6 თ |
| მურთაზ დაუშვილი | კარპატი | ოლექსანდრია | 1:1 შ | 90 წუთი | 4 თ |
| ჯაბა ლიპარტია | ზორია | დნიპრო | 1:3 გ | 57 წუთი, შეცვალეს | 21 თ, 1 გ |
| პოლანდია. ერედივიზიე. XXVII ტური | | | | | |
| გურამ კაშია | ვიტესი | როდა | 1:3 გ | 90 წუთი | 25 თ, 2 გ |
| გიორგი ჭანტურია | ვიტესი | როდა | 1:3 გ | 12 წუთი, შეცვლაზე | 20 თ, 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | ვიტესი | როდა | 1:3 გ | არ უთამაშია | 3 თ, 1 გ |
| საბერძნეთი. სუპერლიგა. XXVI ტური | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ერგოტელისი | იანინა | 1:1 გ | 90 წუთი | 21 თ, 1 გ |
| თურქეთი. სუპერლიგა. XXXII ტური | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ქაისერისპორი | ქარაბუქსპორი | 0:1 გ | 90 წუთი | 27 თ, 1 გ |
| აკაკი ხუბუტია | სამსუნსპორი | მერსინი | 2:0 შ | 90 წუთი | 17 თ, 1 გ |
| შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXI ტური | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ბელინცონა | ლოკარნო | 2:0 შ | არ უთამაშია | 15 თ, 3 გ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. XXVII ტური | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | შტურმი | აუსტრია | 1:1 გ | 90 წუთი, გაფრთხ. | 18 თ |
| კვიპროსი. I დივიზიონი. XXVI ტური | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ეთნიკოსი | აელ | 0:1 შ | 90 წუთი | 25 თ |
| ლევან ძებაძე | ეთნიკოსი | აელ | 0:1 შ | არ უთამაშია | 11 თ |
| დავით კვირკველია | ანორთოსისი | აპოლონი | 1:1 გ | არ უთამაშია, სათად. | 4 თ, 1 გ |
| პოლონეთი. ექსტრაკლასა. XXIII ტური | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | პოლონია | კორონა | გ | დღეს | 6 თ, 1 გ |
| ნიკა ძალამიძე | იაგიელონია | ვიძევი | 4:1 შ | 63 წუთი, შეცვალეს | 17 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | იაგიელონია | ვიძევი | 4:1 შ | არ უთამაშია, სათად. | 3 თ |
| პოლონეთი. I ლიგა. XXII ტური | | | | | |
| კობა შალამბერიძე | ფლოტა | კატოვიცე | 0:0 შ | 76 წუთი, შეცვალეს | 2 თ |
| დანია. სუპერლიგა. XXII ტური | | | | | |
| დავით სხირტლაძე | ორჰუსი | მიდტიულანდი | გ | დღეს | 7 თ |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | მიდტიულანდი | გ | | 4 თ |
| უნგრეთი. XXI ტური | | | | | |
| რატი ალექსიძე | დიორი ეტო | პაკსი | 4:1 შ | არ უთამაშია, დისკ. | 16 თ, 3 გ |
| გიორგი განუგრავა | ზალაეგერსეგი | ვაშაში | 2:3 გ | 90 წუთი | 21 თ, 1 გ |
| მოლდოვა. დივიზია ნაციონალა. XXII ტური | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | ნისტრუ | 4:0 შ | 90 წუთი | 22 თ, 3 გ |
| ლევან კორღალიძე | ზიმბრუ | სფ. გეორგე | 3:0 გ | 90 წუთი | 6 თ, 2 გ |
| აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XXV ტური | | | | | |
| გიორგი ლომაია | ინტერი | გაბალა | 1:2 გ | 90 წუთი | 22 თ |
| ვალერი აბრამიძე | ინტერი | გაბალა | 1:2 გ | 90 წუთი, გაფრთხ. | 23 თ, 1 გ |
| ბაჩანა ცხადაძე | ინტერი | გაბალა | 1:2 გ | 11 წუთი, შეცვლაზე | 22 თ, 5 გ |
| ილია კანდელაკი | ინტერი | გაბალა | 1:2 გ | 90 წუთი | 20 თ, 2 გ |
| ალექს. გოგოზერიშვილი | თურანი | რავანი | 2:1 შ | 90 წუთი, გაფრთხ. | 24 თ, 1 გ |
| გიორგი ბერიაშვილი | თურანი | რავანი | 2:1 შ | 90 წუთი, გოლი, გაფრთ | 14 თ, 1 გ |
| ნუგზარ კვირტია | აზალ | ქიაფაზი | 2:0 შ | 90 წუთი, გოლი | 22 |
| გიორგი ადამია | ყარაბახი | ნეფთჩი | შ | 1 აპრილს | 23 თ, 6 გ |
| სამხრეთ აფრიკა. XXI ტური | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | მოროკა | ჯომო კოსმოსი | 2:0 გ | 90 წუთი | 18 თ, 1 გ |



ლევან კობიაშვილი

## საფრანგეთი. ლიგა 1

XXIX ტური

**აიაჩო-ლორიანი** 1:1
გოლები: 0:1 ბულილიონი (5), 1:1 ილანი (60)

**ბრესტი-ნანსი** 0:1
გოლი: 0:1 ტრაორე (18)

**ევიანი-ლილი** 0:3
გოლები: 0:1 აზარი (36-პენ), 0:2 პაიე (55), 0:3 პედრეტი (67)

**ლიონი-სოშო** 2:1
გოლები: 1:0 ლოვრენი (4), 2:0 გომისი (60), 2:1 მაიგა (71)

**მონპელიე-სტ. ეტიენი** 1:0
გოლი: 1:0 ჟირუ (89)

**ნიცა-მარსელი** 1:1
გოლები: 0:1 აიუ (56), 1:1 მონსონი (76-პენ)

**ვალანსიენი-რენი** 1:0
გოლი: 1:0 დანიჩი (13)

**დიჟონი-კანი** 2:0
გოლები: 1:0 კონე (21), 2:0 სანხარე (69)

**ტულუზი-ოსერი** 1:0
გოლები: 1:0 ტაბანუ (38)

**პსჟ-ბორდო** 1:1
გოლები: 0:1 დიაბატე (77), 1:1 ოარო (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 29 | 18 | 6 | 5 | 53-27 | 60 |
| 2. პსჟ | 29 | 17 | 9 | 3 | 53-30 | 60 |
| 3. ლილი | 29 | 14 | 11 | 4 | 53-31 | 53 |
| 4. ტულუზი | 29 | 14 | 8 | 7 | 31:24 | 50 |
| 5. ლიონი | 29 | 15 | 4 | 10 | 46-36 | 49 |
| 6. სტ. ეტიენი | 29 | 13 | 7 | 9 | 35-31 | 46 |
| 7. რენი | 29 | 12 | 8 | 9 | 37-33 | 44 |
| 8. ბორდო | 29 | 10 | 11 | 8 | 35-32 | 41 |
| 9. მარსელი | 29 | 10 | 10 | 9 | 36-30 | 40 |
| 10. ევიანი | 29 | 9 | 9 | 11 | 41-43 | 36 |
| 11. ვალანსიენი | 29 | 9 | 7 | 13 | 29-34 | 34 |
| 12. ნანსი | 29 | 8 | 9 | 12 | 27-36 | 33 |
| 13. დიჟონი | 29 | 9 | 6 | 14 | 36-48 | 33 |
| 14. ლორიანი | 29 | 7 | 11 | 11 | 28-37 | 32 |
| 15. აიაჩო | 29 | 7 | 10 | 12 | 31-49 | 31 |
| 16. ბრესტი | 29 | 5 | 15 | 9 | 23-27 | 30 |
| 17. კანი | 29 | 7 | 8 | 14 | 32-44 | 29 |
| 18. ნიცა | 29 | 6 | 10 | 13 | 27-34 | 28 |
| 19. სოშო | 29 | 6 | 9 | 14 | 29-45 | 27 |
| 20. ოსერი | 29 | 4 | 12 | 13 | 33-44 | 24 |

**ბომბარდირები:** 18 – ოლივიე ჟირუ (მონპელიე), 13 – ედენ აზარი (ლილი), ნენე (პარი სენ-ჟერმენი), 12 – ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), 11 - პიერ-ემერიკ აუბამეიანგი (სენტ ეტიენი), კევინ გამეირო (პარი სენ-ჟერმენი)

### მომდევნო ტური:

31 მარტი – ოსერი-ვალანსიენი, ბორდო-დიჟონი, ლორიანი-ევიანი, ნანსი-პსჟ, სტ. ეტიენი-ნიცა, სოშო-ბრესტი,

1 აპრილი – კანი-აიაჩო, ლილი-ტულუზი, რენი-ლიონი, მარსელი-მონპელიე გადაიდო

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XXIV ტური

**ოლანენსე-ბენფიკა** 0:0
გაძევება: აიმარი (64. ბენფიკა)

**სპორტინგი-ფეირენსე** 1:0
გოლი: კაპელი (15-პენ)

**სეტუბალი-ლეირია** 1:0
გოლი: 1:0 მიგელიტო (2)

**ბეირა მარი-ნასიონალი** 0:3
გოლები: 0:1 კლაუდემირი (15-პენ), 0:2 კლაუდემირი (63-პენ), 0:3 კეიტა (74)

**რიუ ავე-გიმარაეში** 0:1
გოლი: 0:1 ე. სილვა (77)

**ფეირეირა-პორტუ** 1:1
გოლები: 0:1 რიკარდო (47 ს.კ.), 1:1 მელგარეჟო (79)

### ხვალ

**მარიტიმუ-ჟილ ვისენტე** 21:00
**ბრაგა-აკადემიკა** 23:15

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 24 | 17 | 6 | 1 | 54-17 | 57 |
| 2. ბენფიკა | 24 | 17 | 5 | 2 | 54-21 | 56 |
| 3. ბრაგა | 23 | 17 | 4 | 2 | 51-19 | 55 |
| 4. სპორტინგი | 24 | 13 | 5 | 6 | 37-19 | 44 |
| 5. მარიტიმუ | 23 | 12 | 6 | 5 | 33-25 | 42 |
| 6. გიმარაეში | 24 | 11 | 3 | 10 | 29-30 | 36 |
| 7. ოლანენსე | 24 | 6 | 11 | 7 | 30-32 | 29 |
| 8. ნასიონალი | 24 | 8 | 5 | 11 | 31-41 | 29 |
| 9. ჟილ ვისენტე | 23 | 6 | 8 | 9 | 22-33 | 26 |
| 10. ფეირეირა | 24 | 7 | 4 | 13 | 28-43 | 25 |
| 11. რიუ ავე | 24 | 7 | 3 | 14 | 24-29 | 24 |
| 12. სეტუბალი | 24 | 6 | 6 | 12 | 21-41 | 24 |
| 13. აკადემიკა | 23 | 5 | 8 | 10 | 21-29 | 23 |
| 14. ბეირა მარი | 24 | 5 | 5 | 14 | 18-30 | 20 |
| 15. ლეირია | 24 | 5 | 3 | 16 | 21-44 | 18 |
| 16. ფეირენსე | 24 | 3 | 8 | 13 | 17-38 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 - ლიმა (ბრაგა), კარდოსო (ბენფიკა).

### II დივიზიონი

XXIV ტური

ბელენენსეში-ეშტორილი 2:2; ოლივეირენსე-ნავალი 3:2; მადეირა-მორეირენსე 0:3; ატლეტიკო-პორტიმონენსე 0:1; ავეში-კოვილია 1:0; ტროფენსე-სანტა კლარა 2:1; ფრეამუნდეარუკა 2:0; პენაფიელი-ლეიქსოეში 0:1.

## თურქეთი. სუპერლიგა.

XXXII ტური

**ფენერბაჰჩე-ბურსა** 1:0
გოლი: 1:0 ალექსი (41)

**ანკარაგუჯუ-ანთალია** 0:3
გოლები: 0:1 ბოირაზი (9), 0:2 თურანი (35), 0:3 [illegible] (60)

**სამსუნი-მერსინი** 2:0
გოლები: 1:0 ეპიოსუნი (17), 2:0 ეპიოსუნი (67)

**მანისა-სივასი** 1:3
გოლები: 0:1 ბექმეჩი (7), 1:1 ჩოქმუსი (38), 1:2 კილიჩი (70), 1:3 პედრიელი (86)

**ქარაბიუქი-ქაისერი** 1:0
გოლი: 1:0 მაბიალა (38)

**ესქიშეჰირი-გაზიანთეფი** 0:2
გოლები: 0:1 საპარა (73), 0:2 კურთულუში (90)

**გალათასარაი-ტრაბზონი** 1:1
გოლები: 0:1 ბ. ილმაზი (24), 1:1 ფელიპე მელო (82-პენ)

**ორდუ-გენჩლერბირლიგი** 0:0
**ბუიუქშეჰირი-ბეშიქთაში** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 32 | 21 | 8 | 3 | 63-24 | 71 |
| 2. ფენერბაჰჩე | 32 | 19 | 7 | 6 | 58-33 | 64 |
| 3. ტრაბზონი | 32 | 15 | 9 | 8 | 59-39 | 54 |
| 4. ბეშიქთაში | 31 | 15 | 8 | 8 | 47-35 | 53 |
| 5. სივასი | 32 | 12 | 11 | 9 | 55-52 | 47 |
| 6. ბურსა | 32 | 12 | 10 | 10 | 41-32 | 46 |
| 7. ესქიშეჰირი | 32 | 13 | 7 | 12 | 38-39 | 46 |
| 8. გენჩლერბ. | 32 | 12 | 10 | 10 | 46-47 | 46 |
| 9. ბუიუქშეჰირი | 31 | 12 | 7 | 12 | 44-47 | 43 |
| 10. მერსინი | 32 | 12 | 6 | 14 | 34-41 | 42 |
| 11. გაზიანთეფი | 32 | 11 | 9 | 12 | 37-33 | 42 |
| 12. ორდუ | 32 | 10 | 11 | 11 | 28-32 | 41 |
| 13. ქაისერი | 32 | 12 | 4 | 16 | 35-37 | 40 |
| 14. ქარაბიუქი | 32 | 12 | 4 | 16 | 41-55 | 40 |
| 15. ანთალია | 32 | 10 | 9 | 13 | 31-37 | 39 |
| 16. სამსუნი | 32 | 8 | 9 | 15 | 34-45 | 33 |
| 17. მანისა | 32 | 8 | 8 | 16 | 31-45 | 32 |
| 18. ანკარაგუჯუ | 32 | 2 | 5 | 25 | 22-71 | 11 |

**ბომბარდირები:** 31 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 14 – ალექსი (ფენერბაჰჩე), თუმი (გენჩლერბირლიგი); 12 – ელმანდერი (გალათასარაი), ვებო (ბუიუქშეჰირი)

### II დივიზიონი

XXVII ტური

ბოლუ-თავშანლი 1:0; ახისარი-ერჩიესი 2:0; ადანა-ელაზიგი 2:0; საქარია-გიოზთეფე 0:1; ქარსიაქა-დენიზლი 1:1; გირეშუნი-ბუკა 3:0; გიუნგორენი-ქონია 0:2; რიზე-ქართალი 2:1; გაზიანთეფი ბბ-ქასიმფაშა 4:1.

## ბელგია

II დივიზიონი. XXIII ტური

სტანდარდი (ვ)-ვაასლანდი 0:1; ლომელიოსტენდე 0:2; ეუპენი-რუზელარე 2:0; ანტვერპენი-ტუბეკე 2:3; შარლერუა-ვოლუვე 2:0; აალსტი-ჰაისტი 1:1; ვიზე-ტინენი 1:0; სტ. ნიკლაასი-დენდერი 1:1; ბორინაჟი-ბრიუსელი 0:1.

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXI ტური

**აბერდინი-ინვერნესი** 0:1
გოლი: 0:1 ტეიდი (10)

**დანფერმლაინი-სტ. მირენი** 1:1
გოლები: 0:1 ტომპსონი (8), 1:1 კეირდლი (46)

**ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი** 0:2
გოლები: 0:1 რასელი (66), 0:2 სტივენი (73)

**კილმარნოკი-მოზერველი** 2:0
გოლები: 1:0 ჰეფერნანი (50), 2:0 ჰეფერნანი (62-პენ)

**სტ. ჯონსტონი-ჰართსი** 2:1
გოლები: 0:1 ჰოლტი (29), 1:1 დევიდსონი (35), 2:1 სანდასა (77-პენ)

**რეინჯერსი-სელტიკი** 3:2
გოლები: 1:0 ალუკო (11), 2:0 ლიტლი (72), 3:0 უოლასი (77), 3:1 ბრაუნი (89-პენ), 3:2 რონე (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 31 | 24 | 3 | 4 | 64-20 | 75 |
| 2. რეინჯერსი | 31 | 21 | 4 | 6 | 60-23 | 57 |
| 3. მოზერველი | 31 | 16 | 6 | 9 | 41-35 | 54 |
| 4. დანდი იუნ. | 31 | 12 | 10 | 9 | 51-40 | 46 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 30 | 13 | 7 | 10 | 41-34 | 46 |
| 6. ჰართსი | 31 | 12 | 6 | 13 | 36-31 | 42 |
| 7. კილმარნოკი | 31 | 8 | 13 | 10 | 34-44 | 37 |
| 8. აბერდინი | 31 | 7 | 12 | 12 | 29-34 | 33 |
| 9. სტ. მირენი | 31 | 6 | 14 | 11 | 27-41 | 32 |
| 10. ინვერნესი | 30 | 8 | 7 | 15 | 34-50 | 31 |
| 11. ჰიბერნიანი | 31 | 5 | 8 | 18 | 30-59 | 23 |
| 12. დანფერმლაინი | 31 | 4 | 8 | 19 | 31-67 | 20 |

### I დივიზიონი

XXIX ტური

ეირი-მორტონი 0:0; დანდი-რეითი 1:1; ფალკირკი-ლივინგსტონი 2:5; ჰემილტონი-ქუინი 3:0; პარტიკი-როსი 0:1.

### II დივიზიონი

XXX ტური

ეირდრი-არბროა 2:0; ბრეჩინი-ისტ ფაიფი 1:3; კოუდენბითი-დამბარტონი 4:1; ფორფარი-სტირლინგი 4:3; სტენჰაუზმური-ალბიონი 1:2.

### III დივიზიონი

XXX ტური

ალოა-ქუინზ პარკი 4:0; ანანი-მონროუზი 1:2; კლაიდი-ელჯინი 0:2; პიტერჰედი-ბერუიკი 1:2; სტრანრარი-ისტ სტირლინგი 4:1.

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XXIX ტური

# იუვეს მოსალოდნელი ტრიუმფი და იბრას ტრადიციული შოუ



ალექს დელ პიერომ "ინტერს" ბოლო იმედი გადაუწურა

ტური "სან სიროზე" გამართული მატჩით დაიწყო, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდები წარდგნენ. "მილანმა" "რომას" უმასპინძლა, გუნდს, რომელიც ბოლო წლების მიხედვით, მისი ყველაზე უხერხული მეტოქეა და ამაზე სტატისტიკური მონაცემები ნათლად მეტყველებს... ლომბარდიულ გრანდს შაბათსაც გაუჭირდა, მაგრამ სანადელს მაინც მიაღწია და ეს პირველ რიგში **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დამსახურებაა. იბრაკადაბრამ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და დაგვანახვა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია.

პირველი ტაიმი ტაქტიკურ ჭიდილში წარიმართა და მომენტები ორივე კართან თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობით შეიქმნა – თუმცა, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რომაელებს ანგარიში გაეხსნათ. 44-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **მასიმო ამბროზინიმ** უხეში შეცდომა დაუშვა და ბურთი მეტოქეს ჩააბარა, საჯარიმოში გაკეთებულ დაბალ გადაცემას კი **დანიელ პაბლო ოსვალდო** გამოეხმაურა და დააწინაურა დედაქალაქელები, 0:1. პირველი ტაიმი ასეც მორჩა, მეორეში კი მასპინძელთა სათამაშო უპირატესობა გამოიკვეთა.

მილანელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს და აქ უკვე მასიმო ამბროზინიმ პოზიტიური როლი შეასრულა – სწორედ ის აწვდიდა რომაელთა საჯარიმოში, როდესაც ბურთი **დანიელე დე როსის** ხელზე მოხვდა და მატჩის არბიტრმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა; ბურთთან ზლატან იბრაჰიმოვიჩი მივიდა და **მაარტენ სტეკელენბურგი** უშანსოდ დატოვა, 1:1. საერთოდ, რომაელთა კიპერი ცალკე აღმიშვნის ღირსია, მთელი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გოლისგან. თუმცა, 83-ე წუთზე ისიც უძლური გამოდგა, რადგან ზლატანმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და "სან სიროზე" შეკრებილი 70 000-მდე გულშემატკივარი აღტაცებაში მოიყვანა. გოლი მართლაც ულამაზესი გამოვიდა და ორი სიტყვით აუცილებლად უნდა შევეხოთ – **სალი მუნტარიმ** სიღრმიდან გრძელი და ზუსტი გადაცემა გააკეთა, რის შედეგადაც იბრა სტეკელენბურგთან პირისპირ დარჩა, ბურთი თავზე გადაუგდო ახმახ მეკარეს და მცველთან ჭიდილში თავური დარტყმით კარში მოათავსა, 2:1. მოკლედ, იბრამ მორიგი შოუ მოაწყო და ისე გაიტანა გადამწყვეტი გოლი. "მილანმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ იყო ერთი ფაქტორი, რომელმაც ლომბარდიელთა დიდი სიხარული ცოტა გააუფერულა – ჯერ კიდევ პირველ ტაიმში **ტიაგო სილვამ** ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა, უკანასკნელი ინფორმაციით კი ბრაზილიელ მცველს "ბარსელონასთან" თამაშის გამოტოვება მოუწევს. სწორედ ამაზე დაიჩივლა ნამატევს "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა და დროა, სიტყვა **მასიმილიანო ალეგრის** გადავცეთ:

*"შეგირდებმა ჩემი დავალებები პირნათლად შეასრულეს და ეს გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურეს. პირველ ტაიმში, ძალიან გაგვიჭირდა, რადგან "რომა" შესანიშნავად იცავდა თავს და მწვავე კონტრიერიშებს აკეთებდა. მეორე ნახევარში გარკვეული ზომები მივიღეთ, რამაც 100%-ით გაამართლა. ზლატანზე ახალი რა უნდა ვთქვა, საოცარი მოთამაშეა, რომლის ყურებაც არასდროს მომბეზრდება. რაც შეეხება ტიაგო სილვას ტრავმას, ექიმების პირველადი დასკვნით, ბრაზილიელს "ბარსელონასთან" პირველი მატჩის გამოტოვება მოუწევს. გავრისკე როდესაც ტიაგო სასტარტოში დავაყენე და აშკარად შევცდი, ჯობდა საერთოდ არ შემეყვანა განაცხადში. დიდი იმედი მაქვს, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება და ტიაგო "ბარსასთან" განმეორებით შეხვედრაში მაინც დაგვეხმარება".*

**ლუის ენრიკემ** მიულოცა ვიზავის გამარჯვება და შემდეგი დაამატა: *"შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინეთ, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც მეტოქემ მიაღწია. რაც უნდა გასაოცარი იყოს, მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ სწორედ ნანტრაქტევს მივიღეთ ორი გოლი. მცველებზე აუგის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ, კარგად გაისარჯნენ, მაგრამ ზლატანის შეჩერება უბრალოდ შეუძლებელი იყო. სწორედ იბრაჰიმოვიჩმა გადაწყვიტა მატჩის ბედი და რა გაეწყობა, ბედს უნდა შევურიგდეთ. ვაგრძელებთ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას და გავაგრძელებთ იქამდე, სანამ ამის თეორიული შანსი მაინც გვექნება".*

## ლაციოს იღბალი

ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის მებრძოლი გუნდებიდან მხოლოდ „ლაციოს" გაუმართლა, რომელმაც საკუთარ მოედანზე „კალიარი" მიიღო და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 1:0. ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი **დიაკიტემ** მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაიტანა და „ოლიმპიკოზე" შეკრებილი გულშემატკივრები აღტაცებაში მოიყვანა. „ბიანკოჩელესტეს" წისქვილზე „ნაპოლის" ნაფორხილებამაც დაასხა წყალი, რომელიც საკუთარ მოედანზე კერკეტ „კატანიას" დაუზავდა, 2:2. არადა, ნეაპოლელები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და როგორ გაუშვეს გამარჯვება ხელიდან, რთული სათქმელია. ჯერ კიდევ შაბათს, „უდინეზე" „პალერმოს" ესტუმრა და სიცილიაში ორი ქულა დატოვა - ეგ კი არა, ფრიულელები მარცხს ბოლო წუთებზე გატანილი გოლით გადაურჩნენ. მოკლედ, „ლაციოსთვის" მართლაც შესანიშნავი ტური გამოვიდა.

## იტალიის დერბი და ბოლოს გატეხილი ინტერი

ცენტრალური შეხვედრა ტურინში გაიმართა, სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ მიმდინარე სეზონში "იუვენტუსი" "ინტერს" ბევრად ჯობია; მილანელებმა პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს და რომ არა **ჯანლუიჯი ბუფონის** საოცარი ასპარეზობა, გახსნიდნენ კიდეც ანგარიშს, მაგრამ მეორეში **ანტონიო კონტემ** ცვლილებებს მიმართა და თამაშში გარდატეხა შეიტანა. ანტრაქტის შემდეგ, მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო და თამაშიც იმ ერთი გუნდის სრულიად დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 29 | 19 | 6 | 4 | 59-23 | 63 |
| 2. იუვენტუსი | 29 | 15 | 14 | 0 | 46-17 | 59 |
| 3. ლაციო | 29 | 15 | 6 | 8 | 43-34 | 51 |
| 4. ნაპოლი | 29 | 12 | 12 | 5 | 54-32 | 48 |
| 5. უდინეზე | 29 | 13 | 9 | 7 | 40-27 | 48 |
| 6. რომა | 29 | 13 | 5 | 11 | 42-35 | 44 |
| 7. კატანია | 29 | 10 | 12 | 7 | 38-37 | 42 |
| 8. ინტერი | 29 | 12 | 5 | 12 | 38-38 | 41 |
| 9. ატალანტა | 29 | 10 | 13 | 6 | 35-29 | 37 |
| 10. პალერმო | 29 | 10 | 6 | 13 | 41-46 | 36 |
| 11. კიევო | 29 | 9 | 9 | 11 | 25-36 | 36 |
| 12. ბოლონია | 29 | 9 | 9 | 11 | 31-35 | 36 |
| 13. კალიარი | 29 | 8 | 10 | 11 | 29-36 | 34 |
| 14. ჯენოა | 29 | 9 | 7 | 13 | 37-51 | 34 |
| 15. ფიორენტინა | 29 | 8 | 9 | 12 | 29-35 | 33 |
| 16. სიენა | 29 | 8 | 9 | 12 | 33-31 | 33 |
| 17. პარმა | 29 | 7 | 11 | 11 | 35-46 | 32 |
| 18. ლეჩე | 29 | 6 | 9 | 14 | 31-45 | 27 |
| 19. ნოვარა | 29 | 5 | 9 | 15 | 24-46 | 24 |
| 20. ჩეზენა | 29 | 4 | 6 | 19 | 18-47 | 18 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### ბომბარდირები:

22 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 – დი ნატალე (უდინეზე), კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა), პალასიო (ჯენოა); 14 - მილიტო (ინტერი).

### მომდევნო ტური

**31 მარტი:** კატანია-მილანი, პარმა-ლაციო;
**1 აპრილი:** რომა-ნოვარა, კალიარი-ატალანტა, ლეჩე-ჩეზენა, ფიორენტინა-კიევო, ინტერი-ჯენოა, ბოლონია-პალერმო, სიენა-უდინეზე, იუვენტუსი-ნაპოლი.

### ჰოლანდია.

ერედივიზიონი. XXVII ტური

**ექსელსიორი-გრონინგენი 0:1**
**გოლი:** 0:1 ბურნეტი (18).

**როდა-ვიტესი 3:1**
**გოლები:** 1:0 მალკი (25), 2:0 ბეულე (37), 2:1 პროპერი (38), 3:1 იანკერი (49).

**ბრედა-ნიიმეგენი 1:1**
**გოლები:** 0:1 შონე (20), 1:1 ბოუკპარი (77).

**ჰეერენვეენი-ვენლო 4:1**
**გოლები:** 1:0 ელმი (17), 2:0 იურიჩი (31), 2:1 მაგუირე (62), 3:1 ელმი (85), დოსტი (87).

**დენ ჰააგი-ტვენტე 1:1**
**გოლები:** 1:0 სმოლარეკი (6), 1:1 პლეტი (62).

**ალკმაარი-ვაალვიკი 1:0**
**გოლი:** 1:0 გუდმუნდსონი (49).

**დე გრააპსხაპი-ფეიენოორდი 0:3**
**გოლები:** 0:1 გუიდეტი (71), 0:2 შაკენი (77), 0:3 სისე (90).

**ჰერაკლესი-უტრეხტი 3:1**
**გოლები:** 1:0 არმენტეროსი (3), 1:1 განი (54), 2:1 გურიე (80), 3:1 გურიე (86).

**აიაქსი-პსვ 2:0**
**გოლები:** 1:0 აისატი (56), 2:0 იანგი (63-პენ.).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 27 | 17 | 5 | 5 | 54-25 | 56 |
| 2. აიაქსი | 27 | 16 | 7 | 4 | 70-33 | 55 |
| 3. ტვენტე | 27 | 15 | 7 | 5 | 69-32 | 52 |
| 4. პსვ | 27 | 15 | 6 | 6 | 68-40 | 51 |
| 5. ფეიენოორდი | 27 | 15 | 6 | 6 | 54-32 | 51 |
| 6. ჰეერენვეენი | 27 | 14 | 9 | 4 | 61-42 | 51 |
| 7. ვიტესი | 27 | 12 | 5 | 10 | 35-32 | 41 |
| 8. როდა | 27 | 12 | 1 | 14 | 47-57 | 37 |
| 9. გრონინგენი | 27 | 10 | 5 | 12 | 38-49 | 35 |
| 10. ნიიმეგენი | 27 | 10 | 4 | 13 | 31-36 | 34 |
| 11. ვაალვიკი | 27 | 10 | 4 | 13 | 28-39 | 34 |
| 12. ჰერაკლესი | 27 | 9 | 6 | 12 | 42-42 | 33 |
| 13. უტრეხტი | 27 | 7 | 9 | 11 | 40-45 | 30 |
| 14. ბრედა | 27 | 8 | 6 | 13 | 34-40 | 30 |
| 15. დენ ჰააგი | 27 | 7 | 8 | 12 | 30-51 | 29 |
| 16. ვენლო | 27 | 7 | 4 | 16 | 32-62 | 25 |
| 17. ექსელსიორი | 27 | 4 | 6 | 17 | 21-59 | 18 |
| 18. დე გრააფსხ. | 27 | 4 | 4 | 19 | 22-60 | 16 |

**ბომბარდირები:** 23 – დოსტი (ჰეერენვეენი); 21 – მალკი (როდა); 20 – დე იონგი (ტვენტე).

### II დივიზიონი

XXVIII ტური

**ალმერი-ოსი 3:2; კამბური-დენ ბოში 1:0; ემენი-ფორტუნა 0:4; ვოლენდამი-სპარტა 1:0; ცვოლე-აპელდოორნი 3:0; ჰელმონდი-იგლზი 5:1; ვილემი-დორდრეჰტი 1:1; ტელსტარი-ეინდჰოვენი 1:1; ვეენდამი-მაასტრიხტი დღეს.**

### სერია B

XXXII ტური

**სასუოლო-ემპოლი 1:0**
**გოლი:** 1:0 ტროიანიელო (71).

**ასკოლი-პესკარა 3:0**
**გოლები:** 1:0 ვაიგო (22), 2:0 ძანონი (31-ს.კ), 3:0 ვაიგო (86).

**ბრეშა-გროსეტო 2:1**
**გოლები:** 0:1 მანჩინო (37), 1:1 როსი (39) 2:1 როსი (58).

**ჩიტადელა-სამპდორია 1:2**
**გოლები:** 0:1 პელე (34), 1:1 რობერტო (38-პენ.), 1:2 პელე (43).

**კროტონე-ალბინოლეფე 5:2**
**გოლები:** 1:0 გაბიონეტა (7), 2:0 გაბიონეტა (27), 2:1 სისე (32-პენ.), 3:1 ფიორენცი (36), 4:1 სანსონე (81), 4:2 ტორი (84), 5:2 კაეტანო (90).

**ლივორნო-მოდენა 2:2**
**გოლები:** 1:0 სილიგარდი (4), 1:1 ჯენარო (35-პენ.), 2:1 პაულინო (57), 2:2 სტანკო (90).

**ნოჩერინა-ვერონა 3:1**
**გოლები:** 1:0 ფილიომენი (4), 2:0 ნეგრო (16), 2:1 ტალები (35), 3:1 მერინო (63-პენ.).

**ტორინო-გუბიო 6:0**
**გოლები:** 1:0 ბიანკი (40), 2:0 ანტენუჩი (46), 3:0 სურაკო (65), 4:0 ბიანკი (68), 5:0 პასკუატო (76), 6:0 ანტენუჩი (80).

**ვარეზე-რეჯინა 2:0**
**გოლები:** 1:0 პლასმატი (7), 2:0 პლასმატი (17).

**ბარი-იუვე სტაბია 0:0**
**ვიჩენცა-პადოვა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორინო | 32 | 19 | 9 | 4 | 48-22 | 66 |
| 2. სასუოლო | 32 | 17 | 11 | 4 | 42-23 | 62 |
| 3. პესკარა | 32 | 19 | 5 | 8 | 64-46 | 62 |
| 4. ვერონა | 32 | 18 | 6 | 8 | 44-31 | 60 |
| 5. ვარეზე | 32 | 14 | 10 | 8 | 40-27 | 52 |
| 6. პადოვა | 31 | 14 | 8 | 9 | 45-38 | 50 |
| 7. ბრეშა | 32 | 13 | 10 | 9 | 36-30 | 49 |
| 8. სამპდორია | 32 | 11 | 15 | 6 | 37-24 | 48 |
| 9. რეჯინა | 32 | 12 | 10 | 10 | 51-42 | 46 |
| 10. ბარი | 32 | 12 | 10 | 10 | 37-34 | 42 |
| 11. გროსეტო | 32 | 10 | 11 | 11 | 34-43 | 41 |
| 12. იუვე სტაბია | 32 | 11 | 11 | 10 | 41-40 | 40 |
| 13. ჩიტადელა | 32 | 10 | 8 | 14 | 37-45 | 38 |
| 14. მოდენა | 32 | 8 | 13 | 11 | 36-47 | 37 |
| 15. ლივორნო | 32 | 8 | 11 | 13 | 38-39 | 35 |
| 16. კროტონე | 32 | 7 | 14 | 11 | 40-45 | 34 |
| 17. ემპოლი | 32 | 8 | 7 | 17 | 35-48 | 31 |
| 18. ვიჩენცა | 31 | 6 | 11 | 14 | 31-45 | 29 |
| 19. ასკოლი | 32 | 9 | 9 | 14 | 32-39 | 29 |
| 19. გუბიო | 32 | 6 | 9 | 17 | 30-52 | 27 |
| 21. ნოჩერინა | 32 | 5 | 10 | 17 | 41-57 | 25 |
| 22. ალბინოლეფე | 32 | 5 | 10 | 17 | 35-57 | 25 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 4, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 22 – იმობილე (პესკარა); 18 – გ. სანსონე (სასუოლო); 16 – საუ (იუვე სტაბია); 14 – ტავანო (ემპოლი). 13 – ჯონატასი (ბრეშა), სანსოვინი (პესკარა), აბრუსკატო (ვიჩენცა).

### ლეგა პრო 1 B

**პრო ვერჩელი-პავია 0:1, ბენევენტო-ტრიტიუმი 1:0, ფოჯა-კარპი 1:2, მონცა-ლუმეცანე 0:1, პიზა-ფოლინო 2:0, რეჯანა-აველინო 1:0, სორენტო-ვიარეჯო 2:0, კომო-ტარანტო 1:1-ზე გადაიდო, ტერნანა-სპალ დღეს.**

### ლეგა პრო 1 B

**ბარლეტა-პორტოგრუარო 1:1, ბასანო-ანდრია 0:2, კარარეზე-პრატო 0:0, კრემონეზე-ფროზინონე 2:0, ლატინა-ლანჩანო 1:3, პიაჩენცა-სირაკუზა 1:1, სპეცია-ფერალპიზალო 3:0, სუდტიროლი-ტრიესტინა 1:1, ტრაპანი-პერგოკრემა 0:0.**

### მილანი–რომა 2:1

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ბონერა, მექსე, ტიაგო სილვა (10. ძამბროტა), მესბა – ამბროზინი, მუნტარი, ნოჩერინო – ემანუელსონი (55. ბოატენგი) – ელ შაარავი (87. აკვილანი), იბრაჰიმოვიჩი.
**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, კიაერი, ჰაინცე, როზი – გაგო (80. ლამელა), დე როსი, მარკინიო – ოსვალდო, ტოტი (56. ბოიანი), ბორინი (56. პიანიჩი).
**გოლები:** 0:1 ოსვალდო (44), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (53-პენ.), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (83).
**გაფრთხილება:** მესბა, მუნტარი, იბრაჰიმოვიჩი – ჰაინცე, ოსვალდო.
**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 9-25; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 20(10)-7(3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.
**მაყურებელი:** 70 000

### პალერმო–უდინეზე 1:1

**პალერმო (3-5-2):** ვივიანო - ლაბრინი, მილანოვიჩი, მანტოვანი – პიზანო, მილიაჩო, ბარეტო (88. დელა როკა), დონატი, ბალცარეტი (81. აგუირეგარაი) – მიკოლი, ერნანდესი (70. ილიჩიჩი).
**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – კოდა, დანილო, ეკსტრანდი – ბასტა (46. პერეირა), პაციენცა (66. ტორიე), ასამოა (66. არმერო), პინცი, პასკუალე – აბდი – დი ნატალე.
**გოლები:** 1:0 მიკოლი (31), 1:1 ტორიე (84).
**გაფრთხილება:** მილიაჩო, ილიჩიჩი - ეკსტრანდი.
**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 6(3)-18(5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.
**მაყურებელი:** 20 000

### ატალანტა–ბოლონია 2:0

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – მანფრედინი, რაიმონდი, სტენდარდო, პელუზო (64. ფერი) – ჩიგარინი (84. კაცოლა), სკელოტო, კარმონა, მორალესი – ტირიბოკი, გაბიადინი (69. კაროცა).
**ბოლონია (3-4-2-1):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, ანტონსონი – პულცეტი, მორლეო, მუდინგაი, პერესი (46. კრხინი) – კონე (59. აკვაფრესკა), დიამანტი - დი ვაიო (72. ბელფოდილი).
**გოლები:** 1:0 გაბიადინი (50), 2:0 ტირიბოკი (90).
**გაფრთხილება:** ჩიგარინი - რაჯი, პულცეტი, მუდინგაი, დიამანტი.
**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 12(9)-11(5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 22 000

### ჩეზენა–პარმა 2:2

**ჩეზენა (4-4-2):** ანტონიოლი – როდრიგესი, მორასი, კომოტო (74. ბენალოუანე), პუდილი – დელ ნერო (64. დოკოვიჩი), არიგონი, სანტანა (69. ჩეკარელი), მარტინიო – მუტუ, მალონგა.
**პარმა (3-5-2):** მირანტე – სანტაკროჩე, პალეტა, ლუკარელი – მუსაჩი (59. ოკაკა), ვალდესი, ბიაბიანი (68. ვალიანი), გალოპა, გობი (87. მარკესი) – ჯოვინკო, ფლოკარი.
**გოლები:** 0:1 ფლოკარი (40), 1:1 სანტანა (47), 2:1 დელ ნერო (53), 2:2 პალეტა (61).
**გაფრთხილება:** მორასი, დოკოვიჩი - სანტაკროჩე, პალეტა.
**კუთხური:** 2-11; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10(5)-20(8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 12 000

### კიევო–სიენა 1:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – დრამე, აჩერბი, ანდრეოლი, ფრეი – ბრედლი, სამარკო (83. ვაჩეკი), ჰეტემაი – თერეუ - პალოსკი (70. მოსკარდელი - 90. კრუსადო), პელისიერი.
**სიენა (4-4-2):** პეგოლო – ვიტიელო, პეზოლი (74. კონტინი), როსეტინი, დელ გროსო - ჯორჯი (67. სესტუ), გაცი, ვერგასოლა, ბრიენცა – დესტრო, ბოგდანი (80. ლარონდო).
**გოლები:** 1:0 აჩერბი (9), 1:1 დესტრო (51).
**გაფრთხილება:** ფრეი, სამარკო, მოსკარდელი - ჯორჯი, ვერგასოლა, გაცი.
**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 7-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11(5)-7(2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 11 000

### ჯენოა–ფიორენტინა 2:2

**ჯენოა (4-3-1-2):** ფრეი – მორეტი, კარვალიო, კალაძე, მესტო – როსი (63. ხორკერა), ველოზო (78. სკული), ბიონდინი – ბელუსკი - პალასიო, ჯილარდინო.
**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – კასანი, ნატალი, გამბერინი, პასკუალი - მარკიონი (73. ლაძარი), მონტოლივო, ბერამი - იოვეტიჩი, ვარგასი, ამაური (83. დე სილვესტრი).
**გოლები:** 1:0 ბელუსკი (20), 1:1 მონტოლივო (31), 1:2 ნატალი (70), 2:2 პალასიო (89).
**გაფრთხილება:** ბორუცი, გამბერინი, პასკუალი, ბერამი (ფიორენტინა).
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10(3)-15(6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურეპელი:** 22 000

### ლაციო–კალიარი 1:0

**ლაციო (4-3-2-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიაკიტე, რადუ - ბროკი, ლედესმა, გონსალესი - მაური (46. კოზაკი), ერნანესი (79. კანდრევა) – როკი (62. ალფარო).
**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, არიაუდო, ასტორი, აგოსტინი – კონტი, ეკდალი, ნაინგოლანი – კოსუ (78. ნენე) – პინილია, იბარბო (62. რიბეირო).
**გოლი:** 1:0 დიაკიტე (88).
**გაფრთხილება:** კონკო, დიაკიტე - ასტორი, ეკდალი, პინილია, ნენე.
**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11(5)-5(2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.
**მაყურებელი:** 38 000

### ნაპოლი–კატანია 2:2

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, ფერნანდესი (66. კანავარო), არონიკა – ცუნიგა, დოსენა, ჯემაილი, გარგანო – ლავეცი (76. ინლერი), ჰამშიკი (58. პანდევი) – კავანი.
**კატანია (3-5-2):** კარიცო – სპოლი, ლეგროტალიე, ბელუში - მარკეზე (72. ლამა), ალმირონი, ისკო, ლოდი, ბარიენტოსი (79. რიკიუტი) - ბერგესიო, გომესი (83. ლანცაფამე).
**გოლები:** 1:0 ჯემაილი (58), 2:0 კავანი (67), 2:1 სპოლი (75), 2:2 ლანცაფამე (85).
**გაფრთხილება:** ჯემაილი - ლეგროტალიე, ბარიენტოსი, რიკიუტი.
**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 14(5)-8(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.
**მაყურებელი:** 40 000

### ნოვარა–ლეჩე 0:0

**ნოვარა (4-4-2):** უიკანი – მორგანელა, ლიზუძო, პაჩი, გარსია - ჯემიტი, პეშე (85. რადოვანოვიჩი), პორკარი, რიგონი – ჯედა (35. კარაჩოლო), მასკარა (60. მორიმოტო).
**ლეჩე (4-4-2):** ბენასი (46. პეტრაკი) – ესპოზიტო, მილიონიკო, ტომოვიჩი, კუადრადო - ჯაკომაცი, ბრივიო, ბერტოლაჩი (56. ბლაზი), დელვეკიო – მურიელი, დი მიკელე (78. კორვია).
**გაფრთხილება:** პორკარი, პეშე, რიგონი - ესპოზიტო, ჯაკომაცი, ბერტოლაჩი, ბლაზი.
**კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 9-3; **კარში დარტყმა:** 8(4)-4(1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.
**მაყურებელი:** 11 000

### იუვენტუსი–ინტერი 2:0

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი – კასერესი, ბარცალი, კიელინი, დე ჩელიე – მარკიზიო, პირლო, ვიდალი – პეპე (53. ბონუჩი), ვუჩინიჩი (74. კვალიარელა), მატრი (53. დელ პიერო).
**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – პოლი (67. პაცინი), სტანკოვიჩი, ძანეტი, ობი (68. ფარაონი) – ფორლანი, მილიტო.
**გოლები:** 1:0 კასერესი (57), 2:0 დელ პიერო (71).
**გაფრთხილება:** დე ჩელიე – ნაგატომო, პოლი.
**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 11-8; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16(12)-9(6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.
**მაყურებელი:** 42 000

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

# ახლა დორტმუნდი გაგიჟდა!

## ჰერტა სწორ გზას ადგას, კაიზერსლაუტერნს კი ალბათ არაფერი ეშველება

ბუნდესლიგაში ამჯერად დორტმუნდის „ბორუსიამ" იფრინა! თუკი წინა ტურებში „ბაიერნი" ახერხებდა 6 ან 7 გოლის გატანას, ამჯერად ეს დორტმუნდელებმა გააკეთეს – **იურგენ კლოპის** გუნდმა გუშინ კიოლნში 6:1 მოიგო და რეკორდმაისტერთან ხუთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. შეუდარებელი გახლდათ დორტმუნდელთა იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა**, რომელმაც დუბლი შეასრულა (ერთი გოლი ულამაზესი გამოუვიდა) და საგოლე პასიც გააკეთა. ამრიგად, „დორტმუნდი" ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად რჩება – მეორე წრეში „ბორუსიას" 30 შესაძლოდან 28 ქულა აქვს აღებული.

### ბაიერნი ისევ ნოიერმა იხსნა!

„ბაიერნმა" კი 6 ან 7 გოლი ვეღარ გაიტანა, მაგრამ მთავარი შედეგია: მიუნხენელებმა შაბათს მორიგი სამი ქულა აიღეს. შუა კვირაში „გლადბახთან" გადატანილი 120-წუთიანი ბრძოლის გამო (გერმანიის თასის ნახევარფინალი) ბავარიელებს გადაღლა ეტყობოდათ და მატჩის მიწურულს კინაღამ დაისაჯნენ...

აღსანიშნავია, რომ **იუპ ჰაინკესმა** ძირითად შემადგენლობაში არც საუკეთესო ბომბარდირი **მარიო გომესი** (23 გოლი) გაამწესა და არც წამყვანი ნახევარმცველი **თომას მიულერი**. მათ ნაცვლად, მიუნხენური გრანდის სასტარტო თერთმეტეულში ყველასათვის მოულოდნელად ხორვატი ფეხბურთელები, **ივიცა ოლიჩი** და **დანიელ პრანიჩი** ვიხილეთ. ამ უკანასკნელმა **ლუის გუსტავოს** მხარდამხარ (**ბასტიან შვაინშტაიგერი** განაცხადშიც არ ყოფილა) დაიკავა ადგილი, ხოლო გამთამაშებლად კი ამჯერად **ტონი კროოსი** მოგვევლინა. ჰაინკესის განმარტებით, მან მარიო და თომასი მცირე ტრავმების გამო დაასვენა, რაც ლოგიკურიცაა – რეკორდმაისტერს ამ კვირაში ხომ ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი (მარსელში) ელის.

მიუხედავად ამისა, „ბაიერნმა" „სასურველი მეტოქე" „ჰანოვერი" (ხუთი მოგება ბოლო ხუთ საშინაო შეხვედრაში) მაინც დაამარცხა. გოლები კროოსმა (**რობენის** პასით) და შეცვლაზე შესულმა გომესმა (კროოსის პასით) გაიტანეს. 73-ე წუთზე „ჰანოვერის" ფორვარდმა **დიდიე ია კონანმა** სხვაობა შეამცირა და „წითლებსაც" თამაშის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ. გადაარჩენდნენ კიდეც, საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე **მანუელ ნოიერს** ბრწყინვალე რეაქცია რომ არ გამოევლინა – იმ მომენტში **ჟერომ ბოატენგს** ბურთის მოგერიება უნდოდა, აეჭრა და საკუთარი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ ნოიერმა რეაგირება მოასწრო და „ბაიერნი" იხსნა. ამრიგად, მანუელი „ბაიერნს" ერთ კვირაში მეორედ მოევლინა მხსნელად – შეგახსენებთ, რომ გასულ ოთხშაბათს, გერმანიის თასის ნახევარფინალში „გლადბახთან" პენალტების სერიაში გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანი აილო.

*„ნამდვილად არ ველოდი, რომ ჟერომს ბურთი აეჭრებოდა და კიდევ კარგი, რომ ფხიზლად ვიყავი. მატჩის შემდეგ ბოატენგმა მადლობა გადამიხადა,"* – გახარებული გახლდათ ნოიერი, რომელიც ბოლო ორ მატჩში გაკეთებული სეივების გამო „ბაიერნის" ფანებს აშკარად უფრო მეტად შეუყვარდებოდათ.



დორტმუნდელებმა კიოლნში 6:1 მოიგეს, შინჯი კაგავა შეუდარებელი იყო

ყველაზე კარგ ხასიათზე კი, რა თქმა უნდა, „ბაიერნის" პრეზიდენტი **ული ჰიონესი** გახლდათ, რომელმაც საფინალო სასტვენის შემდეგ თქვა, 11 აპრილს დორტმუნდში თუ მოვიგებთ, აუცილებლად გერმანიის ჩემპიონები გავხდებითო...

მოკლედ, „ბაიერნი" „მარსელთან" მატჩისთვის (ოთხშაბათს) მზადაა და პრინციპში, იგივე უნდა ვთქვათ „ჰანოვერზეც", რომელიც ხუთშაბათს ევროპალიგის მეოთხედფინალში „ატლეტიკოს" სტუმრობს, რადგან **მირკო სლომკას** გუნდმა მიუნხენში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თავად განსაჯეთ: მეორე ტაიმში ჰანოვერელები უფრო მეტჯერ შეეხნენ ბურთს (58%), ვიდრე მიუნხენელები და ბავარიელებს ორთაბრძოლების უმრავლესობაც მოუგეს (60%).

### რეჰაგელმა გასაღებს მიაგნო?

„ჰერტამ" მაინცში სასიცოცხლო მნიშვნელობის თამაში მოიგო (3:1) და ეს **ოტო რეჰაგელის** მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ბერლინელთა მეხუთე მატჩში მეორე გამარჯვებაა. მართალია, „ჰერტა" გასავარდნი ზონიდან ვერ ამოვიდა, მაგრამ **ლევან კობიაშვილის** გუნდს ახლა უკვე 26 ქულა აქვს და სარელეგაციო მე-16 ადგილზე დაქვეითებულ „ჰამბურგს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. ანგარიში 23 წლის **ენის ბენ-ჰატირამ** გახსნა, რომლის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენას არავინ ელოდა, მაგრამ რეჰაგელი მას ენდო და როგორც ხედავთ, წარმოშობით ტუნისელმა, ისე კი გერმანიის მოქალაქე გარემარბმა „მეფე ოტოს" იმედები არ გაუცრუა. აღსანიშნავია, რომ „ჰერტას" გასვლით მატჩში უკანასკნელი გოლი 17 დეკემბერს ჰქონდა გატანილი (**ჰუბნიკი**).

მეორე ტაიმის დასაწყისში **ადრიან რამოსმა** სხვაობა ორამდე გაზარდა და მართალია, მაინცელებმა ერთი ბურთი გაქვითეს (**ჩუპო-მოტინგი**), მაგრამ მერე რამოსმა დუბლი გაიფორმა და „ჰერტას" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. ამრიგად, ბუნდესლიგის ყველაზე ასაკოვანი (რეჰაგელი 73 წლისაა) და ყველაზე ახალგაზრდა (**თომას ტუხელი** 38 წლისაა) მწვრთნელების დაპირისპირება გამოცდილმა ოტომ მოიგო.

### ბალაკოვის ჩამწარებული დებიუტი

„კაიზერსლაუტერნის" დაღმასვლა ვერც **კრასიმირ ბალაკოვმა** შეაჩერა. 45 წლის ბულგარელი სპეციალისტისთვის სადებიუტო შეხვედრაში აუტსაიდერი გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგთან" 0:2 დამარცხდა. „ლაუტერნს" ახლა უკვე 17-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და „ეშმაკებს" მე-16 ადგილს 7 ქულა აშორებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ 1. FCK-ს გადარჩენის შანსი თითქმის მინიმუმამდეა შემცირებული.

რა შეცვალა ახალმა მწვრთნელმა? ბალაკოვმა ძირითად შემადგენლობაში ოთხი ახალი ფეხბურთელი გაამწესა – მათ შორის 20 წლის თავდამსხმელი **იულიან დერშტროფი**, რომელიც „კაიზერსლაუტერნის" აღზრდილია და პირველ ტაიმში ერთადერთი საგოლე მომენტი სწორედ ამ უკანასკნელს შეექმნა. მატჩის შემდეგ ბალაკოვმა თქვა, ჩვენს თამაშში ბევრი დადებითი ასპექტი შევნიშნეო.

### შოკი მიონხენგლადბახში

„გლადბახს" ამ სეზონში საკუთარ მოედანზე წაგება არ ჰქონდა და სეზონის მთავარი აღმოჩენა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის განაღდებამდე ძალიან ცოტა აკლია, შინ პირველი მარცხი მაინცდამაინც „ჰოფენჰაიმთან" განიცადა. მიონხენგლადბახელებმა პირველი ტაიმი **მარკო როისის** გოლის წყალობით მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევარში, ორ წუთში ორი გოლი გაუშვეს და არწასაგები თამაში წააგეს – 77-ე წუთზე ანგარიში **რობერტო ფირმინიომ** (16 მეტრიდან) გაათანაბრა, 79-ეზე კი „ჰოფე" წინ **ვუკჩევიჩმა** (თავური დარტყმით) გაიყვანა, რის შემდეგაც „სოფლელებს" 2:1-ის შენარჩუნება აღარ გაუჭირდათ. მართალია, „ჰოფეს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე დიდად არც აქამდე ემუქრებოდა, მაგრამ ახლა **მარკუს ბაბელის** შეგირდები უფრო მშვიდად იქნებიან, რადგან მე-10 ადგილზე იმყოფებიან და გასავარდნ ზონას 6 ქულა აშორებთ.

### ვერდერი ბავშვებით ვერ გაფრინდება

„ვერდერს" „აუგსბურგთან" საშინაო მატჩში არაერთი წამყვანი მოთამაშე აკლდა და **თომას შააფმა** მოედანზე ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა გაიყვანა, რის გამოც ნამდვილად არ არის გასაკვირი ის, რაც მატჩის 92-ე წუთზე მოხდა: „აუგსბურგმა" ანგარიში გაათანაბრა და ბრემენიდან უმნიშვნელოვანესი ქულა წაიღო. **ვიზე, პრიოდლი, პისარო, არნაუტოვიჩი, ნალდო, მარინი, ექიჩი** – ეს იმ ფეხბურთელების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ თამაშობდნენ და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ბრემენულმა კლუბმა ბუნდესლიგის ისტორიაში მისთვის ყველაზე ახალგაზრდა გუნდით ითამაშა – „ვერდერის" ძირითად შემადგენლობაში მყოფი ფეხბურთელების საშუალო ასაკი 22.7 წელი გახლდათ. გამოსარჩევია 19 წლის თავდამსხმელი **ნიკლას ფიულკრუგი**, რომელმაც „მუსიკოსები" მე-60 წუთზე დააწინაურა. მიუხედავად მორიგი წარუმარებლობისა, „ვერდერმა" საუკეთესო ექვსეულში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ მდევრებს უკიდურესად მიახლოების საშუალება მისცა.

### ხუთთაბრძოლა ევროპალიგის საგზურისთვის

„შტუტგარტმა" გუშინ „ნიურნბერგი" დაამარცხა (1:0), მე-7 ადგილზეა და „ვერდერს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება; მე-8 ადგილზე „ჰანოვერია", რომელსაც „ვერდერამდე" ორი ქულა აშორებს, მეცხრეზე კი „ვოლფსბურგი", რომელმაც პარასკევს „ჰამბურგს" 2:1 მოუგო და საუკეთესო ექვსეულამდე მხოლოდ სამქულიანი ჩამორჩენა აქვს. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ლიგის საგზურებისთვის „ლევერკუზენი", „ვერდერი", „შტუტგარტი", „ჰანოვერი" და „ვოლფსბურგი" იბრძოლებენ. ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ დიდი შანსია, მეშვიდეადგილოსანიც ევროპალიგაზე გავიდეს – თუ, რა თქმა უნდა, სასწაული არ მოხდა და თასის ფინალისტთაგან ერთ-ერთი, „დორტმუნდი" ან „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ზონიდან არ გამოვიდნენ, რაც, დაგვეთანხმებით, ფანტასტიკის სფეროა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 27 | 19 | 5 | 3 | 59-17 | 62 |
| 2. ბაიერნი | 27 | 18 | 3 | 6 | 66-18 | 57 |
| 3. შალკე | 27 | 17 | 2 | 8 | 60-34 | 53 |
| 4. ბორუსია (მ) | 27 | 15 | 6 | 6 | 40-18 | 51 |
| 5. ლევერკუზენი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-36 | 40 |
| 6. ვერდერი | 27 | 11 | 7 | 9 | 41-40 | 40 |
| 7. შტუტგარტი | 27 | 11 | 6 | 10 | 44-34 | 39 |
| 8. ჰანოვერი | 27 | 9 | 11 | 7 | 35-38 | 38 |
| 9. ვოლფსბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 36-48 | 37 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 27 | 8 | 9 | 10 | 31-38 | 33 |
| 11. ნიურნბერგი | 27 | 9 | 4 | 14 | 25-38 | 31 |
| 12. მაინცი | 27 | 7 | 9 | 11 | 39-44 | 30 |
| 13. ფრაიბურგი | 27 | 7 | 7 | 13 | 35-53 | 28 |
| 14. კიოლნი | 27 | 8 | 4 | 15 | 34-56 | 28 |
| 15. აუგსბურგი | 27 | 5 | 12 | 10 | 28-41 | 27 |
| 16. ჰამბურგი | 27 | 6 | 9 | 12 | 31-50 | 27 |
| 17. ჰერტა | 27 | 6 | 8 | 13 | 29-48 | 26 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 27 | 3 | 11 | 13 | 17-38 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 – გომესი (ბაიერნი); 22 – ჰუნტელაარი (შალკე); 17 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/);

### მომდევნო ტური

30 მარტი: ბორუსია (დ)-შტუტგარტი.

31 მარტი: ნიურნბერგი-ბაიერნი, კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი, ვერდერი-მაინცი, ლევერკუზენი-ფრაიბურგი, აუგსბურგი-კიოლნი, ჰერტა-ვოლფსბურგი.

1 აპრილი: ჰანოვერი-ბორუსია (მ), ჰოფენჰაიმი-შალკე.

### II ბუნდესლიგა

XXVII ტური

**დინამო (დ)-მიუნხენ 1860** 0:1
გოლი: 0:1 ლაუთი (61)

**ფრანკფურტი-ალემანია** 2:1
გოლები: 1:0 გლედსონი (6), 1L1 აუერი (22), 2:1 გიორლიტცი (50)

**ბოხუმი-ინგოლშტადტი** 0:1
გოლი: 0:1 კაიუბი (89)

**ფიურტი-კარლსრუე** 3:0
გოლები: 1:0 შმიდტგალი (28), 2:0 ნერიგი (70-პენ), 3:0 ნიოთე (83)

**ფორტუნა-ბრაუნშვაიგი** 1:1
გოლები: 0:1 კუმბელა (27), 1:1 ბრიოკერი (47)

**ჰანზა-აუე** 0:1
გოლი: 0:1 ჰოხშაიდტი (22)

**პადერბორნი-დუისბურგი** 1:2
გოლები: 0:1 ვოლცე (11), 1:1 ბრიუკნერი (51), 1:2 დომოვჩიისკი (68)

**ზანკტ პაული-კოტბუსი** 0:0
**უნიონი-აინტრახტი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიურტი | 27 | 18 | 5 | 4 | 63-21 | 59 |
| 2. აინტრახტი | 26 | 16 | 7 | 3 | 61-27 | 55 |
| 3. ფორტუნა | 27 | 14 | 11 | 2 | 56-27 | 53 |
| 4. ზანკტ პაული | 27 | 15 | 6 | 6 | 45-27 | 51 |
| 5. პადერბორნი | 27 | 14 | 8 | 5 | 43-32 | 50 |
| 6. მიუნხენ 1860 | 27 | 14 | 4 | 9 | 49-37 | 46 |
| 7. უნიონი | 26 | 11 | 6 | 9 | 45-42 | 39 |
| 8. ბრაუნშვაიგი | 27 | 9 | 11 | 7 | 32-29 | 38 |
| 9. დინამო (დ) | 27 | 9 | 6 | 12 | 42-45 | 33 |
| 10. ბოხუმი | 27 | 9 | 4 | 14 | 35-45 | 31 |
| 11. კოტბუსი | 27 | 7 | 9 | 11 | 25-38 | 30 |
| 12. აუე | 27 | 7 | 9 | 11 | 26-43 | 30 |
| 13. ინგოლშტადტი | 27 | 6 | 10 | 11 | 33-45 | 28 |
| 14. ფრანკფურტი | 27 | 6 | 10 | 11 | 32-51 | 28 |
| 15. დუისბურგი | 27 | 7 | 6 | 14 | 32-41 | 27 |
| 16. ალემანია | 27 | 3 | 12 | 12 | 22-37 | 21 |
| 17. კარლსრუე | 27 | 5 | 5 | 17 | 26-57 | 20 |
| 18. ჰანზა | 27 | 2 | 11 | 14 | 24-47 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 – ოუშენი (ფიურტი), პრომშვიტცი (პადერბორნი); 13 – ა. მაიერი (აინტრახტი); 12 – როისლერი (ფორტუნა); 11 – ბაისტერი (ფორტუნა), ნიოთე (ფიურტი).

### III ბუნდესლიგა

**ხემნიტცი-ოსნაბრიუკი 3:1, ობერჰაუზენი-შტუტგარტი II 2:1, კარლ ცაისი-ვერდერი II 3:1, ზანდჰაუზენი-ბაბელსბერგი 4:0, ბურგჰაუზენი-ერფურტი 1:1, ზაარბრიუკენი-რეგენსბურგი 1:0, პროისენ მიუნსტერი-ვეენი 1:1, ჰაიდენჰაიმი-არმინია 2:1, ოფენბახი-დარმშტადტი 1:1, უნტერჰახინგი-აალენი 1:1.**

#### ვოლფსბურგი–ჰამბურგი 2:1

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო – ჰასებე, რუსი, ფელიპე ლოპესი, როდრიგესი – ჟოსუე (65. ირჟაჩეკი), პოლაკი (83. მადლუნგი) – მ. შეფერი, დეჟაგა – ჰელმესი (92. ვიერინია), მანჯუკიჩი.

**ჰამბურგი (4-2-2-1-1):** დრობნი – დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, აოგო – რინკონი, იაროლიმი (83. კაჩარი) – ილიჩევიჩი (80. ტიორე), იანსენი (76. სონი) – პეტრიჩი – ბერგი.

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (46), 1:1 ბერგი (47), 2:1 მ. შეფერი (75)

**გაფრთხილება:** ჟოსუე, პოლაკი, ფელიპე ლოპესი, ირჟაჩეკი – ვესტერმანი, რინკონი

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 25-16; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 15(4)-6(1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 30 000

#### ბაიერნი–ჰანოვერი 2:1

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – ლუის გუსტავო, პრანიჩი (57. ტიმოშჩუკი) – რობენი, კროოსი (78. თ. მიულერი), რიბერი – ოლიჩი (61. გომესი).

**ჰანოვერი (4-4-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, პოგატეცი, პანდერი – შტინდლი, შმიდებახი, პინტუ (61. შლაუდრაფი), რაუში – მ. დიუფი, აბდელაუ (66. ია კონანი).

**გოლები:** 1:0 კროოსი (36), 2:0 გომესი (68), 2:1 ია კონანი (74)

**გაფრთხილება:** პრანიჩი – ჩერუნდოლო, ია კონანი

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 12(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 69 000

#### ფრაიბურგი–კაიზერსლ. 2:0

**ფრაიბურგი (4-2-2-1-1):** ბაუმანი – მუიჯა, დიანიე (46. კრმასი), გინტერი, ზორგი – მაკიადი, შუსტერი – შმიდი, დ. კალიჯური (60. იენდრიშეკი) – გუედე (72. რაიზინგერი) – ფრაისი.

**კაიზერსლაუტერნი (4-1-2-2-1):** ზიპელი – დიკი, იაია, როდნი, ბუგერა – ბორისიუკი – დე ვიტი (72. სვიერჩოკი), ტიფერტი – შაჰანი, ფორტუნისი (77. შეხტერი) – დერშტროფი.

**გოლები:** 1:0 გუედე (8), 2:0 მაკიადი (14)

**გაფრთხილება:** დიანიე, ფრაისი - ბორისიუკი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10(3)-4(4); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 24 000

#### ბორუსია (მ)–ჰოფენჰაიმი 1:2

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – მარქსი (83. ლეკიე), ნოიშტედტერი – ჰერმანი (78. ვენდტი), არანგო – დე კამარგო (74. ჰანკე), როისი.

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა (82. ვესტერგაარდი), კომპერი, ჯონსონი – ვილიამსი (58. რობერტო ფირმინიო), ვაისი – ვუკჩევიჩი, სალიჰოვიჩი, რუდი – ბაბელი (69. შიპლოკი).

**გოლები:** 1:0 როისი (38), 1:1 რობერტო ფირმინიო (77), 1:2 ვუკჩევიჩი (79)

**გაფრთხილება:** მარქსი, ბრუვერსი, ვენდტი – სალიჰოვიჩი, კომპერი, რობერტო ფირმინიო

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12(3)-13(3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 52 796

#### ვერდერი–აუგსბურგი 1:1

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი – იგნიოვსკი, აფოლტერი, სოკრატისი, ჰართერცი – ფრიტცი – თრაიბული (78. ბიონიში), შმიტცი – იუნუზოვიჩი – ფიულკრუგი (86. თაი), როზენბერგი.

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – ვერჰეგი, სანკო, ს. ლანგკამპი, დავიდსი – ჰოსოგაი (80. კალსენ-ბრაკერი), ბაიერი – მ. ნდიენგი (74. ვერნერი), კოო, ბელინგჰაუზენი – ს. ჰაინი (67. მიოლდერსი).

**გოლები:** 1:0 ფიულკრუგი (61), 1:1 ვერჰეგი (92)

**გაფრთხილება:** ფრიტცი, აფოლტერი, როზენბერგი – დავიდსი, ვერჰეგი, ბაიერი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 17(5)-15(6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 40 208

#### მაინცი–ჰერტა 1:3

**მაინცი (4-2-2-1-1):** ვეტკლო – მ. კალიჯური, ბუნგერტი, კირხჰოფი, ზაბავნიკი – პოლანსკი (75. ივანშიტცი), სოტო – ნ. მიულერი (64. შტიბერი), ჩუპო-მოტინგი – ზიდანი (80. გავრანოვიჩი) – სალაი.

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, იანკერი, ბასტიანსი – ნიმაიერი, კობიაშვილი – რუკავიტსია, რაფაელი (92. პერდედაი), ბენ ჰატირა (65. ებერტი) – რამოსი (87. ლასოგა).

**გოლები:** 0:1 ბენ ჰატირა (41), 0:2 რამოსი (52), 1:2 ჩუპო-მოტინგი (58), 1:3 რამოსი (69)

**გაფრთხილება:** კირხჰოფი - ლელი

**კუთხური:** 12-8; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-13(6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 33 152

#### შალკე–ლევერკუზენი 2:0

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი – უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი (85. ჰიოგერი) – ფარფანი (87. პუკი), რაული, დრაქსლერი (76. ობასი) – ჰუნტელაარი.

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – და კოშტა (28. დერდიოკი), შვააბი, ტოპრაკი, კადლეცი (65. ოჩიპკა) – რაინარტცი, როლფესი – კასტრო, რენატო, შიურლე (71. ბარნეტა) – კისლინგი.

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (18), 2:0 ჰუნტელაარი (86)

**გაფრთხილება:** ჯონსი – კადლეცი, ტოპრაკი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 17(6)-8(2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 61 673

#### შტუტგარტი–ნიურნბერგი 1:0

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – საკაი, მასა, ნიდერმაიერი, ბოკა – კვისტი (61. გენტნერი), კუჟმანოვიჩი – ჰარნიკი, ჰაინალი (86. ბა), შიბერი – კაკაუ (90. გებჰარდტი).

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი – ფოილნერი, მარო, ვოლშაიდი, პინოლა – ბალიტში (81. პეკჰარტი), სიმონსი – ჩენდლერი, დიდავი (63. ჰეგელერი), პლუშეკი – ესვაინი (70. ბუნიაკუ).

**გოლი:** 1:0 კაკაუ (78)

**გაფრთხილება:** მასა, კაკაუ – მარო, ბალიტში

**კუთხური:** 4-14; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 8(2)-17(3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 55 800

#### კიოლნი–ბორუსია (დ) 1:6

**კიოლნი (4-2-2-2):** რენზინგი – ბრეჩკო, სერენო, ჟერომელი, აიხნერი (46. ჯემალი) – რიტერი, ლანიგი – კლემენსი, პეჟკო (77. იშაკი) – ნოვაკოვიჩი, პოდოლსკი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი (61. კელი), გიუნდოგანი – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა (81. ლაიტნერი), გროსკროიტცი (73. პერიშიჩი) – ლევანდოვსკი.

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (13), 1:1 პიშჩეკი (26), 1:2 კაგავა (47), 1:3 ლევანდოვსკი (52), 1:4 გიუნდოგანი (79), 1:5 კაგავა (80), 1:6 პერიშიჩი (84)

**გაფრთხილება:** პოდოლსკი

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 5(3)-15(9); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 50 000

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტური

# ენფილდის უბედური მეფე



პიტერ კრაუჩმა, ასე ლამაზად ჯერ არასოდეს გამიტანიაო

ტურის ცენტრალური მატჩი "სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართა. ლონდონური დერბის უმთავრესი ინტრიგა ჩემპიონთა ლიგის საგზური იყო. "მანჩესტერ სიტისთან" წაგების შემდეგ "ლურჯებმა" ზედიზედ მეორე თამაში ვერ მოიგეს და ამ მიზნის მიღწევა კიდევ უფრო საეჭვო გახადეს. დიდი ალბათობით, "ჩელსის" ფანებს **რობერტო დი მატეოთი** აღფრთოვანებამ მალე უნდა გაუაროს. საფეხბურთო ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ იტალიელის "ჩელსის" ახალი არაფერი უჩვენებია და პირველი 4 თამაშის მოგება ფეხბურთელთა მონდომების "ბრალი" უფროა, ვიდრე მწვრთნელის კვალიფიკაციის.

დი მატეოს იმანაც ვერ უშველა, რომ "მანჩესტერ სიტისთან" სუსტად მოთამაშე გუნდიდან 5 ფეხბურთელი დასვა სკამზე. მათ ნაცვლად კი **ჟოზე ბოსინგვა, ჯონ ტერი, მიკაელ ესიენი, დიდიე დროგბა** და **დენიელ სტარიჯი** ათამაშა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **ჰარი რედნაპს** საშუალება მიეცა მოედანზე **ვილიამ გალასი** გამოეყვანა. ფრანგ მცველს ბოლოს მე-20 ტურში, 3 იანვარს, "ვესტ ბრომვიჩთან" ჰქონდა ნათამაშები. მიუხედავად სტატუსისა და აქედან გამომდინარე მოლოდინისა, თამაშმა იმედები ვერ გაამართლა. შემტევი ფეხბურთით განთქმულმა გუნდებმა პირველი რეალური სახიფათო მომენტი 28-ე წუთზე შექმნეს - **ფრენკ ლემპარდს** ის იყო 8 მეტრიდან უნდა დაერტყა, რომ გალასმა ცოტა რისკიანად, თუმცა წესების დარღვევის გარეშე ითამაშა და მეტოქეს გზა კორპუსით გადაუღობა. ტაიმის მიწურულს კი **რაფაელ ვან დერ ვაარტს** ჯერ **პეტრ ჩეხმა** აუღო გაჭირვებით, დამატებაზე კი **ეშლი კოულმა** დაბლოკა ჰოლანდიელის დარტყმა. **ადებაიორის** თავური კი სანტიმეტრებში ასცდა ხარიხას. მოკლედ, პირველი 45 წუთი სულ ეს იყო.

მართალია, მეორე ტაიმში ტემპმა იმატა, მაგრამ საქმე რეალურ საგოლე სიტუაციებამდე მაინც არ მისულა. 73-ე წუთზე მასპინძელთა რიგებში საუკეთესომ, ესპანელმა **ხუან მატამ** საჯარიმო ძელს გაარტყა. 4 წუთში უკვე გალასს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ თავით არაზუსტად დაარტყა. 79-ე წუთზე კი ადებაიორს უნდა ემოქმედა უკეთ. **მოდრიჩის** პასით ტოგოელი ჩეხთან პირისპირ დარჩა, მას გვერდი იოლად აუარა და ცარიელ კარში დაარტყა, თუმცა ბურთი ხაზიდან **გარი კეჰილმა** გამოიტანა.

## ლამაზი გოლები და ფრე

"მანჩესტერ სიტი" რამდენადაც შეუჩერებელია საშინაო შეხვედრებში (15-დან 15 მოგება), იმდენად არასტაბილურია გასვლით დაპირისპირებებში და ის, რომ "იუნაიტედს" დღეს "ფულჰემთან" მოგების შემთხვევაში შეუძლია თანაქალაქელს 3 ქულით გადაასწროს, სწორედ ამის დამსახურებაა. **ტონი პულისის** გუნდი ზუსტად იმ ტაქტიკით თამაშობდა, როგორც უმრავლეს შემთხვევებში – უკანა ხაზი მაქსიმალურად გაამაგრა და თავის შანსს კონტრშეტევებზე ეძებდა. პირველი ნახევარი მაინცდამაინც სანახაობრივად გამორჩეული არ ყოფილა. ორჯერ **ედინ ჯეკოს** ჰქონდა გატანის შანსი, თითოჯერ კი **სამირ ნასრისა** და **მარიო ბალოტელის**. ერთხელაც კუთხურიდან ჩახვეული ბურთი ხაზიდან **პაბლო საბალეტამ** გამოიტანა. 59-ე წუთზე "ქალაქელებმა" გოლი გაუშვეს. ვეცდებით, აღვწეროთ, მაგრამ მკითხველს ვურჩევთ, აუცილებლად ნახონ იუთუბზე. ეს არ იყო უბრალოდ ლამაზი გოლი, ეს იყო შედევრი, რომელზეც თამაშის შემდეგ **პიტერ კრაუჩმა** ბრძანა, ასე ლამაზად ჯერ არასოდეს გამიტანიაო. "სიტის" საჯარიმოს კუთხიდან 3-4 მეტრში მდგარმა აყლაყუდა თავდამსხმელმა ბურთი აიგდო და ნახევარბრუნში **ჯო ჰარტის** კარის შორეულ მაღალ კუთხეში გაახვია. სტუმარმა პასუხი მალე გასცა. **იაია ტურემ** 30 მეტრიდან წინააღმდეგობის გარეშე გაისროლა. ბეგოვიჩს **უაიტჰედი** და **ჰუთი** ეფარებოდნენ, **შოუკროსმა** კი ნახტომში სცადა თავით მოგერიება და ბურთს მიმართულება შეუცვალა. მოკლედ, დაცვამ "ყველაფერი ილონა", რომ ბოსნიელ მეკარეს ბურთი ვერ აეღო.

## ლივერპულელობა არ კმარა

იმისთვის, რომ მწვრთნელმა "ლივერპულში" წარმატებით იმუშაოს, მხოლოდ ნაღდი ლივერპულელობა არ კმარა. მწვრთნელობას ცოდნა უნდა. ვეჭვობთ, **კენი დალგლიშმა** ოდესმე მერსისაიდელებს ჩემპიონატში რაიმე წარმატება ალირსოს. შოტლანდიელის ხელში "წითლები" მართლა საპლეიოფო გუნდად ჩამოყალიბდნენ. არა გვგონია, ამაში რამე საამაყო იყოს. რაც არის, არის. ფაქტია, რომ დალგლიში მწვრთნელია და სანამ სხვას არ მონახავენ, "ენფილდზე" სიტუაცია მან უნდა მართოს. ამისთვის კი მას ძირითადი 11 ფეხბურთელის გარდა სათადარიგოთა სკამზეც სჭირდება კვალიფიციური კადრი. "წითლებმა" ჯობია აღიარონ, რომ უზარმაზარი შეცდომები დაუშვეს სატრანსფერო პოლიტიკის წარმოებისას. ვიდრე თავიანთ სიჯიუტეს შესწირონ გუნდის მომავალი. რა უნდა მოგითხროთ თამაშზე, სადაც "ლივერპულმა" უიმედო აუტსაიდერთან სამარცხვინოდ წააგო? არც არაფერი. ჰოდა, გადავიდეთ სხვა თამაშზე.

## მეშვიდე გასროლა

"არსენალმა" პრემიერლიგაში ბოლო 7 თამაშიდან მე-7 მოიგო, რისი წყალობითაც მესამე ადგილზე დამკვიდრდა. ახლა მისი უპირატესობა "ტოტენჰემთან" უკვე 3 ქულაა. არადა, წარმატებული სერიის დაწყებამდე (4 თებერვალი, "ბლექბერნთან" 7:1) "დეზები" თანაქალაქელებს 12 ქულით უსწრებდნენ (!).

პირველი ხიფათი მასპინძელთა კართან შეიქმნა. კუთხურის შემდეგ **მარკუს ოლბრაიტონმა** ლამის მთელი მოედანი მარტომ გადაჭრა და შორიდანვე დაარტყა, მაგრამ **ვოიცეხ შჩესნის** კარს კარგა მანძილით ააცილა. "მეთოფეებმა" მეტოქე პირველად მე-9 წუთზე შეაწუხეს - უოლკოტის დარტყმა **შეი გივენმა** ცუდად მოიგერია, მაგრამ **სანიამ** დამატებაზე ვერ ივარგა. ანგარიში მაინც მალე გაიხსნა. **ჟერვინიომ გიბსი** მეკარეს პირისპირ შეჰყარა. ვეტერანი ირლანდიელი ახლო მანძილიდან ყუმბარისებურად დარტყმულს ვერ გაუმკლავდა. 25-ე წუთზე მასპინძლებმა მეორედ ივაჟკაცეს. **სონგის** პასი უოლკოტმა ტექნიკურად დაამუშავა და გივენს ახლოდან შანსი არ დაუტოვა. ტაიმის ბოლოს თავის გამოჩენა **ვან პერსისაც** შეეძლო, მაგრამ ჰოლანდიელის დარტყმა **უორნოკმა** კარის ხაზიდან გამოიტანა. თამაშის ბოლომდე მატჩის ხასიათი არ შეცვლილა. საბოლოო ანგარიში მსაჯის ფინალურ სასტვენამდე 1 წუთით ადრე დაფიქსირდა. სონგის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **არტეტამ** 28-29 მეტრიდან გივენისგან მარცხენა მაღალ კუთხეში "ჩააჭედა".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 30 | 22 | 4 | 4 | 72-22 | 70 |
| 2. იუნაიტედი | 29 | 22 | 4 | 3 | 73-27 | 70 |
| 3. არსენალი | 30 | 18 | 4 | 8 | 61-39 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 30 | 16 | 7 | 7 | 53-35 | 55 |
| 5. ჩელსი | 30 | 14 | 8 | 8 | 49-34 | 50 |
| 6. ნიუკასლი | 30 | 14 | 8 | 8 | 44-42 | 50 |
| 7. ლივერპული | 30 | 11 | 9 | 10 | 36-31 | 42 |
| 8. სანდერლენდი | 30 | 11 | 7 | 12 | 39-34 | 40 |
| 9. ევერტონი | 30 | 11 | 7 | 12 | 30-32 | 40 |
| 10. სუონსი | 30 | 10 | 9 | 11 | 34-36 | 39 |
| 11. ნორვიჩი | 30 | 10 | 9 | 11 | 41-47 | 39 |
| 12. სტოკ სიტი | 30 | 10 | 8 | 12 | 29-41 | 38 |
| 13. ფულჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 37-40 | 36 |
| 14. ვესტ ბრომვ. | 30 | 10 | 6 | 14 | 36-41 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 29 | 7 | 12 | 10 | 31-38 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 30 | 7 | 7 | 16 | 43-62 | 28 |
| 17. ბოლტონი | 29 | 8 | 2 | 19 | 33-58 | 26 |
| 18. ქუინზ პარკი | 30 | 6 | 7 | 17 | 33-53 | 25 |
| 19. უიგანი | 30 | 5 | 10 | 15 | 27-55 | 25 |
| 20. ვულვზი | 30 | 5 | 7 | 18 | 31-65 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 20 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი.

**მომდევნო ტური:**

31 მარტი: ასტონ ვილა-ჩელსი, ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი, ფულჰემი-ნორვიჩი, მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი, ქუინზ პარკი-არსენალი, უიგანი-სტოკ სიტი, ვულვზი-ბოლტონი

1 აპრილი: ნიუკასლი-ლივერპული, ტოტენჰემი-სუონსი

2 აპრილი: ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი

**ჩელსი-ტოტენჰემი 0:0**

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ბოსინგვა (60. ლუისი), გ. კეჰილი, ტერი, ა. კოული – რამირესი, ესიენი (75. ტორესი) – მატა, ლემპარდი, სტარიჯი (88. კალუ) - დროგბა

**ტოტენჰემი** (4-3-2-1): ფრიდელი – უოლკერი, კაბული, გალასი, ასუ ეკოტო – მოდრიჩი, პარკერი, სანდრო (77. ჯ. ლივერმორი) – ბეილი, ვან დერ ვაარტი (76. საა) - ადებაიორი

**გაფრთხილება:** ესიენი – ასუ-ეკოტო, სანდრო

**კარში დარტყმა:** 8-14(5-4), **კუთხური:** 6-5, **ჯარიმა:** 10-14, **თამაშგარე:** 2:0 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 41 830

**არსენალი-ასტონ ვილა 3:0**

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – სანია, ვერმალენი, ჯურუ, გიბსი (68. ანდრე სანტოსი) – არტეტა, სონგი – უოლკოტი (77. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), როსიცკი, ჟერვინიო (68. რემსი) – ვან პერსი

**ასტონ ვილა** (4-2-3-1): გივენი – ჰატონი (78. ლიჩაი), კოლინსი, კუელიარი, უორნოკი – ს. პეტროვი, ჰერდი (53. გარდნერი) – ოლბრაიტონი, აირლანდი, ჰესკი (65. ვაიმანი) - აგბონლაჰორი

**გოლები:** 1:0 გიბსი (16), 2:0 უოლკოტი (25), 3:0 არტეტა (90)

**გაფრთხილება:** - ს. პეტროვი, უორნოკი, აირლანდი, კოლინსი, ლიჩაი

**კარში დარტყმა:** 14-1(7-0), **კუთხური:** 15-5, **ჯარიმა:** 8-13, **თამაშგარე:** 2:3 **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 60 108

**ბოლტონი-ბლექბერნი 2:1**

**ბოლტონი** (4-3-3): ბოგდანი – სტეინსონი, უიტერი, რემი, რიკეტსი – მ. დევისი, რეო-კოკერი, პრეტლი – მიაიჩი, ნგოგი (79. კლასნიჩი), მ. პეტროვი

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – ლოუი, ს. დანი, ჰენლი, მარტინ ოლსონი – ფორმიკა (65. დ. დანი), ნზონზი, პედერსენი, მარკუს ოლსონი – ჰოილეტი, იაკუბუ

**გოლები:** 1:0 უიტერი (29), 2:0 უიტერი (35), 2:1 ნზონზი (56)

**გაფრთხილება:** - ლოუი, მარკუს ოლსონი

**კარში დარტყმა:** 9-7(3-2), **კუთხური:** 11-4, **ჯარიმა:** 8-4, **თამაშგარე:** 1:2 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 26 901

**ლივერპული-უიგანი 1:2**

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – ფლენაგანი, კარაგერი, შკრტელი, ხოსე ენრიკე – ჰენდერსონი (46. კეროლი), ჯერარდი, სპირინგი, დაუნინგი (73. შელვი) – კუიტი (სტირლინგი), სუარესი

**უიგანი** (4-4-2): ალ-ჰაბსი – ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა, ბოისი – მაკარტი, მაკარტური, ბოსეჟური (63. უოტსონი), მოზესი (42. კრუსატი) - მელონი, დი სანტო (82. სემონი)

**გოლები:** 0:1 მელონი (30-პენ), 1:1 სუარესი (47), 1:2 კოლდუელი (63)

**გაფრთხილება:** სუარესი – დი სანტო, ფიგეროა

**კარში დარტყმა:** 9-7(3-1), **კუთხური:** 6-0, **ჯარიმა:** 17-12, **თამაშგარე:** 2:1 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 44 431

**ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი 2:1**

**ნორვიჩი** (4-4-2): რუდი – რ. მარტინი, ე. უორდი, უითბრედი, ლაპინი (46. ნოუტონი) – ბენეტი (66. სერმანი), ფიქსი, ჰოუსონი, ჰოლაჰანი – ჰოლტი, ჯექსონი (73. მორისონი)

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი – სტირმანი, რ. ჯონსონი, ბასონგი, ს. უორდი – კაიტლი (89. გორმანი), ედვარდსი, ე. იონსონი (64. მილიაში), ჯარვისი – ს. ფლეტჩერი, დოილი (65. ებანს-ბლეიკი)

**გოლები:** 0:1 ჯარვისი (25), 1:1 ჰოლტი (26), 2:1 ჰოლტი (45-პენ)

**გაფრთხილება:** ჰოლტი, უითბრედი – იონსონი, ჯონსონი

**გაძევება:** ჰოლტი (86) -

**კარში დარტყმა:** 8-6(7-6), **კუთხური:** 5-5, **ჯარიმა:** 11-11, **თამაშგარე:** 2:4 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 26752

**სანდერლენდი-ქუინზ პარკი 3:1**

**სანდერლენდი** (4-4-4): მინიოლე – ოში (28. ფ. კემპბელი), კირიაკოსი, ტერნერი, ბრიჯი (70. მეილერი) – კ. გარდნერი, დ. ვონი, კოლბეკი, მაკლინი – ბენდტნერი (82. ელ მოჰამადი), სესინიონი

**ქუინზ პარკი** (): კენი – ლ.იანგი, ონუოჰა, ა. ფერდინანდი, ტაივო – ტაარაბტი (60. რაიტ-ფილიპსი), დერი, დიაკიტე (52. ბუჟაკი), მაკი – ზამორა (82. ბოთროიდი), სისე

**გოლები:** 1:0 ბენდტნერი (41), 2:0 მაკლინი (70), 3:0 სესინიონი (76), 3:1 ტაივო (79)

**გაფრთხილება:** კირიაკოსი, ბრიჯი – დიაკიტე, ლ. იანგი, ზამორა

**გაძევება:**L- სისე (55)

**კარში დარტყმა:** 16-10(7-4), **კუთხური:** 5-2, **ჯარიმა:** 11-1, **თამაშგარე:** 2:2 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 37 128

**სუონსი-ევერტონი 0:2**

**სუონსი** (4-5-1): ვორმი – რანხელი, კოლკერი, უილიამსი, ნ. ტეილორი – სინკლერი (72. მაკეხრანი), ბრიტონი, ალენი, სიგურდსონი, რუტლიჯი (71. ლიტა) – გრემი (71. მური)

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, დისტენი, იაგიელკა, ბეინსი – ოსმანი, გიბსონი (84. ჰეიტინგა), ტ. კეჰილი (58. ფელაინი), ნევილი, პიენაარი – იელავიჩი (სტრაკალურსი)

**გოლები:** 0:1 ბეინსი (59), 0:2 იელავიჩი (76)

**გაფრთხილება:** ალენი – გიბსონი, პიენაარი

**კარში დარტყმა:** 7-12(2-6), **კუთხური:** 3-3, **ჯარიმა:** 10-11, **თამაშგარე:** 1:1 **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 20 509

**სტოკ სიტი-მანჩესტერ სიტი 1:1**

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უიკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, მ. უილსონი – უოლტერსი, უაითჰედი, უელანი, ეთერინგტონი (81. პალასიოსი) – კრაუჩი (90. კ. ჯონსი), ჯერომი (51. პენანტი)

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა (83. მილნერი), მ. რიჩარდსი, კ. ტურე, კლიში - ი. ტურე, ბერი (74. ტევესი) – დ. სილვა (62. ა. ჯონსონი), ნასრი, ბალოტელი - ჯეკო

**გოლები:** 1:0 კრაუჩი (59), 1:1 ი. ტურე (76)

**გაფრთხილება:** უილსონი – ბერი, ი. ტურე

**კარში დარტყმა:** 8-12(2-7), **კუთხური:** 5-7, **ჯარიმა:** 15-14, **თამაშგარე:** 1:0 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 27 535

**ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი 1:3**

**ვესტ ბრომვიჩი** (4-1-4-1): ფოსტერი – ბ. ჯონსი, მაკაული, ჯ. ოლსონი, რიჯუელი – მულუმბუ (73. შარნერი) - ოდემვინგე, ენდრიუსი (46. ლონგი), მორისონი, ჯ. ტომასი (46. ბრანტი) - ფორჩუნი

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი (46. სანტონი), პერჩი – ბენ არფა (75. ამეობი), გატრი, კაბაი – პ. სისე (79. ფერგიუსონი), ბა

**გოლები:** 0:1 პ. სისე (6), 0:2 ბენ არფა (12), 0:3 პ. სისე (34), 1:3 ლონგი (52)

**გაფრთხილება:** უილიამსონი -

**კარში დარტყმა:** 8-10(2-7), **კუთხური:** 10-4, **ჯარიმა:** 10-5, **თამაშგარე:** 4:2 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 25 049

**დღეს:**

**მანჩესტერ იუნ.-ფულჰემი 23:00**

**ჩემპიონშიპი. XXXIX ტური**

**ბარნსლი-პიტერბორო 1:0**
გოლი: 1:0 კოტერილი (24)

**ბარნლი-ვესტ ჰემი 2:2**
გოლები: 1:0 ბარტლი (25), 2:0 ბერტლი (36), 2:0 ნოლანი (68), 2:2 ტომკინსი (70)

**ქოვენთრი-პორტსმუთი 2:0**
გოლები: 1:0 მაკშეფრი (55), 2:0 ნორდვუდი (77)

**დერბი-კრისტალ პალასი 3:2**
გოლები: 1:0 დევისი (6), 2:0 ჰენდრიკი (29), 3:0 რობინსონი (49), 3:1 მარტინი (79), 3:2 ემბროუზი (90)

**ლესტერი-ჰალ სიტი 2:1**
გოლები: 0:1 ფრაიატი (8), 1:1 დაიერი (18), 2:1 მარშალი (19)

**მიდლსბრო-ბრისტოლი 1:1**
გოლები: 0:1 ეფრაიმი (13), 1:1 მარტინი (56)

**მილუოლი-ლიდსი 0:1**
გოლი: 0:1 მაკორმაკი (65)

**ნოტინგემი-ბრაიტონი 1:1**
გოლები: 0:1 ვოუკსი (63), 1:1 ლინჩი (90)

**რედინგი-ბლეკპული 3:1**
გოლები: 1:0 ჰეირტი (30), 2:0 პირსი (35), 2:1 ლუალულა (41), 3:1 ლიგერტვუდი (60)

**საუთჰემპტონი-დონკასტერი 2:0**
გოლები: 1:0 შარპი (58), 2:0 შარპი (75)

**უოტფორდი-იპსვიჩი 2:1**
გოლები: 0:1 ემანუელ-ტომასი (18), 1:1 მიურეი (71), 2:1 დინი (82)

**ბირმინგემი-კარდიფი 1:1**
გოლები: 1:0 ჰასეკლეპი (68), 1:1 ჰადსონი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 39 | 23 | 9 | 7 | 72-35 | 78 |
| 2. რედინგი | 39 | 22 | 7 | 10 | 56-34 | 73 |
| 3. ვესტ ჰემი | 38 | 19 | 12 | 7 | 59-38 | 69 |
| 4. ბრაიტონი | 39 | 17 | 11 | 11 | 48-40 | 62 |
| 5. მიდლსბრო | 38 | 16 | 13 | 9 | 45-42 | 61 |
| 7. ბირმინგემი | 39 | 16 | 12 | 10 | 60-41 | 60 |
| 6. ბლეკპული | 39 | 16 | 12 | 11 | 66-56 | 60 |
| 8. კარდიფი | 39 | 15 | 15 | 9 | 57-50 | 60 |
| 9. ჰალ სიტი | 38 | 16 | 10 | 12 | 38-32 | 58 |
| 10. ლიდსი | 39 | 16 | 9 | 14 | 59-57 | 57 |
| 11. ლესტერი | 38 | 15 | 10 | 13 | 56-48 | 55 |
| 12. დერბი | 39 | 16 | 7 | 16 | 44-52 | 55 |
| 13. უოტფორდი | 39 | 14 | 12 | 13 | 46-55 | 54 |
| 14. კრისტალ პალ. | 38 | 13 | 14 | 11 | 39-35 | 53 |
| 15. იპსვიჩი | 38 | 15 | 6 | 17 | 61-67 | 51 |
| 16. ბარნლი | 38 | 14 | 8 | 16 | 50-47 | 50 |
| 17. ბარნსლი | 39 | 13 | 7 | 19 | 47-62 | 46 |
| 18. პიტერბორო | 38 | 12 | 8 | 18 | 59-62 | 44 |
| 19. მილუოლი | 39 | 10 | 10 | 19 | 44-54 | 40 |
| 20. ნოტინგემი | 38 | 11 | 6 | 21 | 41-59 | 39 |
| 21. ბრისტოლი | 39 | 9 | 9 | 21 | 33-62 | 36 |
| 22. ქოვენთრი | 39 | 8 | 11 | 20 | 35-52 | 35 |
| 23. დონკასტერი | 38 | 7 | 10 | 21 | 33-63 | 31 |
| 24. პორტსმუთი | 38 | 10 | 10 | 18 | 38-43 | 30 |

**ბომბარდირები:** 22 – რიჩარდი ლამბერტი (საუთჰემპტონი); 16 – კევინ ფილიპსი (ბლეკპული), როს მაკორმაკი (ლიდსი).

**ლიგა ერთი. XXXIX ტური**

ბრენტფორდი-როჩდეილი 2:0, კოლჩესტერი-კარლაისლი 1:1, ჰადერსფილდი-ჩარლტონი 1:0, ლეიტონი-შეფილდ უენ. 0:1, ოლდჰემი-ბორნმუთი 1:0, პრესტონი-ბერი 1:1, სკანტორპი-ნოთს ქაუნთი 0:0, ტრანმერი-ექსეტერი 2:0, უოლსოლი-სტივენეიჯი 1:1, უიკომბი-მილტონი 1:1, იოვილი-ჰარტლპული 0:1

# საალდგომო აქცია -25%

ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია

აქცია ძალაშია 2012 წლის 26 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით

WI 62 — 449 — 600 ბრ. — 85 / 60 / 53 — INDESIT

32AV703 LCD — 599 — 81სმ — TOSHIBA

ST 145 — 549 — 249 ლიტრი — 145 / 60 / 67 — გარანტია 3 წელი — INDESIT

## 100 დასახელების საქონელზე - 25%

TS 2181 — 54სმ — Prima — 169 ლარი

29181 PF - 249 ლარი — 72სმ — THOMSON

VCC4130S31 — 99 ლარი

VC5915VT31 — SAMSUNG — 129 ლარი

VCC4752V32 — 199 ლარი

9 BTU (30 კვ.მ) - 499 ლარი
12 BTU (40 კვ.მ) - 599 ლარი
18 BTU (60 კვ.მ) - 999 ლარი
DeLonghi

PHILIPS — 39 ლარი
Moulinex — 59 ლარი
Moulinex — 59 ლარი
Rowenta — 69 ლარი
Moulinex — 69 ლარი
ყავის მანქანა — Moulinex — 79 ლარი
ყავის საფქვავი — Moulinex — 89 ლარი
ბლენდერი — PHILIPS — 99 ლარი

## საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

- ბათუმი. პუშკინის №108. ტელ: 5(99) 65-65-28 - ახალი
- თელავი. ვარდოშვილის №1. ტელ: 2-238-662 - ახალი
- ვარკეთილი. სავ. ცენტრი "ფრესკო". ტელ: 2-236-007 - ახალი
- დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
- ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
- გლდანი, სავ. ცენტრი "ევრაზია". ტელ: 2-478-673
- სავ. ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
- სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
- რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
- გორი, ჭავჭავაძის 24. ტელ: 0-370-224-257

კუხლევან და ამირანა

რაც კი ირთვება „შტეფსელში", ყველაფერია ჩვენს ქსელში...

SAMSUNG INDESIT SONY Panasonic TOSHIBA PHILIPS Hotpoint ARISTON TEFAL Rowenta Moulinex THOMSON

ელექტრონიკა — დაბალი ფასების ტერიტორია — ტელ: 2 518 815

## უცხოური ფეხბურთი

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIX ტური

# რეკორდებზე მონადირენი

## კრიშტიანო-მესი=35+35



ეს ეს არის კრიშტიანო რონალდომ ლა ლიგაში თავისი მე-100 გოლი გაიტანა



ლეო მესი მალიორკელ პაბლო კასერესს გაურბის

ესეც ასე: „ვალენსიამ“ იმდენი გაანიავა, რომ მას პირველად გაუთანაბრდა „მალაგა“. ერთ დროს მყარი მესამეადგილოსანი, ახლა იმის საფრთხის წინაშეა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური საერთოდ დაკარგოს, წინ კი ვალენსიური დერბი ელის. სხვა მხრივ, ტურში „რეალის“ 6-ქულიანი ჰანდიკაპი შენარჩუნდა, ლიონელ მესის და კრიშტიანო რონალდოს კი ერთად უკვე 70 გოლი აქვთ ანგარიშზე!

### არ ხარ მართალი ძმაო, ალექსის!

რამდენიც არ უნდა ამტკიცოს **ალექსის სანჩესმა** არ შეხებია თავით ის ბურთს და ძალაა? ამიტომაც, სწორია - **ლეო მესიმ** მატჩის 25-ე წუთზე ფლანგიდან ჯარიმა ჩამოაწოდა, ბურთს გზად **სერხიო ბუსკეტსი** და ჩილელი ფორვარდი აცდნენ და არგენტინელმაც ლა ლიგაში 35-ე გოლი გაიტანა. **ხოსეპ გვარდიოლად** გუნდმა 3 მცველით ითამაშა „იბეროსტარის“ მდარე ხარისხის მინდვრის საფარზე და 2:0 მოიგო. ამით ჩემპიონმა „რეალთან“ ჩამორჩენა 3 ქულამდე დაიყვანა... მხოლოდ 2 საათით.

მეორე ტაიმში გოლი ისევ მესის დარტყმას მოჰყვა, **კარლეს პუიოლმა** საჯარიმოში არგენტინელი მოძებნა, რომლის დარტყმულიც **დუდუ ავატეს** კარის ძელმა მოიგერია, გამოვარდნილ ბურთს კი პირველმა **ჟერარდ პიკემ** მიუსწრო. წარმოიდგინეთ, „ბარსას“ 3 მცველიდან ორმა საგოლე შეტევაში მიიღო მონაწილეობა!

### კრიშტიანო, ჯერ 100, მერე 101-ც

„რეალმა“ ორმატჩიანი მოუგებელი სერია უკან ბასკურ „რეალ სოსიედადზე“ გულის ჯერებით მოიპოვა - 5:1. სათადარიგოთა სკამიდან გუნდს **აიტორ კარანკა** ხელმძღვანელობდა, არ იყვნენ დისკვალიფიცირებულები: **პეპე, იოზილი** და **დიარა**, მაგრამ სტუმრებს **ქარიმ ბენზემას** მონადინება და **კრიშტიანო რონალდოს** კარგი თამაშიც ეყო - 5:1. პირველი გოლი ბენზემას პასით **გონსალო იგუაინმა** გაიტანა. დიახ, ამჯერად ორივე ფორვარდმა ითამაშა, თუმცა ბენზემა ფლანგიდან მოქმედებდა.

ბენზემამ და რონალდომ დუბლები შეასრულეს. განსაკუთრებით ალსანიშნავია კრიშტიანოს პირველი გოლი, რადგან ის საიუბილეო, მე-100 გახლდათ პორტუგალიელი ფორვარდისთვის ლა ლიგაში. ამ მატჩის წყალობით რონალდო მესის გაუთანაბრდა ბომბარდირთა დავაში.

### უი...

არადა, „ვალენსიამ“ კარგად დაიწყო - **ჟონასმა** ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ **რობერტო სოლდადოს** გაეტანა, „ღამურების“ გოლეადორმაც ახლო კუთხეში აულებლად დაარტყა და შემდეგ გოლი არ იზეიმა, რადგან „ხეტაფე“ მისი ყოფილი გუნდია. ამის შემდეგ პირველივე ტაიმში **უნაი ემერის** გუნდმა სამი ბურთი მიიღო.

„ვალენსიასთვის“ 2012 წელი ძალიან ცუდად დაიწყო - გუნდის ანგარიშზე მხოლოდ სამი გამარჯვებაა ლამის სამ თვეში.

### გამოტირებულის გამოღვიძება

„ლა რომარედაზე“ იმედი გაღვივდა - ერთ დროს უიმედო აუტსაიდერმა „სარაგოსამ“ „ვალენსიას“ „ატლეტიკოც“ მიაყოლა - 95-ე წუთზე **აპონიოს** პენალტი გადამწყვეტი გამოდგა ამ მატჩში - 1:0. მსაჯმა **ალბერტო უნდიანომ პოშტიგასა** და **გოდინის** ორთაბრძოლაში ამ უკანასკნელის ჯარიმა შეანიშნა და პენალტი დანიშნა.

### ბებერ ხართა რქებით მოხნული ელ პრატი

ბარსელონაში ძალზე საინტერესო მატჩი გაიმართა, რომელშიც **მანუელ პელეგრინის** „მალაგამ“ მეორე ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში შეხვედრის ჩარხი შემოატრიალა და „ესპანიოლი“ უქულოდ დატოვა - 2:1. გამოცდილება თავისას შვება - ეს კი **რუუდ ვან ნისტელროისა** და **მარტინ დემიკელისს** არ აკლიათ, სწორედ მათი გოლების წყალობით „მალაგა“ ცხრილში პირველად გაუთანაბრდა მესამეადგილოსან „ვალენსიას“. ამ შეხვედრაში შედგა **კარლოს კამენის** დებიუტი „მალაგაში“, მან ტრავმირებული **ვილი კაბალიერო** შეცვალა პირველ ტაიმში და კარი „მშრალად“ შეინახა. არადა, კამენი სწორედ „ესპანიოლიდან“ გადავიდა ანდალუსიაში.

### სან ანდრეს ფერნანდესი

„ლევანტეს“ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა, რადგან „ოსასუნას“ კარს **ანდრეს ფერნანდესი** იცავდა. 25 წლის მეკარემ ისე ითამაშა, რომ თამაშის ბოლოსკენ სტუმართა მცირერიცხოვანი ფანები მას „სან ანდრეს ფერნანდესს“ უწოდებდნენ. არც „ოსასუნას“ ნახევარმცველ **რაულ გარსიას** დავუკარგოთ დამსახურება, ის ძალიან ეფექტური იყო „ელ პრატზე“.

### კლემენტეს ღირსეული დაბრუნება

**ხავიერ კლემენტე** „სან მამესზე“ დაბრუნდა და არ დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ „სპორტინგის“ ახალი თავკაცი ბილბაოში თამაშობდა და მწვრთნელადაც თავი იქ გაითქვა. ანგარიში ბასკებმა გახსნეს, 77-ე წუთზე **ოსკარ დე მარკოსმა იკერ მუნიაინის** პასით გაიტანა, მაგრამ ბოლო წუთზე აუტსაიდერმა გაათანაბრა - თავი **ალბერტო რამოსმა** იგივე **ლორამ** გამოიჩინა.

კიდევ ერთმა აუტსაიდერმა, „ვილიარეალმა“ სულაც მოიგო სტუმრად მადრიდში, ხოლო „რასინგმა“ ასევე სტუმრად ქულა მოიპოვა. მოკლედ, აუტსაიდერებმა კარგად ითამაშეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 29 | 24 | 3 | 2 | 95-26 | 75 |
| 2. ბარსელონა | 29 | 21 | 6 | 2 | 84-22 | 69 |
| 3. ვალენსია | 29 | 13 | 8 | 8 | 45-36 | 47 |
| 4. მალაგა | 29 | 14 | 5 | 10 | 44-41 | 47 |
| 5. ლევანტე | 29 | 13 | 5 | 11 | 41-40 | 44 |
| 6. ოსასუნა | 29 | 10 | 13 | 6 | 34-41 | 43 |
| 7. ესპანიოლი | 29 | 11 | 7 | 11 | 37-39 | 40 |
| 8. ატლეტიკო | 29 | 10 | 9 | 10 | 39-35 | 39 |
| 9. ხეტაფე | 29 | 10 | 9 | 10 | 31-36 | 39 |
| 10. ბილბაო | 29 | 9 | 11 | 9 | 44-40 | 38 |
| 11. ვალეკანო | 29 | 11 | 4 | 14 | 42-49 | 37 |
| 12. სევილია | 28 | 9 | 9 | 10 | 30-31 | 36 |
| 13. მალიორკა | 29 | 9 | 9 | 11 | 31-37 | 36 |
| 14. სოსიედადი | 29 | 9 | 6 | 14 | 32-45 | 33 |
| 15. ბეტისი | 29 | 9 | 5 | 15 | 33-43 | 32 |
| 16. ვილიარეალი | 29 | 7 | 10 | 12 | 30-42 | 31 |
| 17. გრანადა | 28 | 9 | 4 | 15 | 27-43 | 31 |
| 18. რასინგი | 29 | 4 | 13 | 12 | 23-44 | 25 |
| 19. სპორტინგი | 29 | 6 | 7 | 16 | 28-54 | 25 |
| 20. სარაგოსა | 29 | 6 | 7 | 16 | 25-51 | 25 |

**ბომბარდირები:** 35 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 18 - გონსალო იგუაინი (რეალი)

#### მომდევნო ტური

31 მარტი: რასინგი-გრანადა, სპორტინგი-სარაგოსა, ოსასუნა-რეალი, ბარსელონა-ბილბაო, მალაგა-ბეტისი.

1 აპრილი: ატლეტიკო-ხეტაფე, ვალენსია-ლევანტე, რეალ სოსიედადი-რაიო ვალეკანო, ვილიარეალი-ესპანიოლი.

2 აპრილი: სევილია-მალიორკა.

#### სეგუნდა დივიზიონი. XXX ტური

**ვილიარეალი II-მურსია 2:0**
გოლები: 1:0 პორკარი (53), 2:0 ბორდასი (74)

**ერკულესი-ხიმნასტიკი 1:3**
გოლები: 0:1 მორანი (38), 0:2 როდრი (45), 1:2 ჟილვან ვიეირა (50), 1:3 მორანი (90)

**უელვა-ალკორკონი 1:2**
გოლები: 0:1 ნაგორე (23), 1:1 პ. სანჩესი (50-პენ), 1:2 ბაბინი (64)

**საბადელი-გვადალახარა 2:2**
გოლები: 0:1 სურდო (39), 1:1 იდალგო (44), 1:2 ბედია (59), 2:2 ტოლემესი (90)
გაძევება: მორენო (80. გვადალახარა)

**კარტახენა-ხირონა 1:1**
გოლები: 0:1 კორომინასი (7), 1:1 კოლანტესი (40)

**უესკა-სელტა 1:1**
გოლები: 1:0 დ. ვასკესი (22), 1:1 ტომასი (87)

**ხერესი-ელჩე 0:0**

**ლას პალმასი-ალმერია 2:2**
გოლები: 0:1 ულოა (48), 1:1 გერერო (63), 1:2 ულოა (70), 2:2 დ. გარსია (80)

**ბარსელონა II-ალკოიანო 2:1**
გოლები: 0:1 გატო (9), 1:1 როდრი (22), 2:1 დონგუ (81)

**ნუმანსია-ვალიადოლიდი 1:4**
გოლები: 0:1 გუერა (33), 0:2 სისი (38), 0:3 ვ. პერესი (42), 1:1 ხ. ალვარესი (52), 1:2 გუერა (59)

**დეპორტივო-კორდობა 2:0**
გოლები: 1:0 ბორხა (21), 2:0 აიტამი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 30 | 21 | 3 | 6 | 52-29 | 66 |
| 2. სელტა | 30 | 18 | 5 | 7 | 56-28 | 59 |
| 3. ვალიადოლიდი | 30 | 15 | 10 | 5 | 47-27 | 55 |
| 4. ალმერია | 30 | 13 | 12 | 5 | 51-36 | 51 |
| 5. ერკულესი | 30 | 16 | 3 | 11 | 36-27 | 51 |
| 6. კორდობა | 30 | 14 | 8 | 8 | 33-27 | 50 |
| 7. ელჩე | 30 | 14 | 5 | 11 | 43-33 | 47 |
| 8. ალკორკონი | 30 | 13 | 8 | 9 | 40-32 | 47 |
| 9. ლას პალმასი | 30 | 12 | 8 | 10 | 42-40 | 44 |
| 10. ნუმანსია | 30 | 11 | 10 | 9 | 39-36 | 43 |
| 11. ბარსელონა II | 30 | 11 | 9 | 10 | 46-38 | 42 |
| 12. უელვა | 30 | 10 | 8 | 12 | 38-35 | 38 |
| 13. საბადელი | 30 | 9 | 11 | 10 | 34-45 | 38 |
| 14. ხერესი | 30 | 10 | 7 | 13 | 35-41 | 37 |
| 15. ვილიარეალი II | 30 | 9 | 9 | 12 | 40-46 | 36 |
| 16. მურსია | 30 | 10 | 6 | 14 | 34-43 | 36 |
| 17. გვადალახარა | 30 | 9 | 6 | 15 | 32-53 | 33 |
| 18. უესკა | 30 | 7 | 9 | 14 | 33-46 | 30 |
| 19. ალკოიანო | 30 | 6 | 9 | 15 | 31-50 | 27 |
| 20. კარტახენა | 30 | 5 | 10 | 15 | 20-42 | 25 |
| 21. ხირონა | 30 | 5 | 9 | 16 | 34-48 | 24 |
| 22. ხიმნასტიკი | 30 | 5 | 9 | 16 | 25-39 | 24 |

**ბომბარდირები:** 23 - ულოა (ალმერია); 13 - ბ. გარსია (კორდობა); 12 - ასპასი (სელტა).

#### მალიორკა-ბარსელონა 0:2

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ჩიკო (52. ნსუე), ნუნიეში, რამისი, პ. კასერესი - პერეირა, ტისონე (74. ალფარო), მარტი, კასტრო - ვიქტორი, ალვარო (52. ჰემედი).
**ბარსელონა (3-4-3):** ვალდესი - პუიოლი, მასკერანო, პიკე - ტ. ალკანტარა, ფაბრეგასი (59. მონტოია), ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი (81. ტელიო), მესი, პედრო (67. კეიტა).
**გოლები:** 0:1 მესი (25), 0:2 პიკე (78)
**გაფრთხილება:** პერეირა, რამისი - ალკანტარა, პუიოლი
**გაძევება:** ალკანტარა (56)
**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 18-7; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 10-18 (2-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.
**მაყურებელი:** 17 000

#### რეალი-სოსიედადი 5:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა (76. შაჰინი), ჩაბი ალონსო - ბენზემა (76. კოენტრაო), კაკა, რონალდო (80. ხესე) - იგუაინი.
**რეალ სოსიედადი (5-4-1):** ბრავო - კადამურო (73. პარდო), დემიდოვი, ი. მარტინესი, მ. გონსალესი (44. ზურუტუზა), დე ლა ბელა - ჩაბი პრიეტო, არანბურუ, ილარამენდი, გრიზმანი - აგირეჩე (57. ველა).
**გოლები:** 1:0 იგუაინი (5), 2:0 რონალდო (32), 3:0 ბენზემა (40), 3:1 ჩაბი პრიეტო (41), 4:1 ბენზემა (48), 5:1 რონალდო (55)
**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო - ი. მარტინესი, მ. გონსალესი, დე ლა ბელა, დემიდოვი
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19-11 (10-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
**მაყურებელი:** 80 000

#### ხეტაფე-ვალენსია 3:1

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატადიასი, ალექსისი, მანე - მიჩელი, ლასენი - რიოსი (85. სარაბია), დ. კასტრო, გავილანი (68. კასკერო) - მიკუ (77. გუისა).
**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბრუნო (68. მატიო), რამი, რუისი, ალბა - პარეხო, მ. თოპალი - ფეგული, ჟონასი (76. ადურისი), პიატი (60. პ. ერნანდესი) - სოლდადო.
**გოლები:** 0:1 სოლდადო (5), 1:1 რიოსი (12), 2:1 მიკუ (24), 3:1 ბრუნო (30 ს.კ.)
**გაფრთხილება:** მიკუ, მიჩელი, რიოსი - ბრუნო, სოლდადო, პიატი, პარეხო, რუისი
**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 9-10 (4-4); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.
**მაყურებელი:** 10 000

#### სარაგოსა-ატლეტიკო 1:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ლანძარო (64. ედუ ორიოლი), მატეოსი (79. ხუან კარლოსი), პარედესი, აბრაამი - დუიმოვიჩი (48. რუბენ მიკაელი), პინტერი - ლუის გარსია, აპონიო, ობრადოვიჩი - პოშტიგა.
**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - პერეა, გოდინი, დომინგესი, ფილიპე ლუიში - სალვიო (69. დიეგო), ასუნსაო (60. მ. სუარესი), კოკე (62. მერიდა), არდა თურანი - ადრიან ლოპესი, ფალკაო.
**გოლი:** 1:0 აპონიო (95-პენ)
**გაფრთხილება:** სალვიო, კოკე, დიეგო, სუარესი, გოდინი
**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 12-12 (3-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 33 000

#### ლევანტე-ოსასუნა 0:2

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, კაბრალი, ხუანფრანი - ხ. ტორესი (65. რ. სუარესი), იბორა (81. ფარინოსი) - ვალდო (70. ელ ჟარი), ლეზალი, ბარკერო - კონე.
**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი (86. რაიტალა), როვერსიო, ფლანიო, დამია - პუნიალი, ლო - სეხუდო (63. ლოლო), რ. გარსია, ნინო - ომვუ (70. ლამა).
**გოლები:** 0:1 რ. გარსია (15), 0:2 ნინო (78)
**გაფრთხილება:** ტორესი, ვენტა - გარსია, როვერსიო
**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 20-12 (7-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 20 000

#### ესპანიოლი-მალაგა 1:2

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, ფორლინი, დიდაკ ვილა - ბაენა (80. პანდიანი), კ. გომესი (73. ალბინი) - ვეისი (61. რომარიკი), ვერდიუ, კოუტინიო - კ. უჩე.
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო (33. კამენი) - ს. სანჩესი, ველიგტონი, მატეისენი, მონრეალი - დემიკელისი, მარესკა (72. ვან ნისტელროი) - კასორლა, ისკო, ელიზეუ (59. სება ფერნანდესი) - რონდონი.
**გოლები:** 1:0 კოუტინიო (23), 1:1 ვან ნისტელროი (75), 1:2 დემიკელისი (77)
**გაფრთხილება:** დიდაკ ვილა, ლოპესი, ბაენა - დემიკელისი
**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 17-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 24 000

#### ბილბაო-სპორტინგი 1:1

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - ანდერი (46. ი. გომესი), იტურასპე, დე მარკოსი - სუსაეტა, ფ. ლორენტე (86. ი. პერესი), მუნიაინი (83. ტოკერო).
**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, ორფილა - ეგურენი (77. ტრეხო), ანდრე კაშტრო - მენდი (56. ბარალი), დე ლას კუევასი, რივერა - კოლუნგა (67. აიოსე).
**გოლები:** 1:0 დე მარკოსი (76), 1:1 ლორა (90)
**გაფრთხილება:** დე მარკოსი - ეგურენი, ანდრე კაშტრო, ბოტია, ორფილა
**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 12-11 (4-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.
**მაყურებელი:** 38 000

#### ვალეკანო-ვილიარეალი 0:2

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** ხოელი - ტიტო, არიბასი, ლაბაკა, კასადო () - ფუეგო, ტრაშორასი (65. მოვილია) - პიტი (), მიჩუ, არმენტეროსი - დ. კოშტა.
**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, საპატა, მუსაჩიო, ხ. ორიოლი - ბ. ვალერო (79. მარტინუჩო), სენა, ბრუნო, კანი (71. კამუნიასი) - ნილმარი (52. ა. ლოპესი), მ. რუბენი.
**გოლები:** 0:1 მ. რუბენი (29), 0:2 ა. ლოპესი (85)
**შენიშვნა:** მ. რუბენმა ვერ გაიტანა პენალტი (54)
**გაფრთხილება:** კასადო, არიბასი, ტიტო - ბრუნო
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-13 (4-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.
**მაყურებელი:** 10 000

#### ბეტისი-რასინგი 1:1

**ბეტისი (4-4-2):** ფაბრისიო - ნელსონი, პაულაუ, დორადო, ნაჩო - ხ. პერეირა (64. ა. მარტინესი), ბენატი (63. სევილია), კანიასი, მონტეირო - რ. კასტრო, სანტა კრუსი (76. მოლინა).
**რასინგი (4-2-3-1):** მარიო - ფრანსისი (65. ხ. მარტინესი), ტორეხონი, ბერნარდო სუნიგა, კრისტიანი - დიოპი, გულონი (55. მუნიტისი) - არანა, ბედია, ადრიანი (73. სტუანი) - ბაბაკარი.
**გოლები:** 1:0 სანტა კრუსი (18), 1:1 სტუანი (78)
**გაფრთხილება:** დორადო, ნაჩო, პაულაუ, ტორეხონი - კრისტიანი, გულონი, არანა, სტუანი, ბედია
**კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-11 (7-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 40 000

**გრანადა-სევილია დღეს. 23:00**

#### ტურის ამბების აკიდო

**მალიორკა-ბარსელონა 0:2:** **ლეო მესი** ლამის ყოველ მატჩში წერს ისტორიას - ამჯერად, მან სეზონის 35-ე გოლით ერთ სეზონში გოლების რაოდენობით **რონალდოს** ბარსელონური რეკორდი (34 გოლი) დაამხო. რონალდოში, ბუნებრივია, ბრაზილიელი ფორვარდი ვიგულისხმეთ.

**რეალი-რეალ სოსიედადი 5:1:** ამ მატჩის მიმდინარეობისას „რეალის“ სპორტული დირექტორი **ზინედინ ზიდანი** სათადარიგო სკამზე შენიშნეს. *„დიახ, მომავალში შეიძლება მწვრთნელობა დავიწყო, ახლა კი ამ საქმის სწავლით ვარ დაკავებული“*, - უთხრა „რადიო ფრანსს“ დიდმა ფრანგმა ფეხბურთელმა.

**რეალი-რეალ სოსიედადი 5:1:** „რეალის“ ბოიკოტი გრძელდება - თამაშის შემდეგ არც **აიტორ კარანკა** გამოცხადებულა პრესკონფერენციაზე და არც „რეალის“ ფეხბურთელებს მიუციათ ოფიციალური კომენტარები მედიისთვის.

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXV ტური

| | |
|---|---|
| ვილჰელმსჰავენი-ჰალეშერი | 2:0 |
| ჰამბურგი II-მეპენი | 3:0 |
| ჰანოვერი II-სტ. პაული II | 3:0 |
| ჰერტა II-კილი | 1:0 |
| ჰაველსე-ვოლფსბურგი II | 0:2 |
| კოტბუსი II-მოისელვიცი | 1:3 |
| მაგდებურგი-ბერლინერი | 1:2 |
| პლაუენი-ლაიპციგი | 1:5 |
| ლიუბეკი-გერმანია | 1:2 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XXV ტური

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ფრაიბურგი II | 0:1 |
| შტ. კიკერსი-ფიურტი II | 4:0 |
| მემინგენი-ზონენჰოფი | 0:0 |
| კასელი-ვორმატია | 1:1 |
| ინგოლშტადტი II-მიუნხენი II | 1:2 |
| კარლსრუე II-ბაიერნი (ა) | 1:0 |
| ნიურნბერგი II-აინტრახტი II | 4:0 |
| ჰფიულენდორფი-ჰოფენჰაიმი II | 1:1 |
| ბაიერნი II-ფრანკფურტი II | 0:2 |

### რეგიონალლიგა (დას)

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ტრირი-კობლენცი | 0:0 |
| ვიდენბრუკი-ელვერსბერგი | 0:1 |
| ვუპერტალი-ბოხუმი II | 3:0 |
| ლევერკუზენი II-გლადბახი II | 1:2 |
| დორტმუნდი II-ფორტუნა (კ) | 4:1 |
| კაიზერი II-ესენი | 1:2 |
| შალკე II-მაინცი II | 1:1 |
| ლოტე-ფერლი | 2:1 |
| ობერჰაუზენი-კიოლნი II | 1:1 |

## ავსტრია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-მატერსბურგი | 1:1 |
| ადმირა-ზალცბურგი | 2:2 |
| აუსტრია-შტურმი | 1:1 |
| ვინერი-რიდი | 1:1 |
| ვაკერი-რაპიდი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 27 | 12 | 9 | 6 | 42-26 | 45 |
| 2. რაპიდი | 27 | 10 | 12 | 5 | 37-25 | 42 |
| 3. რიდი | 27 | 10 | 10 | 7 | 36-28 | 40 |
| 4. აუსტრია | 27 | 10 | 10 | 7 | 40-35 | 40 |
| 5. ადმირა | 27 | 10 | 8 | 9 | 42-38 | 38 |
| 6. შტურმი | 27 | 9 | 10 | 8 | 36-32 | 37 |
| 7. ტიროლი | 27 | 8 | 12 | 7 | 26-29 | 36 |
| 8. მატერსბურგი | 27 | 7 | 10 | 10 | 32-31 | 31 |
| 9. ვინერი | 27 | 6 | 11 | 10 | 20-33 | 29 |
| 10. კაპფენბერგი | 27 | 4 | 6 | 17 | 17-51 | 18 |

## კვიპროსი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| აპოელ-ომონია | 0:0 |
| აეკ-ანაგენისი | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-ერმისი | 3:1 |
| აპოლონი-ანორთოსისი | 1:1 |
| ენოსისი-ალკი | 2:0 |
| ეთნიკოსი-აელ | 0:1 |
| ნეა სალამისი-არისი | 2:0 |

## დანია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-სონდერიისკი | 1:2 |
| ოდენსე-კიოგე | 2:4 |
| ჰორსენსი-ნორდსილანდი | 0:2 |
| სილკებორგი-კოპენჰაგენი | 0:0 |
| ბრონდბიუ-ლუნგბიუ | 2:1 |
| მიდტიულანდი-აგფ ორჰუსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 22 | 13 | 6 | 3 | 34-17 | 45 |
| 2. ნორდსილანდი | 22 | 13 | 3 | 6 | 30-16 | 42 |
| 3. ჰორსენსი | 22 | 10 | 5 | 7 | 36-30 | 35 |
| 4. მიდტიულანდი | 21 | 10 | 4 | 7 | 32-29 | 34 |
| 5. აგფ ორჰუსი | 21 | 7 | 10 | 4 | 26-20 | 31 |
| 6. სილკებორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 34-30 | 31 |
| 7. ოლბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 31-29 | 31 |
| 8. ბრონდბიუ | 22 | 7 | 7 | 8 | 25-25 | 28 |
| 9. ოდენსე | 22 | 7 | 5 | 10 | 36-38 | 26 |
| 10. სონდერიისკი | 22 | 6 | 6 | 10 | 25-36 | 24 |
| 11. ლუნგბიუ | 22 | 5 | 3 | 14 | 21-37 | 18 |
| 12. კიოგე | 22 | 3 | 5 | 14 | 23-46 | 14 |

## სერბეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| სევოინო-სპარტაკი | 2:0 |
| იაგოდინა-რადი | 1:1 |
| ბასკ-ივაორი | 1:0 |
| ოფკ-ვოივოდინა | 1:0 |
| რადნიჩკი-ბორჩა | 1:1 |
| ცრვენა ზვეზდა-ბორაცი | 2:0 |
| მეტალაცი-სმედერევო | 0:1 |
| ჰაიდუკი-პარტიზანი | 0:2 |

## სლოვაკეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ტრნავა-დ. სტრედა | 3:0 |
| ბისტრიცა-ნიტრა | 1:1 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 2:2 |
| შენიცა-ტატრანი | 2:2 |
| ჟილინა-კოშიცე | 1:0 |
| მორავცე-რუჟომბეროკი | 3:5 |

## სლოვენია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| დომჟალე-ნაფტა | 0:0 |
| რუდარი-გორიცა | 1:0 |
| მურა-ოლიმპია | 1:0 |
| ტრიგლავი-კოპერი | 0:2 |
| მარიბორი-ცელიე | 3:1 |

## საბერძნეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| არისი-პანიონიოსი | 4:2 |
| ატრომიტოსი-ქსანთი | 1:0 |
| ოფი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| დოქსა-ლევადია | 0:2 |
| აეკ-პანაიტოლიკოსი | 1:0 |
| იანინა-ერგოტელისი | 1:1 |
| კერკირა-პაოკ | 0:4 |
| ოლიმპიაკოსი-ასტერასი | 7:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 26 | 20 | 4 | 2 | 63-16 | 64 |
| 2. პანათინაიკოს | 26 | 18 | 3 | 5 | 44-23 | 57 |
| 3. ატრომიტოსი | 26 | 13 | 8 | 5 | 30-22 | 47 |
| 4. პაოკ | 26 | 13 | 7 | 6 | 39-21 | 46 |
| 5. აეკ | 26 | 13 | 6 | 7 | 32-25 | 45 |
| 6. არისი | 26 | 10 | 9 | 7 | 27-23 | 39 |
| 7. ასტერასი | 26 | 11 | 5 | 10 | 23-30 | 38 |
| 8. ოფი | 26 | 9 | 6 | 11 | 23-24 | 33 |
| 9. ლევადია | 26 | 8 | 6 | 12 | 26-37 | 30 |
| 10. ქსანთი | 26 | 8 | 5 | 13 | 25-30 | 29 |
| 11. იანინა | 26 | 7 | 8 | 11 | 24-29 | 29 |
| 12. პანიონიოსი | 26 | 8 | 5 | 13 | 23-28 | 29 |
| 13. ერგოტელისი | 26 | 7 | 6 | 13 | 22-36 | 27 |
| 14. პანაიტოლიკ | 26 | 6 | 7 | 13 | 18-30 | 25 |
| 15. კერკირა | 26 | 6 | 6 | 14 | 23-40 | 24 |
| 16. დოქსა | 26 | 4 | 3 | 19 | 9-37 | 15 |

## ირლანდია

IV ტური

| | |
|---|---|
| ბრეი-დროგედა | 2:4 |
| დერი-კორკი | 2:0 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 2:1 |
| მონეგანი-სლიგო | 0:1 |
| შემროკი-შელბურნი | 4:0 |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 0:0 |

### II დივიზიონი

IV ტური

ლიმერიკი-გალვეი 3:0; მერვუ-ეთლონი 0:1; ლონგფორდი-უოტერფორდი 3:2; ფინ ჰარპსი-უექსფორდი 0:1.

## ნორვეგია

I ტური

| | |
|---|---|
| მოლდე-სტრომსგოდსეტი | 2:1 |
| ჰონეფოსი-ლილესტრომი | 0:0 |
| ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 0:4 |
| სტაბეკი-ოლესუნდი | 0:0 |
| ტრომსო-ფრედრიკსტადი | 1:0 |
| ვოლერენგა-ჰაუგესუნდი | 2:1 |
| როზენბორგი-ბრანი | 3:1 |
| სანდნესი-ვიკინგი | დღეს |

## შვეიცარია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბაზელი-სერვეტი | 5:0 |
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 1:0 |
| სიონი-ლოზანა | 1:0 |
| იანგ ბოიზი-თუნი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 23 | 14 | 7 | 2 | 46-20 | 49 |
| 2. ლუცერნი | 24 | 10 | 7 | 7 | 31-22 | 37 |
| 3. იანგ ბოიზი | 23 | 9 | 8 | 6 | 32-22 | 35 |
| 4. სერვეტი | 23 | 10 | 3 | 10 | 32-35 | 33 |
| 5. თუნი | 23 | 8 | 7 | 8 | 25-24 | 31 |
| 6. ციურიხი | 24 | 8 | 5 | 11 | 31-30 | 29 |
| 7. ქსამაქსი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-22 | 26 |
| 8. გრასჰოპერსი | 23 | 6 | 2 | 15 | 20-44 | 20 |
| 9. ლოზანა | 22 | 3 | 5 | 14 | 16-45 | 14 |
| 10. სიონი | 23 | 11 | 5 | 7 | 28-19 | 2 |

### ჩელენჯლიგა

XIX ტური

ბრული-კიასო 0:2; ეტ. კარუჟი-დელემონი 2:0; არაუ-ვინტერტური 2:1; ნოინევადუცი 1:0; ლუგანო-კრინსი 2:0; ბელინცონა-ლოკარნო 2:0; ბილი-სტ. გალენი 3:2; ვილი-ვოლენი დღეს.

## უელსი

VII ტური

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-პორტ ტელბოტი | 2:2 |
| ეირბასი-ნიუთაუნი | 3:1 |
| ტნს-პრესტატინი | 2:1 |
| ბანგორი-ლანელი | 2:2 |
| კარმარტენი-ებერისტვითი | 0:3 |
| ბალა-ნითი | 2:2 |

## ბელარუსი

I ტური

| | |
|---|---|
| ბელშინა-დინამო (ბრ) | 3:1 |
| სლავია-ნემანი | 1:3 |
| მინსკი-ბატე | 1:0 |
| ნაფტანი-შახტიორი | 1:2 |
| გომელი-დინამო (მნ) | 0:0 |

## ბოსნია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ჩელიკი-სლავია | 1:2 |
| ზვიეზდა-რუდარი | 2:0 |
| ოლიმპიკი-შირონკი | 3:0 |
| სლობოდა-ლეოტარი | 2:1 |
| ბორაცი-შ. ზრინსკი | 0:0 |
| ჟელეზნიჩარი-ტრავნიკი | 1:0 |
| ველეჟი-სარაევო | 0:0 |
| გაბელა-კოზარა | 0:0 |

## პოლონეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| იაგელონია-ვიძევი | 4:1 |
| კრაკოვია-გურნიკი | 1:3 |
| ლკს-ზაგლებე | 1:2 |
| ლეხია-პოდბესკიძე | 2:3 |
| ლეგია-ბელხატოვი | 1:1 |
| ლეხი-შლიონსკი | 2:0 |
| რუხი-ვისლა | 1:0 |

## ბულგარეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ლუდოგორეცი | 3:2 |
| რაკოვსკი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ბეროე-კალიაკრა | 3:1 |
| ლევსკი-მინიორი | 0:1 |
| მონტანა-ბოტევი | 2:0 |
| ჩერნო მორე-ლიტექსი | 0:1 |
| ლოკომოტივი (პ)-ცსკა | 0:3 |
| სვეტკავიცა-ლოკომოტივი (ს) | 1:1 |

## ხორვატია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| შიბენიკი-ზაგრები | 2:1 |
| ლუჩკო-სლავენი | 1:1 |
| ზადარი-ისტრა | 0:0 |
| ოსიეკი-კარლოვაცი | 1:1 |
| ლოკომოტივა-სპლიტი | 1:0 |
| ვარტექსი-დინამო | 0:4 |
| რიეკა-ინტერი | 1:0 |
| ჰაიდუკი-სიბალია | 1:0 |

## ჩეხეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| პრშიბრამი-დუკლა | 2:2 |
| სლავია-სპარტა | 1:1 |
| ლიბერეცი-ბოჰემიანსი 1905 | 3:0 |
| სლოვაცკო-ბანიკი | 1:0 |
| ჰრადეცი-ბოლესლავი | 2:0 |
| ტეპლიცე-სიგმა | 3:1 |
| ვიქტორია-იაბლონეცი | 4:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 22 | 16 | 2 | 4 | 40-17 | 50 |
| 2. ლიბერეცი | 22 | 15 | 4 | 3 | 52-24 | 49 |
| 3. პლზენი | 21 | 12 | 4 | 5 | 48-31 | 40 |
| 4. ბოლესლავი | 22 | 11 | 5 | 6 | 37-27 | 38 |
| 5. იაბლონეცი | 22 | 9 | 6 | 7 | 45-28 | 33 |
| 6. ტეპლიცე | 22 | 9 | 6 | 7 | 25-24 | 33 |
| 7. დუკლა | 22 | 8 | 8 | 6 | 30-23 | 32 |
| 8. პრშიბრამი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-34 | 32 |
| 9. სლოვაცკო | 22 | 9 | 3 | 10 | 22-26 | 30 |
| 10. ჰრადეცი | 22 | 7 | 6 | 9 | 17-25 | 27 |
| 11. სლავია | 22 | 5 | 10 | 7 | 18-24 | 25 |
| 12. ბუდეიოვიცე | 21 | 4 | 8 | 9 | 24-37 | 20 |
| 13. ბოჰემიანსი | 22 | 5 | 5 | 12 | 16-39 | 20 |
| 14. სიგმა | 22 | 6 | 8 | 8 | 25-28 | 17 |
| 15. ბანიკი | 22 | 3 | 6 | 13 | 17-35 | 15 |
| 16. ვიქტორია | 22 | 3 | 2 | 17 | 16-42 | 11 |

### II დივიზიონი

XX ტური

იჰლავა-სლოვანი 0:1; ბოჰემიანსი-ვლაშიმი 1:1; სოკოლოვი-ტრშინეცი 2:1; სეზიმოვო-ზნოიმო 1:0; მოსტი-უსტი 0:2; ოპავა-ჟლინი 0:0; ბრნო-ჩასლავი 1:0; კარვინა-სპარტა II 2:1.

## ესტონეთი

III ტური

| | |
|---|---|
| კალევი-ლევადია | 0:0 |
| კალიუ-ტალინა | 3:1 |
| პაიდე-ვილიანდი | 0:1 |
| ფლორა-ტამეკა | 4:0 |

## უნგრეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჰონვედი-კეჩკემეტი | 1:4 |
| დებრეცენი-ლომბარდ პაპა | 2:2 |
| კაპოშვარი-შიოფოკი | 2:3 |
| პეჩი-ფეჰერვარი | 1:3 |
| ვაშაში-ზალაეგერსეგი | 3:2 |
| დიოშდიორი-უიპეშტი | 1:0 |
| დიორი-პაკში | 4:1 |
| ჰალადაში-ფერენცვაროში | 2:1 |

## ლატვია

I ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა რიგა-დაუგავა | 0:4 |
| იელგავა-მეტალურგსი | 0:2 |
| ვენტსპილსი-სპარტაკი | 3:2 |
| მეტა-გულბენე | 0:0 |
| იურმალა-სკონტო | 3:3 |

## ლიტვა

III ტური

| | |
|---|---|
| კრუოია-ჟალგირისი | 0:1 |
| სუდუვა-შიაულიაი | 4:1 |
| ეკრანასი-ტაურასი | 5:0 |
| ბანგა-ვილნიუსი | 2:2 |
| ატლანტასი-დაინავა | 0:0 |

## მოლდოვა

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სფინტული-ზიმბრუ | 0:3 |
| ისკრა-ტირასპოლი | 3:1 |
| დაჩია-აკადემია | 3:1 |
| ოლიმპია-ცსკა | 4:0 |
| კოსტულენი-მილსამი | 1:3 |
| შერიფი-ნისტრუ | 4:0 |

## რუმინეთი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| მიოვენი-პანდური | 0:2 |
| კონკორდია-უნივერსიტატეა | 0:0 |
| ვოინტა-სპორტული | 1:0 |
| ასტრა-ტარგუ | 0:2 |
| ბრაშოვი-რაპიდი | 1:0 |
| დინამო-ვასლუი | 0:1 |

## ეკვადორი

VII ტური

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ოლმედო | 4:0 |
| ლიგა დე ლოხა-ლდუ კიტო | 1:0 |
| დეპ. მაკარა-ტექ. უნივერსიტარიო | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-მანტა | 0:2 |
| დეპ. კუენკა-ემელეკი | 0:3 |

## რუსეთი

XXXVI ტური

### საჩემპიონო ზონა

| | |
|---|---|
| ცსკა-ლოკომოტივი | 0:2 |
| დინამო-სპარტაკი | 1:3 |
| ზენიტი-რუბინი | 1:1 |
| ანჟი-კუბანი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 36 | 19 | 14 | 3 | 70-31 | 71 |
| 2. ცსკა | 36 | 17 | 13 | 6 | 65-39 | 64 |
| 3. ლოკომოტივ | 36 | 18 | 9 | 9 | 55-34 | 63 |
| 4. სპარტაკი | 36 | 17 | 11 | 8 | 56-38 | 62 |
| 5. დინამო | 36 | 17 | 8 | 11 | 56-43 | 59 |
| 6. ანჟი | 36 | 16 | 11 | 9 | 43-34 | 59 |
| 7. რუბინი | 36 | 15 | 13 | 8 | 46-31 | 58 |
| 8. კუბანი | 36 | 15 | 9 | 12 | 42-35 | 54 |

### გასავარდნი ზონა

| | |
|---|---|
| ტომი-კრილია | 0:0 |
| კრასნოდარი-ამკარი | 0:1 |
| როსტოვი-ნალჩიკი | 2:1 |
| ტერეკი-ვოლგა | დღეს |

## უკრაინა

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ვოლინი-შახტარი | 1:2 |
| არსენალი-მეტალისტი | 4:2 |
| დნიპრო-ზორია | 3:1 |
| მეტალურგი-ობოლონი | 2:0 |
| ილიჩივეცი-დინამო | 0:1 |
| ჩერნომორეცი-ვორსკლა | 2:1 |
| კრივბასი-ტავრია | 0:3 |
| კარპატი-ოლექსანდრია | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 20 | 4 | 0 | 48-8 | 64 |
| 2. შახტარი | 24 | 19 | 4 | 1 | 63-15 | 61 |
| 3. მეტალისტი | 24 | 16 | 6 | 2 | 45-22 | 54 |
| 4. დნიპრო | 24 | 11 | 5 | 8 | 36-30 | 38 |
| 5. ტავრია | 23 | 10 | 7 | 6 | 36-27 | 37 |
| 6. არსენალი | 24 | 9 | 8 | 7 | 29-22 | 35 |
| 7. მეტალურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 28-23 | 34 |
| 8. კრივბასი | 24 | 9 | 4 | 11 | 19-29 | 31 |
| 9. ვორსკლა | 24 | 8 | 7 | 9 | 32-34 | 31 |
| 10. ჩერნომორეცი | 24 | 8 | 6 | 10 | 22-30 | 30 |
| 11. ილიჩივეცი | 24 | 6 | 5 | 13 | 22-37 | 23 |
| 12. ვოლინი | 24 | 6 | 4 | 14 | 20-36 | 22 |
| 13. ზორია | 24 | 5 | 4 | 15 | 24-45 | 19 |
| 14. კარპატი | 24 | 3 | 8 | 13 | 22-42 | 17 |
| 15. ოლექსანდრია | 24 | 3 | 8 | 13 | 19-42 | 17 |
| 16. ობოლონი | 24 | 3 | 6 | 15 | 12-35 | 15 |

## აზერბაიჯანი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბაქუ-ყარაბახი | 1:2 |
| ნეფთჩი-ხაზარი | 1:1 |
| ქაბალა-ინტერი | 2:1 |
| აზალ-ქაფაზი | 2:0 |
| სუმგაითი-შიმურქი | 1:2 |
| თურანი-რავანი | 2:1 |

## არგენტინა

VII ტური

| | |
|---|---|
| ბანფილდი-ოლ ბოისი | 0:0 |
| ატ. რაფაელა-სან ლორენსო | 2:1 |
| ბელგრანო-სან მარტინი | 1:1 |
| რასინგი-უნიონი | 0:3 |
| არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 1:2 |
| კოლონი-ინდეპენდიენტე | გვ. დასრულდა |
| არსენალი-ტიგრე | გვ. დასრულდა |
| ბოკა-ლანუსი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

IX ტური

| | |
|---|---|
| სან ფელიპე-უნ. დე ჩილე | 0:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ს. უონდერერსი | 2:5 |
| უნ. ესპანიოლა-ლა სერენა | 5:2 |
| ო'ჰიგინსი-ლა კალერა | 2:1 |
| უნ. კატოლიკა-დეპ. იკიკე | 1:1 |
| რეინჯერსი-უაჩიპატო | 2:1 |
| ანტოფაგასტა-კობრელოა | 1:0 |
| კობრესალი-აუდაქსი | 3:1 |

## მექსიკა

XI ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ამერიკა | 3:1 |
| მონტერეი-ტეკოსი | 4:0 |
| გვადალახარა-ტოლუკა | 2:0 |
| ს. ლაგუნა-კერეტარო | 2:0 |
| ტიხუანა-ატლასი | 2:0 |
| სან ლუისი-ატლანტე | 2:3 |
| პუებლა-კრუს ასული | 1:1 |
| პუმასი-ტიგრესი | 0:2 |

## აშშ

| | |
|---|---|
| სიეტლი-ჰიუსტონი | 2:0 |
| ტორონტო-სან ხოსე | 0:3 |
| კოლამბუსი-მონრეალი | 2:0 |
| ნიუ ინგლენდი-პორტლენდი | 1:0 |
| ჩიკაგო-ფილადელფია | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-ჩივასი | 0:1 |
| ვანკუვერი-დი სი იუნაიტედი | 0:0 |
| ნიუ იორკი-კოლორადო | 4:1 |

## იაპონია

III ტური

| | |
|---|---|
| ჰიროშიმა-კაშიმა | 2:0 |
| ვეგალტა-ომია | 4:1 |
| კავასაკი-სერეზო | 0:1 |
| კობე-ტოკიო | 0:2 |
| საგანი-იოკოჰამა | 1:0 |
| საპორო-ურავა | 1:2 |
| კაშივა-შიმიზუ | 2:1 |
| ნაგოია-ნიიგატა | 2:1 |
| გამბა-ივატა | 1:2 |

# ქართული სპორტი

## ფარიკაობა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ალან კესაევი (მარცხნივ) და გელა მჟავია

# დაბედებაც ასეთი უნდა

ამას წინათ თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე ოლიმპიური ჩემპიონის **ნუგზარ ასათიანის** სახელობის ფარიკაობის კეთილმოწყობილი ახალი დარბაზი გაიხსნა. გასულ უქმეებზე აქ აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის (პრეზიდენტი **გიორგი კეპულაძე**), ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამმართველოს ერთობლივი ძალისხმევით 1999-2002 წლებში დაბადებულთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა აფხაზეთის თასზე, რომელშიც მასპინძლებთან ერთად თბილისის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავის, გურიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სასიამოვნო სიურპრიზი იყო საფარიკაო ბილიკებზე გურიის რეგიონის 7 სპორტსმენის გამოჩენა. ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომის საჯარო სკოლის ფარიკაობის სექციაში ორი წელიწადია, სპორტის მასწავლებლის **მალხაზ კვაჭაძის** ხელმძღვანელობით 15-მდე გოგონა და ვაჟი ვარჯიშობს. მოზარდებმა გამოცდილების მიღების მიზნით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით უკვე მოასწრეს ბათუმსა და ქუთაისში ასპარეზობა, საერთაშორისო ტურნირში კი დებიუტი ჰქონდათ. გურულთაგან განსაკუთრებით **გელა მჟავიამ** იყოჩალა დაშნაში - მან მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო ვლადიკავკაზელ **ალან კესაევთან** ერთი ჩხვლეტით (9:10). **გიორგი კვაჭაძე** რვა საუკეთესოში მოხვდა, ხოლო **ნინო ბარამიძე** პერსპექტიული მოფარიკავისათვის განკუთვნილი პრიზით დაჯილდოვდა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აფხაზეთის ნაკრების (მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ლოლუა**) წევრებმა, რომლებმაც ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი და აფხაზეთის დამსახურებული მწვრთნელების - **როზა ჯოლოგუასა** და **თამაზ კაკულიას** პრიზები დაიმსახურეს. აქვე გაგაცნობთ ტურნირის გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

**გოგონები. ხმალი.** 1. ელენე ნანობაშვილი, 2. ანა აფრასიძე (ორივე - თბილისი), 3. თამარ კენჯია (აფხაზეთი), ნარმინ ჯაფაროვა (აზერბაიჯანი). **რაპირა.** 1. ლიკა ჯიჯეიშვილი (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ანა შუბაშვილი (თბილისი), მარიამ ველიკოვა (აზერბაიჯანი). **დაშნა.** 1. მანანა საუმოვა, 2. ალიონა სურამენკო, 3. მარინა კესაევა (სამივე - ვლადიკავკაზი), ნინო გაბუნია (ქუთაისი).

**ვაჟები. ხმალი.** 1. ნიკა შენგელია (აფხაზეთი), 2. ჯავანშირ აგაკიშიევი (აზერბაიჯანი), 3. ვაჟა რეჭია (აფხაზეთი), გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი). **რაპირა.** 1. გივი ხართიშვილი (თბილისი), 2. გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი), 3. არმენ დალაქიანი, კარენ სორსუნათიანი (ორივე - სომხეთი). **დაშნა.** 1. ალან კესაევი (ვლადიკავკაზი), 2. გელა მჟავია (ოზურგეთი), 3. ნიკა კილასონია (რუსთავი), არსენ არაზიანი (სომხეთი).

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

## ჭადრაკი

# ქართული სიურპრიზი

## ანუ ევროპული დრო გამოეპარათ?!

ბულგარულ პლოვდივში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-13 ჩემპიონატზე 5 ტურის შემდეგ საქართველოს წარმომადგენელთა უმრავლესობას საკმაოდ ნორმალური შედეგები ჰქონდა. გუშინდელ შეხვედრათა შედეგებს რომ გადავხედე, გავოცდი - ექვსი ჩვენებურის გასწვრივ გრაფაში მინუსები ეწერა. უცებ ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო შეჯიბრებაზე ასეთი კოლექტიური გამოუცხადებლობის მიზეზი. მერე გამახსენდა, რომ შაბათ ღამით ევროპა ზაფხულის დროზე გადავიდა და, ეტყობა, ჩვენებმა ეს ვერ გაითვალისწინეს (თუმცა გასაკვირია, დღის სამ საათამდე (ტურის დაწყებამდე) ეს როგორ ვერ გაარკვიეს!). რაც შეეხება საქართველოს ნაკრების წევრებს - **ბაადურ ჯობავას, ლევან ფანცულაიას** და **მიხეილ მჭედლიშვილს,** ისინი ჩემპიონატზე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დაფინანსებით იმყოფებიან და იმ სასტუმროში ცხოვრობენ, სადაც ტურნირი ტარდება. გუშინ შედეგიანადაც ითამაშეს, დანარჩენებს კი, როგორც შევიტყვეთ, ბინა აქვთ ნაქირავები. გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ფაქტია, რომ ჩვენმა ბიჭებმა დაუდევრობით მეტოქეებს მუქთი ქულები აჩუქეს, არადა, აზალაძე მეწინავეებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა.

გუშინ მე-6 ტურში ბაადურ ჯობავა თეთრი ფიგურებით ლიდერთა სამეულის წევრ იური კუზუბოვს (უკრაინა) დაუზავდა . ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ გავეინ ჯონსი (ინგლისი) და ლორენ ფრესინე (საფრანგეთი). ლევან ფანცულაიამ შავი ფიგურებით ალექსანდრ არეშნიჩენკო (უკრაინა) დაამარცხა, რომელიც ქართველ დიდოსტატს რეიტინგში 93 პუნქტით უსწრებს. მიხეილ მჭედლიშვილმა პეტერ მიხალიკს (სლოვაკეთი) აჯობა და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. **შოთა აზალაძეს, დავით ლომსაძეს, დავით ბენიძეს, ლუკა პაიჭაძეს, გაიოზ ნიგალიძეს** და **გიორგი ხელაიას,** შესაბამისად, ანტონ კორობოვთან (უკრაინა), ვიქტორ ლაზნიჩკასთან (ჩეხეთი), ივან სოლგადო ლოპესთან (ესპანეთი), ევგენი პოსტნისთან (ისრაელი), ქანან იზატთან (აზერბაიჯანი) და ვლადიმირ პეტროვთან (ბულგარეთი) წაგება ჩაეთვალათ.

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით 10 მოჭადრაკე მეწინავეობს. მათ შორის არც ერთი ქართველი არ არის. ჯობავას და ფანცულაიას 4,5-4,5 ქულა აქვთ, აზალაძეს, მჭედლიშვილს - 4-4, ლომსაძეს-3,5, ბენიძეს-3, პაიჭაძეს-2,5, ნიგალიძეს-2, ხელაიას-0,5 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ. ხვალ მე-7 ტურში ითამაშებენ: სერგეი აზაროვი (ბელარუსი,5)-არკადი ნაიდიჩი (გერმანია,5), ერნესტო ინარკიევი (რუსეთი,5)-გავეინ ჯონსი (5), ლორენ ფრესინე (5)-მაქსიმ მატლაკოვი (რუსეთი,5), დენის ხისმატულინი (რუსეთი,5)-მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი,5), იური კუზუბოვი (5)-ანტონ კორობოვი (5), ივან ივანიშევიჩი (სერბეთი)-ჯობავა, ფანცულაია-ფარნცისკო ვალეხო (ესპანეთი), იულიან რადულსკი (ბულგარეთი)-მჭედლიშვილი, აზალაძე-სანან სიუგიროვი (რუსეთი), სტელიოს ჰალკიასი (საბერძნეთი)-ლომსაძე, ტორსტენ სარბიკი (გერმანია)-ბენიძე, პაიჭაძე-რობინ დრაგომირესკუ (რუმინეთი), სვეტლანა ჩერედნიჩენკო (უკრაინა)- ნიგალიძე, ხელაია-ბურჰანუდინ მისინი (ესკ).

ვაჟა დანელია

სუპერლიგა. XIX ტური

# ჯერ გაიქეცი, მერე დაიჭირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვწუხვარ, მაგრამ ეს რეალობაა

**24 მარტი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

| სამედიცინო-ქუთაისი | 84:92 |
|---|---|

**25:15, 13:29, 22:23, 24:25**

**სამედიცინო:** ტომარაძე (26ქ), კვეტენაძე, პირველაშვილი (9ქ, 3პ), ჭოჭუა (21ქ, 9მ, 5პ, 4ჩ), ილიჩი, დვალიშვილი (20ქ, 12მ, 3პ), კვანტალიანი, ფერიაშვილი (2ქ), სამოილოვიჩი (6ქ, 7მ, 7პ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (10ქ, 5მ, 4პ, 3ჩ), ბაბუნაშვილი (8ქ), დიდია (5ქ, 8მ, 5პ), ცეკვავა (17ქ, 8მ, 5პ, 3ჩ), დ. ბარბაქაძე (17ქ, 5მ), გ. ბარბაქაძე (15ქ, 3ჩ), მათიაშვილი (20ქ, 5მ, 5პ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი, დ. ბერიშვილი.

**მსოფლიოში იშვიათია საქართველოს პირველობის დარი უცნაური ჩემპიონატი. ერთი შეხედვით, მოულოდნელი არაფერი მომხდარა, გამოცდილებმა (თსუ-მ, „ქუთაისმა“ და „შსს აკადემიამ“) შედარებით ახალგაზრდებს (სტუ-ს, „სამედიცინოსა“ და „სოხუმს“) აჯობეს. მაგრამ საოცარია გამარჯვების გზების სხვადასხვაობა. თსუ-სა და სტუ-ს შეხვედრაში ორივე გუნდს ერთი მიზანი ჰქონდა - გაქცევა: სწრაფი თამაში, მეტი სროლა, მეტი ქულა...**

**ამის შემდეგ კი მოედანზე „შსს აკადემია“ და „სოხუმი“ გამოვიდნენ, რომელთა მთავარი ამოცანა დაჭერა იყო. მიმდინარე სეზონში ეს ერთ-ერთი საუკეთესო დაცვითი თამაში გამოდგა. დანარჩენს ქვემოთ წაიკითხავთ.**

პირველი ტაიმი „სამედიცინოსი“ იყო - 25:15. „ქუთაისი“ გონს მეორე ათწუთეულში მოეგო, დაცვაში მტკიცედ დადგა და გადასასწრებად 7 წუთიც ეყო. ქუთათურებმა უპირატესობას ზუსტი შორეული ტყორცნებით მიაღწიეს. პირველ ტაიმში 4 სამქულიანი გამოიყენეს, სულ - 10.

თავის მხრივ, **აკაკი დვალიშვილის** (20 ქულა, 12 მოხსნა) აქტიურობის ხარჯზე სამწამიან ზონაში „მედიკოსები“ უკეთ გამოიყურებოდნენ. მათ სტუმრებს მოხსნებში 48:38 აჯობეს, თუმცა საბოლოოდ გამოცდილებამ და პერიმეტრზე დამაჯერებელმა თამაშმა „ქუთაისს“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა.

ამ მოგებით იმერლებმა რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. მათ დარჩათ ორი შეხვედრა აუტსაიდერებთან (სტუ და „ბათუმი“), ხოლო უშუალო კონკურენტ „ოლიმპს“ (რომელთანაც „ქუთაისს“ ორივე შეხვედრა აქვს მოგებული) სამი რთული შეხვედრა ელის - „დინამოსთან“, „სამედიცინოსთან“ და „არმიასთან“. მეორე ადგილის დასაკავებლად ოლიმპელებს სამივე შეხვედრის მოგება სჭირდებათ.



სტუ-თსუ. ტეტელაშვილი (4) VS ჩიტაშვილი

**დავით უსტიაშვილი** („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- ცუდად დავიწყეთ, მაგრამ დაცვაში თამაში გამოვასწორეთ და გარდატეხა შევიტანეთ. რაც შეეხება შემადგენლობის გაძლიერებას, ზუსტად არ ვიცი, დავიმატებთ თუ არა ვინმეს. ვფიქრობ, მწვრთნელმა იმ გუნდით უნდა ითამაშოს, რაც ჰყავს. ჯერჯერობით, ამ შემადგენლობით შედეგს ვიღებთ და კმაყოფილი ვარ. დავმარცხდით „დინამოსთან“ და „არმიასთან“, დანარჩენ შეხვედრებში კი გავიმარჯვეთ. ორი თამაში დაგვრჩა ქუთაისში - „ბათუმთან“ და სტუ-სთან. შემდეგ პლეოფებისთვის მზადებას შევუდგებით.

**კახა შენგელია** („სამედიცინოს“ მწვრთნელი):

- ასე გუნდურად ამ წრეში პირველად ვითამაშეთ. „ქუთაისი“ ჩვენზე ძლიერი გუნდია, გამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ღირსეულ გუნდთან ღირსეულ ბრძოლაში დავმარცხდით.

| სტუ-თსუ | 77:100 |
|---|---|

**21:27, 23:23, 9:25, 24:25**

**სტუ:** ტეტელაშვილი (2ქ), თევზაძე, ჭოხონელიძე (3ქ), მაჩალაძე (2ქ), ხანიაშვილი (16ქ, 8მ, 3პ), კობიძე (6ქ, 5მ, 3პ), ახლაია (5ქ), დეკანოიძე, ძიძიგური (15ქ, 5პ), კოპალიანი (1ქ), ნოზაძე (8ქ), ანთაძე (19ქ, 6მ, 3პ).

**თსუ:** კოხრეიძე (8ქ, 4პ, 3ჩ), თავამაიშვილი (6ქ), ნინიაშვილი (27ქ, 10მ), ჩიტაშვილი (20ქ, 7პ, 4ჩ), ხიზანიშვილი (17ქ, 9მ), შერმადინი (2ქ, 8მ), ჩქარეული (14ქ, 3პ), ბაქრაძე (4ქ, 6პ), ვ. ბერუაშვილი (2ქ, 5მ, 4პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.

როგორც დასაწყისში გითხარით, შეხვედრა მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. ამას სტუ-ს გულშემატკივრების სიმრავლე და ემოციაც ერთვოდა და მივიღეთ მეტად სანახაობრივი შეხვედრა. ტექნიკოსებს მესამე პერიოდი რომ არ ჩაეგდოთ, შესაძლოა ორივე გუნდი 100 ქულამდე ასულიყო.

საბოლოოდ ამ შემთხვევაშიც გამოცდილმა (თსუ) გაიმარჯვა და პლეიოფში გასვლაც თითქმის გაინაღდა. არადა, საპლეიოფო მერვე ადგილისთვის ბრძოლაში მისი უშუალო კონკურენტი სწორედ სტუ იყო. შაბათამდე ორივე გუნდს თანაბარი ქულები ჰქონდა.

**ნუგზარ ჭეიშვილი** (თსუ-ს მწვრთნელი):

- მოხარული ვარ, როგორც იქნა გავიმარჯვეთ. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში სხვაობა დიდია, დაძაბულობა ნამდვილად იყო. მაშინაც, კი როდესაც 30 ქულას ვიგებდით. თავადაც ნახეთ, მეტოქე ბოლომდე იბრძოდა და საბოლოოდ ჩამორჩენა 15 ქულამდე შემცირდა.

**ზურაბ ტომარაძე** (სტუ-ს მწვრთნელი):

- თსუ ჩამოყალიბებული გუნდია, რომელიც წლების განმავლობაში გამოირჩეოდა თავის განსხვავებული თამაშის მანერით. არსებობს არაერთი გუნდი, რომლის სიძლიერესაც მოთამაშეთა ინდივიდუალიზმი განაპირობებს, თსუ-ში კი თავად კალათბურთელები ერგებიან სისტემას. რაც შეეხება სტუ-ს, დღეს ვერ დავინახე ბრძოლისუნარიანობა.

| სოხუმი-შსს აკადემია | 52:74 |
|---|---|

**12:11, 12:22, 10:20, 18:21**

**სოხუმი:** ფარლალავა (10ქ, 3პ), როგავა (3ქ, 3პ), ჩლაიძე (8ქ), ჩაჩიბაია (4ქ), ათუაშვილი (12ქ, 12მ, 2დ), ფაცაცია (3ქ, 4პ), გაფრინდაშვილი (5პ), ქადარია (2ქ), ჯგერენაია (10ქ, 6მ).

**შსს:** მუდი (11ქ, 5მ, 6პ), ბლერი (21ქ, 3პ), ბოქოლიშვილი (2ქ, 3პ), ნიკოლაძე (11ქ), ლონდარიძე (9მ), თენიეშვილი, ტრეპალოვაცი (3ქ), ბექაური (5ქ, 2დ), იმნაძე (9ქ), ტაბსი (12ქ, 8მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

„სოხუმში“ ქულათა სიუხვით 2-3 კალათბურთელი გამოირჩევა. „შსს აკადემიას“ მოთამაშეებმა დიდი ენერგია შეალიეს მეტოქეთა ლიდერების შეჩერებას და გამოუვიდათ კიდეც. თავის მხრივ, თავიდან სოხუმელებიც კარგად გამოიყურებოდნენ დაცვაში, მაგრამ მეორე მეოთხედში მოედანზე შსს-ს მექულის **ლარი ბლერის** მოედანზე დაბრუნების შემდეგ ძალოვნები წინ გაიჭრნენ და მათი დაწევა სოხუმელებმა ველარ მოახერხეს. საბოლოოდ ბლერმა 21 ქუთში 21 ქულა ჩააგდო და ტურის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

მართალია, ეს იყო კარგი დაცვითი თამაში, მაგრამ არც სანახაობრიობა აკლდა: მესამე პერიოდის დასრულებამდე 4:31 წუთით ადრე ბლერმა ბურთი ჰაერში აუგდო **ჯასტინ ტაბსს**, რომელიც ყველას და ყველაფერს გადააფრინდა და იმდენად ეფექტურად ჩატენა, ოვაცია დიდი ხანი არ შეწყვეტილა.

იყო ისეთი ფაქტიც, რამაც ხასიათი წაგვიხდინა, ოღონდ მატჩის შემდეგ. მოვუსმინოთ „სოხუმის“ კაპიტან **ლაშა ფარლალავას:**

- ძალიან რთულია ისეთ სიტუაციაში ყოფნა, რაშიც ამჟამად „სოხუმია“. გუნდი ფსიქოლოგიურად და მორალურად მოშლილია. ელემენტარული პირობები არ გვაქვს, რომ ვარჯიშებზე ვიაროთ. რამდენიმე თვეა, რაც ხელფასი არ მიგვიღია. ყველა ხედავს რომ „სოხუმი“ დღითიდღე უკლებს. მოტივაციის შენარჩუნება ძალიან გვიჭირს. ვწუხვარ, მაგრამ ეს რეალობაა.



სამედიცინო-ქუთაისი. მატჩის ბომბარდირი კოკა ტომარაძე (5) გახდა

**გიორგოს კეცელიდისი** („შსს აკადემიას“ მწვრთნელი):

- მოწინააღმდეგე ჩინებულად თამაშობს თავდასხმაში. ამიტომ მაქსიმალური აქცენტი დაცვაზე გვქონდა გაკეთებული. ბოლო წამებზე, როდესაც 20 ქულით ვიგებდით აღარ შევუტიეთ. ეს მეტოქის უბრალო პატივისცემა იყო ჩემი მხრიდან.

**რიმვიდას სამულენასი** („სოხუმის“ მწვრთნელი):

- დავმარცხდით ყველა კომპონენტში. გუნდი არ იყო სათანადოდ მობილიზებული. ძალიან ცუდად გავისარჯეთ დაცვაში.

**მერაბ ბოქოლიშვილი** („შსს აკადემია“):

- მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. გუნდი ნელ-ნელა ლაგდება და იმედია პლეი ოფებს სასურველ ფორმაში შევხვდებით.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 17 | 17 | 0 | 1538/1074 | 34 |
| 2. ქუთაისი | 18 | 14 | 4 | 1540/1390 | 32 |
| 3. ოლიმპი | 17 | 14 | 3 | 1437/1247 | 31 |
| 4. სოხუმი | 18 | 10 | 8 | 1433/1377 | 28 |
| 5. შსს აკადემია | 17 | 10 | 7 | 1512/1334 | 27 |
| 6. დინამო | 17 | 9 | 8 | 1407/1442 | 26 |
| 7. სამედიცინო | 18 | 7 | 11 | 1457/1545 | 25 |
| 8. თსუ | 17 | 6 | 11 | 1383/1499 | 23 |
| 9. სტუ | 17 | 5 | 12 | 1289/1475 | 22 |
| 10. ბათუმი-რსუ | 17 | 2 | 15 | 1216/1512 | 19 |
| 11. რუსთავი | 17 | 1 | 16 | 1176/1493 | 18 |

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



სოხუმი-შსს აკადემია

**იტალიის ჩემპიონატი**

| დინამო-ვირტუსი | 89:55 |
|---|---|

ნიკა მეტრეველი (დინამო): 9 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 დაფარება.

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 30 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 3 დაფარება.

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიამ დაისვენა და 13

## 9 დღეში 7 მატჩი, როგორია?!

ბოლო 9 დღეში „ატლანტას“ 7 მატჩის ჩატარება უწევს. მეშვიდე დღეს გამთენიისას „იუტასთან“ გამართა (შედეგს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ). მეექვსე და მეხუთე შეხვედრები კი ერთნაირად მოიგო: მესამე პერიოდში აგებდა, თუმცა მეოთხეში **ჯო ჯონსონის** კლასმა თავისი გაიტანა და ჯორჯიელებმა ჯერ „ნიუ ჯერსი“ დაამარცხეს, შემდეგ - „ვაშინგტონი“.

„ჯერსისთან“ 28 წლის ქართველს არ უთამაშია. ამის მიზეზი კოჭი იყო, რომელიც ზაზას „კლივლენდთან“ მატჩის შემდეგ აწუხებდა და მწვრთნელმა იგი დაასვენა. თუმცა, როგორც გითხარით მეორე დღეს „ვაშინგტონთან“ ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა და 13 ქულაც ჩააგდო.

| ატლანტა-ნიუ ჯერსი | 93:84 |
|---|---|

ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (ტრავმა).

| ატლანტა-ვაშინგტონი | 95:92 |
|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 25 წუთი, 13 ქულა (6/5 ორქულიანი, 6/3 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 2 ფოლი.

| I პერიოდი | | |
|---|---|---|
| 9:17 | ორქულიანი: 2მ | 4-5 |
| 5:22 | პასი: 1 (სმიტი 2მ) | 9-14 |
| 3:59 | ფოლი: 1 | 12-16 |
| 3:59 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 12-16 |

| II პერიოდი | | |
|---|---|---|
| 9:52 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა | 23-29 |
| 8:12 | საჯარიმოები: 2/1 (3მ) | 26-33 |
| 7:50 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 26-33 |
| 7:16 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 28-33 |
| 6:13 | ფოლი: 2 | 28-35 |
| 6:13 | კოლინზმა ზაზა შეცვალა | 28-35 |

| III პერიოდი | | |
|---|---|---|
| 11:17 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 44-52 |
| 11:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 44-52 |
| 11:06 | ორქულიანი: 5მ | 46-52 |
| 7:39 | ორქულიანი: 7მ | 49-62 |
| 7:11 | ორქულიანი: 9მ | 51-64 |
| 6:43 | შეცდომა: 1 | 51-64 |
| 5:09 | დაფარება: 1 (უოლს დაუფარა) | 53-64 |
| 4:16 | საჯარიმოები: 2/0 | 53-68 |
| 3:57 | საჯარიმოები: 2/2 (11მ) | 55-68 |
| 3:01 | ორქულიანი: 13მ | 57-71 |
| 2:54 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 57-71 |

| IV პერიოდი | | |
|---|---|---|
| 3:58 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა | 86-90 |
| 1:44 | ორქულიანი: არაზუსტი | 90-92 |
| 0:12 | ტიგმა ზაზა შეცვალა | 95-92 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ქართული სპორტი

ძიუდო. ესპანეთის ტურნირი

# ქართველი ჩემპიონი ესპანეთიდან

პარასკევს ესპანეთის ზღვისპირა კურორტ ფუენგიროლაში ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის ევროპის თასზე საქართველოს სახელით ესპანეთში მცხოვრები ორი ქართველი მოზარდიც გამოვიდა - **ნიკოლოზ შერაზადიშვილი** (81) და **გელა ოთარაშვილი** (+90). უკეთ შერაზადიშვილმა იჭიდავა, რომელიც ვეტერანი ძიუდოისტის - **ზაზა შერაზადიშვილის** შვილია. მან ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველობა მოიპოვა. პირველ წრეში ესპანელ **ალექსის როსეს** იუკოთი მოუგო, დანარჩენ შეხვედრებში კი ვაზარით იმარჯვა - მეოთხედფინალში იტალიელ **მასიმო მანსინის**, ნახევარფინალში ესპანელ **ხოსე ანტონიო მარტი სალგედოს**, ფინალში კი ისევ მასპინძელ **ანტონიო როდრიგეს გომესს** მოუგო.


ნიკოლოზ შერაზადიშვილი (შავ კიმონოში) ამარცხებს მეტოქეს

ოთარაშვილმა ძირითად ბადეშიც და სანუგეშოშიც პირველივე შეხვედრები წააგო - ჯერ ესპანელ **დანიელ მონტესერინთან**, მერე - პორტუგალიელ **ფაუსტო ფერეირასთან**.

ნიკოლოზ შერაზადიშვილმა ვარჯიში 2010 წელს თბილისში დაიწყო **ვაჟა ბალხამიშვილთან**. იმის მიუხედავად, რომ ობიექტური მიზეზით საქართველოს ჩემპიონატში თუ შიდა სარეიტინგო ტურნირებში ვერ მონაწილეობს (თუმცა პერიოდულად სავარჯიშოდ კი ჩამოდის თბილისში), საევროპო ნაკრებში მოხვედრის შანსს მაინც ინარჩუნებს, თუ უცხოურ შეჯიბრებებში თავს გამოიჩენს. მას სპეციალისტები პერსპექტიულ მოზარდად მიიჩნევენ და ორი კვირის შემდეგ პორტუგალიაშიც იჭიდავებს. აქვე გეტყვით, რომ მას მხოლოდ გვარი აკავშირებს ამავე წონაში საქართველოს წლევანდელ მესამე პრიზიორ **ბექა შერაზადიშვილთან**.

წინა კვირას ამ ასაკის ნაკრებმა ანთალიაში იჭიდავა ასევე ევროპის თასზე, რომელიც ესპანურზე უფრო ძლიერი ტურნირი იყო. იქ ჩვენი გუნდი ძალიან კარგად გამოვიდა – 2 ოქრო, 5 ვერცხლი და 7 ბრინჯაო (ამათგან ორი გოგოების ანგარიშზეა) ანუ ჯამში 14 მედალი მოიპოვა, თუმცა 81-ში არც ისე კარგი სურათი გამოჩნდა. აქ ჩვენების ანგარიშზე ერთი ბრინჯაო და ერთიც მეხუთე ადგილია.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვამ ყაზახეთი დაიპყრო

21 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ალმათის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) მოიგო წყვილთა თანრიგში. ეს ჩვენებურის ზედიზედ მეორე გამარჯვებაა წყვილებში, ახლახან ოქსანა მოსკოვიდან დაბრუნდა ანალოგიური საპრიზო ფონდის ტურნირის გამარჯვებული. ყაზახეთში ოქსანას მეწყვილე რუსი **ევგენია პაშკოვა** იყო. მათ ფინალში უზბეკ **ხაბიბულინასა** და ბელარუს **კრემენს** მოუგეს - 6:1, 7:5.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მარცხნივ ოქსანა კალაშნიკოვა

სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

# მალე დასავიწყებელი ბაშო

გაზაფხულის ბაშო პროფესიული სუმოს ქართული ტრიოსთვის ვერ გამოდგა იღბლიანი, სამივე ჩვენებურმა სუპერტურნირი უარყოფითი ბალანსით დაასრულა. **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** კომუსუბის ტიტულს დაკარგავს, **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** საგრძნობლად დაქვეითდება რეიტინგში, ხოლო რა ბედი ეწევა ძურიოში მოასპარეზე **კოკაის (ლევან ცაგურია)**, ამ დღეებში დადგინდება. შეიძლება, ის დივიზიონიდან გავარდეს და კარიერაც დაასრულოს.

**XIV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი (ჰატაკიკომი), კაკურიუ-კოტოოშუ (შიტატენაგე), არანი-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კისენოსატო-ბარუტო (იორიკირი), ამინიშიკი-ვაკაკოიუ (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტოჩიოძანი (კატასუკაში), ჰომაშო-**გაგამარუ** (შიტატედაშინაგე), ტოჩინოვაკა-ტოკიტენკუ (ოშიდაში), მიოგირიუ-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), **ტოჩინოშინი**-სადანოფუჯი (იორიკირი). **ძურიო:** ბუშუიამა-**კოკაი** (ცუკიოტოში).

**ბოლო დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ბარუტო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-კისენოსატო (ოშიტაოში), გოეიდო-კაკურიუ (იორიკირი), ამინიშიკი-არანი (ოშიდაში), გაგამარუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), ვაკაკოიუ-ტოჩიოძანი (კიმედაში); მიოგირიუ-ტოკიტენკუ (ჰიკიოტოში), შოჰოზანი-ტოჩინოვაკა (ოშიდაში); ტოჩინოშინი-ფუჯიაზუმა (ჰატაკიკომი). ძურიო: ნიონოუმი-კოკაი (იორიკირი).


საჩემპიონო ორთაბრძოლა, რომელშიც ჰაკუჰომ (ზემოდან) კაკურიუ დაამარცხა და იმპერატორის თასი 22-ედ მოიპოვა

**საჩემპიონო ორთაბრძოლა**

ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი)

**საბოლოო მდგომარეობა**

**დადებითი**

**13-2:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (სეკივაკე).
**12-3:** გოეიდო (მაეგაშირა 6).
**11-4:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ტოიონოშიმა (მ 4), ჰომაშო (მ 5).
**10-5:** ბარუტო (ოძეკი), ტაკაიასუ (მ 7).
**9-6:** კისენოსატო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), არანი (მ 4), ტოიოჰიბიკი (მ 7), ტაკეკაძე (მ 8), კიტატაიკი (მ 13), შოტენრო (მ 16).
**8-7:** კოტოოშუ (ოძეკი), ოკინოუმი (მ 9), მიაბიამა (მ 9), აოიამა (მ 10), ვაკანოსატო (მ 13).

**უარყოფითი**

**7-8:** ამინიშიკი (სეკივაკე), მიოგირიუ (მ 1), ვაკაკოიუ (მ 5), შოჰოზანი (მ 6), დაიდო (მ 12), ტამავაში (მ 15).
**6-9:** გაგამარუ (კომუსუბი), სადანოფუჯი (მ 10), ტენკაიჰო (მ 11), ტაკარაფუჯი (მ 14).
5-10: ტოჩიოძანი (კომუსუბი), ტოჩინოვაკა (მ 1), კიოკუტენჰო (მ 3), ტოჩინოშინი (მ 3), ასასეკირიუ (მ 11), ფუჯიაზუმა (მ 12), იკიოი (მ 14).
4-11: ჰოჩიამა (მ 15), ტაკანოიამა (მ 16).
3-12: ტოკიტენკუ (მ 2), იოშიკაძე (მ 2), ჩიონოკუნი (მ 8).

**იმპერატორის თასი:** ჰაკუჰო (22-ედ)
**ბრწყინვალე ასპარეზობა:** კაკურიუ (მე-2)
**მებრძოლი სული:** გოეიდო (მე-3)
**ტექნიკური რიკიში:** კაკურიუ (მე-7)
**ტექნიკური რიკიში:** ტოიონოშიმა (მე-4)
**ძურიოს ჩემპიონი:** კიმიკაზე (პირველად)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

ლეგიონერები



# დავით ზირაქაშვილი დაბრუნდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის 21-ე ტურში ქართველ მორაგბეთა რვა გუნდიდან მხოლოდ სამმა მოიგო. გასული უქმეები ქართველი ქომაგებისთვის იმით იყო გამორჩეული, რომ სერიოზული ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი**.

21-ე ტურში ყველასათვის მოულოდნელად დამარცხდა გათამაშების ლიდერი, ფრანგული რაგბის გრანდი **ჯაბა მალალურაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზი". ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ეთამაშა „ბორდოს" და მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 18:17. არადა, ტულუზელებს მოგებაც რეალურად შეეძლოთ. ასეც იქნებოდა, 76-ე წუთზე მგეზავ **ლიონელ ბუქსის** გარდასახვა რომ გაეტანა.

ბრეგვაძე სათადრიგოთა შორის იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, გიორგაძე ტრავმირებულია.

„ტულუზის" ამ წაბორძიკებით კარგად ისარგებლა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა", რომელმაც შინ დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „პერპინიანი" - 29:23 და ლიდერთან ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა.

ზირაქაშვილი სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მოედანზე მატჩის 54-ე წუთიდან გამოჩნდა.

„ვულკანებს" კვალში უდგას **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელმაც შინ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში შეძლო ერთ-ერთი კონკურენტის, პარიზული „მეტრო რასინგის" დამარცხება - 32:20. შეხვედრაში გამორჩეული ინგლისელი მგეზავი ჯონი ვილკინსონი იყო, რომელმაც გუნდს 22 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ორი გარდასახვა). ქუბრიაშვილი თამაშში 71-ე წუთიდან ჩაერთო.

დიდი ინტერესი გამოიწვია მეოთხე-მეხუთე ადგილებზე მყოფი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრისა" და **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს" დაპირისპირებამ. კასტრელებმა ფულბეკ **რომენ ტულეს** ფეხჩუბინობის წყალობით მეტოქე 27:18 დაამარცხეს. შედეგად „კასტრმა" და „მონპელიემ" სატურნირო ცხრილში ადგილები გაცვალეს.

ჟღენტი 68-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძემ მოედანზე ორი წუთით მეტი დაჰყო, ნარიაშვილი, შველიძე და ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

მიუხდავად იმისა, რომ სტუმრად „სტად ფრანსესთან" დიდი ანგარიშით 53:27 დამარცხდა, პლეი ოფში მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებს **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი". ჩვენებურის გუნდმა დაცვაში ძალიან ცუდად ითამაშა. მასპინძლებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს.

მატჩის გმირი არგენტინელი მგეზავი **ფელიპე კონტეპომი** იყო, რომელმაც ორი ლელო, ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (26 ქულა), ამასთან ერთად ის მატჩის არბიტრმა მე-60 წუთზე გაასინბინა. შეყლაშვილი 59-ე წუთზე შეცვალეს. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ის სეზონის დასრულებისთანავე „აჟენს" დატოვებს. რომელ გუნდში გადაბარგდება ქართველი შერკინების ბურჯი, ჯერ უცნობია.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა" სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბაიონთან" - 12:19. ბრიველები ახლა 38 ქულით მე-10 ადგილზე არიან. ბოლოსწინა, მე-13 ადგილზე მყოფი „ბაიონი" მას უკვე მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, ნატრიაშვილი და ხინჩაგიშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთნენ.

ისევ დამარცხდა აუტსაიდერი, **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი". ჩვენებურთა ამ გუნდმა, ამჯერად, შინ წააგო „ბიარიცთან" - 17:34. ბასკების გუნდში საუკეთესო იყო ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**, რომელმაც ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (19 ქულა), ამასთან ერთად, ის არბიტრმა 76-ე წუთზე გაასინბინა.

კავთიძე თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო, რატიანიძე განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი**

**XXI ტური**

ბორდო-ტულუზი 18:17, სტად ფრანსე-აჟენი 53:27, ლიონი-ბიარიცი 17:34, კასტრი-მონპელიე 27:18, კლერმონი-პერპინიანი 29:23, ტულონი-მეტრო რასინგი 32:20, ბაიონი-ბრივი 19:12.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 74 ქულა, 2. კლერმონი - 73, 3. ტულონი - 62, 4. კასტრი - 55, 5. მონპელიე - 52, 6. სტად ფრანსე - 52, 7. მეტრო რასინგი - 49, 8. აჟენი - 44, 9. ბორდო - 41, 10. ბრივი - 38, 11. ბიარიცი - 38, 12. პერპინინაი - 35, 13. ბაიონი - 34, 14. ლიონი - 26.

**XXII ტური**

მეტრო რასინგი-კასტრი, ბიარიცი-კლერმონი, მონპელიე-აჟენი, პერპინიანი-ბაიონი, ლიონი-ბორდო, ბრივი-ტულონი, სტად ფრანსე-ტულუზი.

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე დამაჯერებლად ლიდერობს **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელიც უახლოეს მდევარ „დაქსს" 17 ქულით უსწრებს. „ალპელებს" ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურის გასანაღდებლად დარჩენილ ექვს მატჩში ათი ქულის დაგროვება, ანუ ორი მატჩის მოგება უნდა, თანაც ორივეში პრემიალური უნდა აიღოს.

„გრენობლმა" 24-ე ტურში შინ დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" - 21:3. მენაბდიშვილი და მირცხულავა საქართველოს A ნაკრებში არიან გამოძახებულნი და უელსში იმყოფებიან. მაგრაქველიძე თამაშში 37-ე წუთიდან ჩაერთო.

**თედო ზიბზიბაძის, ალექსნადრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ" შინ დაამარცხა **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ორიაკი" - 22:15. ასეიშვილი პირველივე ტაიმში, 32-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილმა და მარგველაშვილმა მოედანი ერთდროულად მე-60 წუთზე დატოვეს, ნაცარაშვილმა ხუთი წუთით მეტი ითამაშა, ზიბზიბაძე და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**II დივიზიონი**

**XXIV ტური**

ბურგუენი-ექსი 13:19, ბეზიე-ოში 23:6, პერიგოორიაკი 22:15, ოიონაქსი-კარკასონი 13:13, ნარბონი-ლა როშელი 28:22, მონ დე მარსანი-ლა როშელი 28:22, მონ დე მარსანი-პო 27:16, გრენობლი-ტარბი 21:3, ალბი-დაქსი 33:9.

**სტურნირო მდგომარეობა**

1. გრენობლი - 87 ქულა, 2. დაქსი - 70, 3. პო - 68, 4. ლა როშელი - 68, 5. მონ დე მარსანი - 66, 6. ალბი - 61, 7. კარკასონი - 59, 8. ოიონაქსი - 55, 9. ოში - 55, 10. ექსი - 53, 11. ბურგუენი - 48, 12. ტარბი - 48, 13. ორიაკი - 47, 14. ნარბონი - 45, 15. ბეზიე - 32, 16. პერიგო - 31.

**XXV ტური**

ექსი-ალბი, ტარბი-ბურგუენი, ორიაკი-მონ დე მარსანი, გრენობლი-ნარბონი, დაქსი-ოიონაქსი, კარკასონი-პო, ლა როშელი-ოში, პერიგო-ბეზიე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდების მატჩი



დურანტი ბარეას წინააღმდეგ

გასულ უქმეებზე გამორჩეული შეხვედრა გაიმართა ოკლაჰომაში, სადაც "მინესოტა" ჩავიდა სათამაშოდ. "მგლები" აგრძელებენ პლეი ოფისთვის ბრძოლას, მაგრამ **რიკი რუბიოს** მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ამის შანსი მინიმალურია. თუმცა "ვულვზს" ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია, რაც კინაღამ "თანდერთან" მატჩში გააკეთა.

ამ მატჩში ორი ოვერტაიმი იყო, თუმცა "ოკლაჰომას" მეოთხე მეოთხედის ბოლოს რამდენიმე შეცდომა რომ არ დაეშვა, ეს შეხვედრა ბევრით არაფრით იქნებოდა გამორჩეული. სირენამდე ორი წუთით ადრე **უესტბრუკის** სამქულიანით მასპინძლები ხუთი ქულით გავიდნენ წინ. საპასუხოდ, **კევინ ლავმა ბარეას** ნასროლს დაამატა, შემდეგ კი საშუალო დისტანციიდან ჩააგდო **რიდნურმა**.

იქვე არ გაუმართლა უესტბრუკს, რომელმაც საკუთარ თავთან წააგო მოხსნა – მცველს ბურთი ხელიდან გაუვარდა. ამის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ცოტა ხნით. სირენამდე ოთხი წამით ადრე **დურანტმა** სამქულიანი ჩააგდო. მოკლე დროში პასუხმა არ დააყოვნა – ლავმა არ შეიმჩნია უესტბრუკის წინააღმდეგობა და დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ გამხდარა სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული. 116:116 – და ოვერტაიმი.

პირველ ხუთწუთეულში უფრო ახლოს გამარჯვებასთან უკვე სტუმრები იყვნენ. **ტოლივერის** ზედიზედ ხუთი ქულით "მინესოტა" ოვერტაიმის დასრულებამდე 45 წამით ადრე ხუთი ქულით გავიდა წინ. მაგრამ უესტბრუკისა და დურანტის ზუსტი ტყორცნებითა და ლავის გარბენით ანგარიში მალე გათანაბრდა. "მგლებისთვის" გამარჯვების მოტანა შეეძლო ბარეას, მაგრამ ბოლო წამებზე არაზუსტად ისროლა.

მეორე ოვერტაიმში **ადელმანის** შეგირდებს მოგების შანსი აღარ ჰქონდათ – მატჩი მასპინძლების 9:2 გაქცევით დასრულდა.

როგორც ხშირად ხდება, ასეთ მარათონში რამდენიმე რეკორდი დამყარდა. პირადი რეკორდები დაამყარეს ლავმა (51 ქულა და 7 სამქულიანი), ბარეამ (14 შედეგიანი პასი) და უესტბრუკმა (45 ქულა). გარდა ამისა, დურანტმა (40 ქულა) და უესტბრუკმა NBA-ის რეკორდი დაამყარეს – აქამდე ლიგის ისტორიაში თანაგუნდელებს სეზონის ორ მატჩში ერთდროულად არასოდეს გადაულახავთ 40-ქულიანი ზღვარი. 19 თებერვალს "დენვერთან" მატჩში უესტბრუკმა 40, დურანტმა კი 51 ქულა დააგროვა.

ისტორიაში შევიდა ხუან-ხოსე ბარეაც – მან კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა და პირველი სამხრეთამერიკელი გახდა, ვინც NBA-ში ამგვარ წარმატებას მიაღწია. ცნობისთვის, ბოლოს "მინესოტაში" სამმაგი დუბლი შორეულ 2007 წელს **კევინ გარნეტმა** შეასრულა.

**23 მარტი**

**შარლოტი–მილუოკი 92:112**

20:21, 20:31, 28:31, 24:29

შ: ჰენდერსონი (29), ბრაუნი (13), უოკერი (13+7 აჰელთჩ), მაგეტი (10), ტომასი (10+7 მოხსნა).

მ: მბა ა მუტე (20+8 მოხსნა), ილიასოვა (15+8 მოხსნა), დანლივი (15), გუდენი (14+12 მოხსნა), ელისი (13), ჯენინგსი (12).

**ინდიანა–ფინიქსი 111:113**

31:28, 30:26, 18:32, 32:27

ი: გრეინჯერი (28), ჰიბერტი (19+7 მოხსნა+3 დაფარება), ჯორჯი (15), ჰენსბრო (13+7 მოხსნა).

ფ: გორტატი (23+8 მოხსნა), ჰილი (22), ნეში (12+17 პასი), ფრაი (11), რედი (10), დადლი (10).

**ატლანტა–ნიუ ჯერსი 93:84**

21:20, 22:24, 19:25, 31:15

ა: სმიტი (30+12 მოხსნა), ტიგი (17+6 პასი), ჯ. ჯონსონი (16+5 პასი), ჰაინრიხი (14), უილიამსი (11).

ნ-ჯ: დ. უილიამსი (20+8 პასი), ჰემფრიზი (17+8 მოხსნა), მორო (11), გრინი (10).

**ოკლაჰომა–მინესოტა 149:140 (2ო)**

30:29, 33:32, 31:27, 22:28, 13:13, 20:11

ო: უესტბრუკი (45+6 პასი), დურანტი (40+17 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰარდენი (25+6 პასი), პერკინსი (12), კოლისონი (11+3 ჩაჭრა).

მ: ლავი (51+14 მოხსნა), ბარეა (25+14 პასი+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტოლივერი (23+7 მოხსნა), რიდნური (13+8 პასი), უილიამსი (12), ელინგტონი (12).

**სან ანტონიო–დალასი 104:87**

24:21, 28:24, 18:18, 34:24

ს-ა: გრინი (18+6 პასი), დანკანი (15+12 მოხსნა), ბონერი (14+5 პასი), ლეონარდი (12+8 მოხსნა), ჯინობილი (11+7 მოხსნა+7 პასი), ჯექსონი (10+8 მოხსნა).

დ: ტერი (18), ნოვიცკი (16), კიდი (14+7 მოხსნა), მაიონი (11+9 მოხსნა), ბობუა (10+5 პასი).

**იუტა–დენვერი 112:102**

30:32, 33:23, 31:21, 27:26

ი: ჯეფერსონი (23+8 მოხსნა), ჰეივორდი (15+7 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), ბერქსი (15), მილსეპი (14), ჰარისი (13+9 პასი), მაილსი (12), ფეივორსი (12+7 მოხსნა).

დ: ჰარინგტონი (20+10 მოხსნა), ფარიდი (16+8 მოხსნა), აფლალო (14), მილერი (14+6 პასი), ჩენდლერი (13), მაკგი (11).

**ტორონტო–ნიუ იორკი 96:79**

25:16, 14:20, 31:17, 26:26

ტ: დეროზანი (30), ბარნიანი (21+7 მოხსნა), ფორბსი (19), კალდერონი (2+10 პასი).

ნ-ი: სტაუდმაიერი (17), ნოვაკი (15), ენტონი (12+9 მოხსნა), ჩენდლერი (2+11 მოხსნა).

**ორლანდო–კლივლენდი 93:80**

31:20, 24:20, 17:23, 21:17

ო: ანდერსონი (17+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (16+13 მოხსნა), თურქოგლუ (15+7 პასი), ჯ. რიჩარდსონი (11), ნელსონი (10+7 პასი).

კ: ჯეიმისონი (16+9 მოხსნა), ტომპსონი (15+11 მოხსნა), ირვინგი (13+6 პასი), კასპი (11), გი (10).

**დეტროიტი–მაიამი 73:88**

20:27, 16:32, 21:13, 16:16

დ: ნაითი (18), პრინსი (11), გორდონი (10).

მ: უეიდი (24+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (17+10 პასი+4 ჩაჭრა), ბოში (15+9 მოხსნა).

**ფილადელფია–ბოსტონი 99:86**

26:32, 17:17, 37:17, 19:20

ფ: ბრენდი (20+4 ჩაჭრა), უილიამსი (19), ჰოლიდეი (15), იგუოდალა (14+8 პასი), ჰაუსი (12+10 მოხსნა), იანგი (12+9 მოხსნა).

ბ: პირსი (20+9 მოხსნა+5 პასი), გარნეტი (20+8 მოხსნა), ბასი (18), რონდო (6+17 პასი).

**ლეიკერსი–პორტლენდი 103:96**

30:19, 23:29, 18:22, 32:26

ლ: ბინუმი (28+9 მოხსნა), სეშენსი (20+11 პასი), ბრაიანტი (18), უორლდ პისი (14), გასოლი (10+16 მოხსნა+6 პასი).

პ: ოლდრიჯი (29+9 მოხსნა), მეტიუზი (16), ჰიქსონი (14), კროუფორდი (10).

**24 მარტი**

**კლიპერსი–მემფისი 101:85**

33:17, 23:25, 25:19, 20:24

კ: გრიფინი (20+10 მოხსნა+5 პასი), პოლი (19+13 პასი), ფოიე (18), იანგი (16), ბატლერი (12+7 მოხსნა).

მ: რენდოლფი (14+8 მოხსნა), მაიო (13+6 პასი), ალენი (11), გეი (11).

**ნიუ ჯერსი–შარლოტი 102:89**

26:21, 22:21, 33:16, 21:31

ნ-ჯ: ჰემფრიზი (20+16 მოხსნა), დ. უილიამსი (19+14 პასი), უოლასი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრუქსი (11), შ. უილიამსი (10+11 მოხსნა).

მ: მულენსი (17+10 მოხსნა), მაგეტი (13), უოკერი (10+5 პასი), უილიამსი (10).

**ნიუ ორლეანი–სან ანტონიო 86:89**

22:23, 26:24, 24:26, 14:16

ნ-ო: ჯეკი (27+7 მოხსნა+5 პასი), ლენდრი (15), ბელინელი (10), ვასკესი (10+7 პასი), ეიონი (8+13 მოხსნა+5 პასი).

ს-ა: ბლერი (23+7 მოხსნა), ჯექსონი (14), დანკანი (13+7 მოხსნა+3 დაფარება), პარკერი (12+10 პასი).

**ჰიუსტონი–დალასი 99:101 (ო)**

30:26, 24:30, 18:16, 19:19, 8:10

ჰ: დრაგიჩი (24+8 პასი), სკოლა (19+3 დაფარება), დალემბერი (16+7 მოხსნა+3 დაფარება), ლი (15), პარსონსი (12+11 მოხსნა+6 პასი).

დ: ნოვიცკი (31+7 მოხსნა), ტერი (24), რაიტი (14+7 დაფარება), მერიონი (12+15 მოხსნა).

**გ. სტეიტი–საკრამენტო 111:108**

34:24, 28:27, 27:37, 22:20

გ-ს: ტომპსონი (31), ლი (22+14 მოხსნა+9 პასი), რაში (11), რობინსონი (10+8 პასი).

ს: კაზინსი (28+18 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), სალმონსი (17), ტორნტონი (16), ევანსი (16), ტომასი (12+5 პასი).

**ვაშინგტონი–ატლანტა 92:95**

23:23, 29:18, 26:27, 14:27

ვ: ნენე (21+11 მოხსნა+3 დაფარება), კროუფორდი (20), უბილსი (10), ბუკერი (8+14 მოხსნა).

ა: სმიტი (20+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯონსონი (16), უილიამსი (13), ფაჩულია (13), ჰაინრიხი (10+7 მოხსნა).

**ნიუ იორკი–დეტროიტი 101:79**

21:17, 28:20, 27:24, 25:18

ნ-ი: სტაუდმაიერი (17+8 მოხსნა), ენტონი (15), ჩენდლერი (15+17 მოხსნა), სმიტი (14+7 მოხსნა), ლინი (13).

დ: გორდონი (20), მონრო (12).

**ჩიკაგო–ტორონტო 102:101 (ო)**

20:30, 30:25, 21:18, 23:21, 8:7

ჩ: ბუზერი (24+10 მოხსნა), დენგი (23+10 მოხსნა), უოტსონი (23), აშიკი (10+7 მოხსნა).

ტ: ჯ. ჯონსონი (20+8 მოხსნა+4 დაფარება), კალდერონი (20+10 პასი), ბარნიანი (17+7 მოხსნა), ფორბსი (12+13 მოხსნა), ა. ჯონსონი (10+8 მოხსნა).

**მილუოკი–ინდიანა 104:125**

26:29, 22:28, 28:35, 28:33

მ: ილიასოვა (22+8 მოხსნა), დელფინო (13+7 მოხსნა), ჯენინგსი (12+5 პასი), ელისი (11+6 პასი), მბა ა მუტე (9), გუდენი (8+3 დაფარება).

ი: ჰილი (24+5 პასი), ჰიბერტი (16+9 მოხსნა+3 დაფარება), უესტი (15+7 მოხსნა), გრეინჯერი (15+7 მოხსნა), ჯონსი (13).

## ამბები

### ფესენკო ინდიანელია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, უკრაინელი ცენტრი **კირილ ფესენკო** ოფიციალურად გახდა "ინდიანა პეისერსის" წევრი. გარიგების ფინანსური დეტალებისა და კონტრაქტის ხანგრძლივობის შესახებ არაფერს წერენ.

ადრე ფესენკო "იუტა ჯაზის" შემადგენლობაში გამოდიოდა. "ჯაზმენების" რიგებში უკრაინელმა 132 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.3 ქულა და 2.0 მოხსნა დააგროვა.

### ნოჩიონი ესპანეთში დაბრუნდა

32 წლის არგენტინელი ფორვარდი **ანდრეს ნოჩიონი**, რომელიც ცოტა ხნის წინ შემადგენლობიდან დაითხოვა "ფილადელფიამ", ესპანეთში დაბრუნდა და სეზონის ბოლომდე "კახა ლაბორალთან" გააფორმა კონტრაქტი. არგენტინელმა, თავის დროზე, ამ კლუბში ხუთი სეზონი გაატარა და ამის შემდეგ გაემგზავრა NBA-ის დასაპყრობად.

მიმდინარე სეზონში ნოჩიონიმ მხოლოდ 11 შეხვედრა ჩაატარა "ფილადელფიას" შემადგენლობაში და მოკრძალებული 1.5 ქულითა და 1.3 მოხსნით დაეხმარა კლუბს.

### კამანი ჰორნეტსში რჩება

"ნიუ ორლეანის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ გამოისყიდოს 29 წლის ცენტრის **კრის კამანის** კონტრაქტი. შესაბამისად, გერმანელი ვეტერანი სეზონის ბოლომდე "ჰორნეტსში" დარჩება. შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელი "ნიუ ორლეანში" "კლიპერსიდან" ტრეიდის მეშვეობით გადავიდა.

კამანის მიმდინარე ხელშეკრულება ზაფხულამდეა ძალაში, რის შემდეგაც ცენტრი თავისუფალი აგენტი გახდება.

წლევანდელი სეზონის 39 მატჩში კამანის საშუალო სტატისტიკა 13.3 ქულა, 8.1 მოხსნა და 1.7 დაფარებაა.

### დიაო სპურსში გადავიდა

"სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ფორვარდ **ბორის დიაოსთან** კონტრაქტის გაფორმების შესახებ. როგორც იცით, 29 წლის ფრანგი "შარლოტიდან" შუა კვირაში დაითხოვეს.

ამ სეზონში დიაომ 37-ჯერ ჩაიცვა "ბობკეტსის" მაისურა და საშუალოდ 7.4 ქულა, 5.3 მოხსნა და 4.3 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. სულ NBA-ში მის ანგარიშზე 660 მატჩი და საშუალო 9.6 ქულაა.

### უმცროსი რივერსი დრაფტზე გავა

"ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის **დოკ რივერსის** ვაჟი – **ოსტინ რივერსი** მონაწილეობას მიიღებს NBA-ის 2012 წლის დრაფტში.

უმცროსი რივერსი ამჟამად "ბლუ დევისში" თამაშობს და საშუალოდ 15.0 ქულას აგროვებს. ექსპერტები მომავალი დრაფტის სავარაუდო მონაწილეებს შორის ოსტინს მე-18 ადგილზე აყენებენ.

### კლიპერსმა სიმონსი გაიფორმა

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი ფორვარდ **ბობი სიმონსთან**. შეგახსენებთ, რომ კალიფორნიულმა კლუბმა მანამდე ორჯერ დაუდო 31 წლის კალათბურთელს 10-დღიანი ხელშეკრულება.

იმ მოკლე პერიოდში, რაც სიმონსმა "კლიპერსში" გაატარა, ფორვარდმა საშუალოდ 19.5 წუთში 3.5 ქულა, 2.7 მოხსნა და 0.3 შედეგიანი პასი მიითვალა.

### ბოსტონმა პიეტრუსი დაკარგა

"ბოსტონ სელტიქსის" მცველმა **მიკაელ პიეტრუსმა**, შესაძლოა, თავის ტრავმის გამო სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს. ფრანგმა ლეგიონერმა დაზიანება "ფილადელფიასთან" მატჩში მიიღო.

პიეტრუსი ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში მეტოქესთან შეჯახების შემდეგ მოედანზე დაეცა და თავად წამოდგომა ვერ შეძლო. ცოტა ხანში ის უახლოეს სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. ზუსტ დიაგნოზს ექიმები ჯერ არ ასახელებენ. წინასწარი მონაცემებით, "სელტიქსის" კალათბურთელს, რომელიც სასტარტო ხუთეულში ტრავმირებულ **რეი ალენს** ცვლიდა, შიდა ქალას დახურული ტრავმა აქვს.

## კრივი

# ტუამენი წავიდა

ლეგენდარულმა სამოელმა მოკრივემ დევიდ ტუამ აქტიური კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

*"იძულებული ვარ კრივი მივატოვო, - განაცხადა ტუამ. – დიახ, მიყვარს ეს სპორტი და ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. დიდ პატივისცემას ვგრძნობ ჩემი გულშემატკივრების მიმართ, მაგრამ დღეს პროფესიული კრივი მაღალ მოთხოვნებს აყენებს, რომელსაც მე ველარ ვაკმაყოფილებ. კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე. არაფერს ვნანობ".*

ტუა თანამედროვე სუპერმძიმე წონის ერთ-ერთი კაშკაშა წარმომადგენელი იყო. "ტუამენის" მომაკვდინებელი მარცხენა ჰუკი ყველას დიდხანს ემახსოვრება. ტუას დამარცხებული ჰყავს **ჯონ რუისი, ჰასიმ რაჰმანი, ოლეგ მასკაევი**... დევიდი მეტოქეებს არ ინდობდა. ოკეანეთის წარმომადგენელს კარიერაში 43 ნოკაუტი დაუგროვდა.

დევიდი ძალიან მყარად იდგა ფეხზე. მხოლოდ **მონტე ბარეტმა** შეძლო 2011 წლის აგვისტოში სამოელის ნოკდაუნში გაგზავნა. ეს ბრძოლა ბოლო აღმოჩნდა ტუას კარიერაში. მას თავის 20-წლიან კარიერაში პროფესიულ რინგზე ნოკაუტით არასოდეს წაუგია. მოყვარულებში კი ასეთი რამ ერთხელ მოხდა: 1992 წლის ოლიმპიადაზე დევიდმა ლეგენდარული **ფელიქს სავონის** დარტყმებს ვერ გაუძლო.

სულ ტუას ანგარიშზე 4 წაგებაა. ბარეტის გარდა (სამოელმა ამერიკელს კინაღამ მოუგო – მე-12 რაუნდში მონტეს ყბა გაუტეხა), დევიდს მოუგო **აიკუ იბეაბუჩიმ, კრის ბერდმა** და სახელოვანმა **ლენოქს ლუისმა** საჩემპიონო ბრძოლაში.

ტუასა და იბეაბუჩის დაპირისპირებას თამამად შეიძლება ისტორიული ვუწოდოთ. მოწინააღმდეგეებმა ნამდვილი "ჩეხვა" მოაწყვეს, რაც სუპერმძიმე კატეგორიას არასოდეს უნახავს. ჯამში 1700 (!) დარტყმა შესრულდა, რითაც დაემხო "მანილას თრილერის" რეკორდი. 90-იან წლებში იბეაბუჩის ახალ **მაიკ ტაისონს** უწოდებდნენ, მაგრამ მისი კარიერა სავალალოდ დასრულდა. ნიგერიელი გოგონას გაუპატიურების მცდელობისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც დღემდე იმყოფება.

გარეგნულად 110-კილოგრამიანი ტუა დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის კაციჭამიას ჰგავს, მაგრამ დევიდი – შემოქმედებითი ნატურაა. თავისუფალ დროს სამოელი ხატავს, გიტარაზე უკრავს და ლექსებს თხზავს.



დევიდ ტუა

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირები

# კვიტოვას ღრმა კრიზისი

გუშინ, მაიამიში ქალმა ჩოგბურთელებმა მერვედფინალისტების გარკვევა დაიწყეს, წინა დღეს კი მეორე წრე სრულდებოდა და აქ ერთი საინტერესო შეხვედრა ვიხილეთ. იმის გამო, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ვენუს უილიამსი** განთესილებს შორის ვერ მოხვდა, ამერიკელს ადრეულ სტადიაზე მოუწია შეხვედრამ რეიტინგის მესამე ნომერთან **პეტრა კვიტოვასთან.** რაოდენ ცუდ ფორმაშიც არ უნდა იყოს უფროსი უილიამსი, ის ნებისმიერისთვის არასასურველი მეტოქეა. თანაც, კვიტოვას სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა ისიც, რომ ჩეხი ადრეულ ეტაპზე გავარდა ინდიან უელსში.

ორივე ჩოგბურთელს კარგი მოწოდება აქვს, ამიტომაც ბრეიკების მცირე რაოდენობა ვიხილეთ. პირველ სეტში ყველაფერი გადაწყვიტა ბოლოსკენ ჩეხის ერთმა შეცდომამ საკუთარ მოწოდებაზე – ვენუსმა პარტიაში მეექვსე ჯერზე გამოიყენა ბრეიკ-პოინტი. მეორე სეტში პეტრამ მილებაზე უკეთ თამაში დაიწყო, რამაც მას ორი ბრეიკი მოუტანა. ერთი ბრეიკი ამერიკელმა დაიბრუნა, მაგრამ მესამე ჩოგანმა უპირატესობა შეინარჩუნა და საქმე გადამწყვეტ სეტამდე მიიყვანა. იქ კი კვიტოვამ მთლიანად ჩააგდო თამაში, ვენუსმა კი მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა და პარტია "მშრალი" ანგარიშით მოიგო – 6:0. უილიამსმა 2011 წლის ივნისიდან პირველად მოიგო ზედიზედ ორი მატჩი და მესამე წრეში კანადელ **ალექსანდრა ვოზნიაკს** შეხვდება.

რაც შეეხება კვიტოვას, მას სერიოზული კრიზისი აქვს. ავსტრალიის ღია პირველობის დასრულების შემდეგ, მან მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო. თებერვალში დოჰასა და დუბაის დიდი ტურნირებიდან ჩეხი მოიხსნა, მარტი კი მთლიანად ჩააგდო.

ამასობაში, სეზონში მეხუთე ტიტულისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა **ვიქტორია აზარენკამ**, რომელმაც საწყის შეხვედრაში 6:3, 7:5 დაამარცხა **მიხაელა კრაიჩეკი**. მსოფლიოს პირველ ჩოგანს იოლი სტარტი გამოუვიდა ინდიან უელსის ტურნირისგან განსხვავებით, როცა მას გერმანელ **მონა ბარტელთან** შეხვედრაში ორჯერ მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია.

სენსაციად მოინათლა **ვერა ზვონარევას** მარცხი უცნობ ესპანელ **გარბინ მუგურუსა-ბლანკოსთან**. 18 წლის ჩოგბურთელი პირველ ტურნირს ატარებდა WTA-ის დონეზე. პირველი წრე მან **აიუმი მორიტას** უარის ხარჯზე გაიარა, მეორეში კი ტოპ-ათეულის წევრი დაამარცხა. არადა, რუსისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა – ის 4:0 დაწინაურდა. თითქოს საფრთხეს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ ზვონარევამ ზედიზედ რვა გეიმი წააგო. მეორე სეტში რუსმა შეწყვიტა ეს უილბლო სერია, თუმცა უპირატესობის დაბრუნება ვერ შეძლო. საქმე ისაა, რომ თავისი ასაკისთვის შეუფერებლად, ესპანელმა გადამწყვეტ მომენტებში მშვიდად და დამაჯერებლად ითამაშა – 6:4, 6:3.

საერთოდ, ამ დღეს ქალთა ერთეულთა თანრიგში ბევრი განთესილი გამოეთიშა ბრძოლას. ინდიან უელსის ტურნირის ნახევარფინალისტი **ანჟელიკ კერბერი** მაიამიში პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას – მან **ჟიე ჟენგთან** წააგო. **ფრანჩესკა სკიავონე** დაძაბულ მატჩში დამარცხდა **ქსენია პერვაკთან**. განთესილთაგან ასევე შეწყვიტეს ბრძოლა **მონიკა ნიკულესკუმ, კაია კანეპიმ** და **ლუსი საფაროვამ**.



კვიტოვა ვენუს უილიამსს ულოცავს

გუშინ კი, როგორც გითხარით, 1/16 ფინალი დაიწყო და აქაც ერთი დიდი მოულოდნელობა ვიხილეთ. ბელგიურ დერბიში **იანინა ვიკმაიერმა კიმ კლაისტერსი** დაამარცხა. მართალია, კიმს ავსტრალიის ღიას შემდეგ არც ერთი მატჩი არ ჰქონდა ჩატარებული და ფორმიდან ამოვარდნილი ჩანდა, ბევრი ვარაუდობდა, რომ შემდეგ ეტაპზე სწორედ ის გავიდოდა. რთული სათქმელია, რამ გამოიწვია კლაისტერსის მარცხი – ცუდმა სათამაშო ფორმამ, არასაკმარისმა მოტივაციამ თუ ვიკმაიერის კარგმა თამაშმა. მონდომება კი კიმს არ აკლდა, რადგან მეორე სეტში შვიდი მატჩბოლი მოიგერია (ოთხი ტაი-ბრეიკამდე და სამი მე-13 გეიმში). იანინამ მხოლოდ მერვე ცდაზე გაიფორმა გამარჯვება – 6:4, 7:6(5). მეოთხედფინალში გასასვლელად ვიკმაიერი **კაროლინ ვოზნიაცკის** შეხვდება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ორ სეტში დაამარცხა **პეტრა ჩეტკოვსკა** – 6:3, 7:5.

ბეწვის ხიდზე გაიარა **სამანტა სტოსურმა**. აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი **შანელ სხეპერსთან** 2:6, 2:5-ს აგებდა, მაგრამ შემდეგ ავსტრალიელს ფანტასტიკური გარღვევა ჰქონდა – ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და გადამწყვეტ პარტიაში ბრეიკით დაწინაურდა. თავისი მეტოქისგან განსხვავებით, სამანტამ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა. ახლა სტოსური **სერენა უილიამსს** შეხვდება, რომელსაც 2011 წელს აშშ-ის ღია ფინალში აჯობა.

### კაცები

#### II წრე

**დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 6:4, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-სედრიკ-მარსელ შტებე (გერ) 6:3, 6:7, 6:2; **ხუან მონაკო (არგ, 21)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 5:0 უარი; **ენდი როდიკი (აშშ, 31)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 6:3, 6:2; **ჟულიან ბენეტო (საფ, 30)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 3:6, 6:3, 7:6; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 20)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:3, 6:0; **გაელ მონფილსი (საფ, 14)**-სერგეი ბუბკა (უკრ) 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 23)**- იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 7:6; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 27)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 4:6, 6:1, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:2, 7:6; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-სემ კუერი (აშშ) 6:3, 6:7, 6:3; **მერდი ფიში (აშშ, 10)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:3, 7:6; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-დავიდ გოფენი (ბელ) 6:4, 6:2; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 11)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:4, 6:4; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:2, 6:3; **ჟილ სიმონი (საფ, 13)**-რობერტო ბაუტისტა (ესპ) 6:4, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 22)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6, 3:6, 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 9)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 7:5, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ქსავიე მალისე (ბელ) 7:5, 7:5; **ფილიპ კოშრაიბერი (გერ, 32)**-ფედერიკო ჟილი (პორ) 6:2, 7:5; **ფლორიან მაიერი (გერ, 19)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:4, 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 25)**-ტომი ჰაასი (გერ) 7:6, 6:1; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 18)**-ანტონიო ვეიჩი (ხორ) 6:4, 7:5; **მილოშ რაონიჩი (კან, 26)**-არნო კლემანი (საფ) 7:6, 6:2; **ლუკაშ როსოლი (ჩეხ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 24) 2:6, 6:3, 6:1; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:3, 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ, 10)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 2:6, 6:3, 6:4; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 29) 6:2, 4:6, 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ნიკოლა მაუ (საფ) 7:5, 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:2, 6:0.

### ქალები

#### II წრე

**გარმინ მუგურუსა (ესპ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 9) 6:4, 6:3; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 7:6, 6:1; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16)**-ანა ტატიშვილი (საქ) 7:5, 6:1; **სილვია სოლერ-ესპინოსა (ესპ)**-კაია კანეპი (ესტ) 7:5, 6:3; **ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 27) 6:2, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 22)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 7:6, 6:3; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 4:6, 6:3, 6:4; **ანა ივანოვიჩი (რუს, 15)**-ვანია კინგი (აშშ) 6:4, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა, 24)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:4, 2:6, 6:0; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-მედისონ კისი (აშშ) 6:1, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:3, 7:5; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ნადია პეტროვა (რუს, 32) 6:3, 6:2; **ქსენია პერვაკი (ყაზ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 11) 6:4, 4:6, 7:5; **მერიონ ბარტოლი (საფ, 7)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 5:7, 6:2, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 3) 6:4, 4:6, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ეკატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:7, 6:2, 7:6.

#### 1/16 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 10)**-რობერტა ვინჩი (იტა, 21) 6:2, 6:1; **საბინ ლისიცკი (გერ, 12)**-შუაი პენგი (ჩინ, 17) 6:4, 7:5; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-მონა ბარტელი (გერ) 6:2, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 8)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:5, 6:2; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-კიმ კლაისტერსი (ბელ) 6:4, 7:6; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:4, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ, 29) 6:3, 7:5; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 2:6, 7:5, 6:2.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-ფინიქსი | 83:108 |
| მინესოტა-დენვერი | 117:100 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| უნიკახა-ალიკანტე | 72:60 |
| ვალენსია-მურსია | 87:80 |
| ვალიადოლიდი-ბარსელონა | 86:92 (ო) |
| სარაგოსა-მანრესა | 72:71 |
| სევილია-ბილბაო | 108:110 (ო) |
| გრან კანარია-ფუენლაბრადა | 70:65 |
| კახა ლაბორალი-ესტუდიანტ. | 89:74 |
| ლაგუნ არო-რეალი | 98:90 |
| ობრადოირო-ხუვენტუდი | 73:60 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ტრირი-არტლანდი | 51:73 |

**გერმანიის თასი**

| | |
|---|---|
| ბონი-ბრაუნშვაიგი | 77:64 |
| ულმი-ბამბერგი | 96:99 (ო) |
| ბრაუნშვაიგი-ულმი | 68:85 |
| ბონი-ბამბერგი | 73:82 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| სასარი-ბოლონია | 89:55 |
| ბენეტონი-მონტეგრანარო | 95:91 |
| აველინო-ბიელა | 71:70 |
| ვანოლი-მილანი | 77:73 |
| მონფერატო-ვენეცია | 85:90 |
| სკავოლინი-ტერამო | 87:72 |
| კაზერტა-რომა | 80:90 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-პუატიე | 77:85 (ო) |
| ლე მანი-სტრასბური | 83:69 |
| დიჟონი-პარიზი | 74:72 |
| ნანსი-ტულონი | 89:76 |
| პო ორტეზი-ჰავრი | 79:89 |
| შალონი-როანი | 78:83 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| არისი-რეტიმნო | 78:60 |
| იკაროსი-პაოკ | 82:64 |
| დრამასი-მარუსი | 96:58 |
| კოლოსოსი-პერისტერი | 83:53 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ეფესი | 64:69 |
| მერსინი-ერდემი | 98:81 |
| ბადირმა-გალათასარაი | 68:79 |
| ანტალია-ჰაჩეთეფე | 99:80 |
| ტურკ ტელეკომი-ოლინი | 77:69 |
| ბეშიქთაში-ბანვითი | 61:64 |

### ჰოკეი

**NHL**

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ედმონტონი | 3:6 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 1:4 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფურტი-ლინცი | 2:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი-შტრაუბინგი | 1:3 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 1:2 |
| ინგოლშტად.-დიუსელდორფი | 3:2 (ო) |
| აისბარენი-კიოლნი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ჰერნინგი | 1:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 4:6 |
| ვოლერენგა-ლოპენსკოგი | 3:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ზვოლენი | 6:2 |
| სლოვანი-ტრენჩინი | 5:4 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ესეტი-იუვიასკიულა | 1:2 |
| იოკერიტი-ჰიფკ | 3:2 (ო) |
| ბლუზი-კალპა | 0:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 4:3 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 3:5 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 4:2 |
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:1 |
| ბოლესლავი-ლიტვინოვი | 1:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ცუგი | 5:1 |
| ბერნი-ფრიბურგი | 1:2 (ბ) |
| ამბრი-სერვეტი | 2:3 (ბ) |

### ჩოგბურთი

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ბერდიხი-დიმიტროვი | 3:6, 6:2, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-დოლგოპოლ. | 6:4, 5:7, 6:2 |
| სიმონი-მელცერი | 7:6, 6:4 |
| ცონგა-კოლშრაიბერი | 6:4, 7:6 |
| ნიშიკორი-როსოლი | 6:4, 6:2 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| კირილენკო-პერვაკი | 6:2, 6:1 |
| ბარტოლი-ჰალეპი | 6:4, 7:6 |
| ციბულკოვა-ჟენგი | 6:2, 6:0 |
| პენეტა-მუგურუსა | 2:6, 6:1, 6:7 |
| ვ. უილიამსი-ვოზნიაკი | 4:6, 6:4, 7:6 |
| ა. რადვანსკა-სოლერ ესპინოსა | 6:1, 6:2 |
| ივანოვიჩი-ჰანტუხოვა | 6:2, 7:6 |

## TV პროგრამა

### 26 მარტი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-სენტ ეტიენი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ლანუსი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სუპერკოლაჟი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულემი (LIVE).
01:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მაიამი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-იტალია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
19:45 სამთო სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კატანია.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-მაიამი.
01:00 NBA Action.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/16 ფინალი. მაიამი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-მაქაბი.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ეინდჰოვენი-ვალენსია. I მატჩი.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/16 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 23 მარტი

**რეინჯერსი-ბაფალო 1:4**

0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 ტურნბული-1 (ბოიესი-14), 1:1 ბ. ბოილი-7 (ანისიმოვი-20, ტ. ერიქსონი-1), 1:2 სტეფორდი-16 (ენისი-14, ფოლინო-3), 1:3 ენისი-12 (სტეფორდი-28, ფოლინო-4), 1:4 სტეფორდი-17 (ენისი-15).

**კოლამბუსი-კაროლინა 5:1**

1:0, 2:1, 2:0

**გოლები:** 1:0 პროსპალი-13 (ჯ. ჯონსონი-21, ვასარი-8), 2:0 უმბერგერი-12 (ნიკიტინი-19, ბრასარი-21), 2:1 ბოუმენი-6 (სატერი-15, ფოლკი-12), 3:1 უმბერგერი-13 (ბრასარი-22, ნიკიტინი-20), 4:1 უმბერგერი-14 (ბრასარი-23), 5:1 ლეტესტუ-9 (პროსპალი-34, ჯ. ჯონსონი-22).

**მონრეალი-ოტავა 5:1**

4:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ე. კოული-28, 2:0 ე. კოული-29 (სუბანი-27, დეშარნე-40), 3:0 ე. კოული-30 (დეშარნე-41, სუბანი-28), 4:0 ნოკელაინენი-3 (პალუშაი-3, კამპოლი-7), 4:1 სპეცა-30 (მ. მიხალეკი-21, ფილიპსი-14), 5:1 ელერი-16 (პლეკანეცი-33, კამპოლი-8).

**ვაშინგტონი-ვინიპეგი 3:4 (ო)**

1:0, 2:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ჩიმერა-18 (ჰალპერნი-12, სიომინი-29), 2:0 ოვეჩკინი-34 (ლეიჩი-23, ნუბლი-11), 3:0 ოვეჩკინი-35 (მ. პერო-12, ჩიმერა-18), 3:1 მაქსველი-1 (სტეპლტონი-15, მეჩესეკი-4), 3:2 ლიტლი-22 (ენსტრიომი-25, ველერი-43), 3:3 მეჩესეკი-1 (მაქსველი-3), 3:4 სტეპლტონი-10 (ბაფლინი-36).

**ფლორიდა-ედმონტონი 1:2 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 რ. ჯონსი-16 (ებერლე-39, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-29), 1:1 გარისონი-16 (ფლიშმანი-31, ვაისი-36).

**ბულიტები გაიტანეს:** ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმონტონი).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:4 (ბ)**

0:0, 1:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბოჟაკი-16 (შენი-19, ლომბარდი-10), 0:2 კადრი-5 (გარდინერი-21, ჰემილტონი-1), 1:2 ჯოზეფსონი-1 (პონიკაროვსკი-16, ზუბრუსი-24), 1:3 შტეკელი-8 (კრები-11, კონოლი-21), 2:3 პარიზე-29 (სალვადორი-8, კლარკსონი-14), 3:3 ენრიკე-16 (ე. გრინი-15, ლარსონი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), ბოჟაკი (ტორონტო), პარიზე (ნიუ ჯერსი), კონოლი (ტორონტო), კადრი (ტორონტო).

### 24 მარტი

**ოტავა-პიტსბურგი 8:4**

1:2, 4:1, 3:1

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-33 (გრინინგი-18, კუბა-24), 1:1 მ. კუკი-18 (ენგელანდი-13), 1:2 მ. კუკი-19 (კროსბი-20, მარტინი-23), 2:2 გონჩარი-4 (ფოლინო-28, ალფრედსონი-29), 3:2 ფილიპსი-5 (ტარისი-13, ალფრედსონი-30), 4:2 ტარისი-9 (ფოლინო-29, გონჩარი-31), 4:3 კენედი-9 (სალივანი-28, ჯ. სტაალი-20), 5:3 ალფრედსონი-23 (მ. მიხალეკი-22, კოუენი-12), 5:4 კროსბი-3 (ეშემი-10, დუპუი-26), 6:4 სპეცა-31 (მ. მიხალეკი-23), 7:4 ალფრედსონი-24 (ფოლინო-30), 8:4 გრინინგი-17 (ე. კარლსონი-54, სპეცა-47).

**ბაფალო-მინესოტა 3:1**

0:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 0:1 კამპფერი-2 (ბროძიაკი-22, ნ. ჯონსონი-18), 1:1 ვანეკი-24 (ჰოჯსონი-20, ტროპი-4), 2:1 ფოლინო-6 (მიერსი-14, ლეოპოლდი-13), 3:1 ჰოჯსონი-19 (ვანეკი-31).

**ტორონტო-რეინჯერსი 3:4 (ბ)**

1:1, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ფრენსონი-5 (კესელი-41, ბოჟაკი-27), 1:1 გაბორიკი-36 (ტ. ერიქსონი-2, ბ. რიჩარდსი-34), 2:1 კრები-10 (შტეკელი-3, ფანოფი-32), 2:2 დუბინსკი-9 (ჯ. მიტჩელი-11), 2:3 გაბორიკი-37 (ბ. რიჩარდსი-35), 3:3 კონოლი-12 (კრები-12, შტეკელი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** კონოლი (ტორონტო), ბ. რიჩარდსი (რეინჯერსი), კელეპანი (რეინჯერსი).

**დალასი-კალგარი 4:1**

2:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ბენი-23 (ბარიში-12, პარდი-2), 2:0 რაიდერი-33 (რიბეირო-42, ლეჰტონენი-3), 2:1 კამალერი-16 (ბაბჩუკი-7, ჯორდანო-16), 3:1 ბენი-24 (ოტი-26, დელეი-21), 4:1 მოროუ-10.

**ტამპა ბეი-აილენდერსი 4:3**

1:0, 1:2, 2:1

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-51 (პურსელი-38, სან ლუი-42), 2:0 სტემკოსი-52 (სან ლუი-43, პურსელი-39), 2:1 ნილსენი-15 (მოულსონი-30, ტავარესი-43), 2:2 ოკსოპო-16 (ბეილი-11, ნილსენი-23), 2:3 მოულსონი-33 (მტრაიტი-37, ენდრიუ მაკდონალდი-14), 3:3 პიატი-11 (მელოუნი-27, კონოლი-11), 4:3 ულასი-3 (სტემკოსი-35, ლებრი-2).

**ნეშვილი-ვინიპეგი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჰალიშჩუკი-13 (რადულოვი-1, კლაინი-14), 2:0 გ. ბურკი-5 (სპალინგი-10, ა. კოსტიცინი-16), 2:1 სტეპლტონი-11 (მეჩესეკი-5, მაქსველი-4), 3:1 შ. უებერი-15 (ფიშერი-24).

**ლოს ანჯელესი-ბოსტონი 2:4**

0:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 0:1 პ. ბერჟერონი-20 (მარშანი-24), 1:1 ფრეზერი-2 (დაუტი-25, კლიფორდი-7), 1:2 ლუჩიჩი-24 (კრეისი-33, კერონი-7), 1:3 კ. კელი-19 (პულიო-15, როლსტონი-13), 2:3 ვოინოვი-7 (ჯასტინ უილიამსი-35), 2:4 მარშანი-25.

**სან ხოსე-ფინიქსი 4:3 (ბ)**

2:2, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-11 (ბრული-9, ტორესი-10), 1:1 მარლო-28 (ჯ. ტორნტონი-54), 2:1 ბერნსი-11 (პაველსკი-27, ჯ. ტორნტონი-55), 2:2 მორისი-2 (ლენგკოუ-17), 2:3 კორპიკოსკი-17 (რეი უიტნი-48), 3:3 ვინიკი-7 (დეჟარდენი-12, უინგელსი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰანძუში (სან ხოსე), ქლოუ (სან ხოსე).

**ფილადელფია-მონრეალი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტიმონენი-4 (კ. ჟირუ-59), 1:1 პლეკანეცი-15 (ელერი-12, პალუშაი-4), 2:1 ბრიერი-15 (მ. კარლი-32, რიდი-22), 3:1 ბრიერი-16 (იაგრი-31, ბრიზგალოვი-2), 4:1 რიდი-21 (კუტურიე-13, მ. კარლი-33).

**კოლორადო-ვანკუვერი 2:3 (ო)**

1:0, 1:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ლანდესკოგი-22 (ჰეიდუკი-23, დაუნი-27), 2:0 მაკგინი-20 (პ. მჩასტნი-31, ვარლამოვი-1), 2:1 რეიმონდი-10 (სალო-15, ჰ. სედინი-60), 2:2 ჰიგინსი-14 (პალსონი-12, ბიეკსა-33), 2:3 ჰიგინსი-15 (ჰანსენი-20).

**დეტროიტი-კაროლინა 5:4**

0:1, 3:3, 2:0

**გოლები:** 0:1 ტლუსტი-16 (ლაროუზი-13, ე. სტაალი-44), 0:2 ლაროუზი-18 (ე. სტაალი-45, ბ. ალენი-12), 1:2 ზეტერბერგი-20 (ფილპულა-37, ჰუდლერი-23), 1:3 მაკბეინი-8 (ფოლკი-13, ი. იოკინენი-31), 1:4 ტლუსტი-17 (სკინერი-23, ი. იოკინენი-32), 2:4 ზეტერბერგი-21 (ფილპულა-38, ჰუდლერი-24), 3:4 ბერტუცი-14 (ნიკუისტი-6, ლიდსტრიომი-22), 4:4 ჰუდლერი-22 (ბ. სტიუარტი-15, ფილპულა-39), 5:4 დ. მილერი-14 (ქლირი-21).

ფორმულა 1. მალაიზიის გრანპრი

# ბრწყინვალე ალონსო

**ჩემპიონატის მეორე ეტაპზე – მალაიზიის გრანპრიზე ფერნანდო ალონსომ პირველი ადგილი დაიკავა იმ მანქანით, რომელიც დიდი გაჭირვებით გავიდა კვალიფიკაციის ფინალში. გუშინდელი წვიმიანი რბოლის კიდევ ერთი გმირი აღმოჩნდა სერხიო პერესი, რომელმაც კარიერაში პირველი პოდიუმი მოიპოვა...**

## კვალიფიკაცია

ორმა პილოტმა კვალიფიკაციის დროს წინასწარ იცოდა, რომ მეორე დღეს სტარტზე ხუთი პოზიციით დააქვეითებდნენ: **ჰეიკი კოვალაინენი** ("კატერჰემი") და **კიმი რაიკონენი** ("ლოტუსი").

საკვალიფიკაციოს პირველი სეგმენტის მთავარი ანტიგმირი **ჟან-ერიკ ვერნი** ("ტორო როსო") გახდა, რომელიც აუთსაიდერებს შეუერთდა და მეორე სეგმენტში გადასვლა ვერ შეძლო.

კვალიფიკაციის მეორე ნაწილში ლიდერობა თავიდანვე მოიპოვეს "ზაუბერებმა", **პასტორ მალდონადომ** ("უილიამსი") კი კინაღამ ტრასის მიღმა დაასრულა რბოლა. უქმეების დროის რეკორდი რაიკონენმა დაამყარა, რომელმაც ორ "მაკლარენს" გაუსწრო. ყველა ფავორიტი, **ფელიპე მასას** ("ფერარი") გარდა, მესამე სეგმენტში გადავიდა, არადა იყო იმის საშიშროება, რომ "მერსედესები" ვერ შეძლებდნენ ამის გაკეთებას, მაგრამ ამ გუნდის გერმანულმა წყვილმა თავიდან აიცილა ფიასკო. იგივე ითქმის ალონსოზე.

გადამწყვეტ სეგმენტში თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა **ლუის ჰემილტონმა** ("მაკლარენი"), რომელმაც თანაგუნდელ **ჯენსონ ბატონს** ოთხი მეათედით გაუსწრო. კვალიფიკაციის დასრულებამდე ორი წუთით ადრე **მიხაელ შუმახერი** ("მერსედესი") მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა, თუმცა ის მალე ბატონმა ჩამოაქვეითა და გერმანელი მესამე ადგილზე დატოვა. ზედიზედ მეორე ეტაპზე სასტარტო ბილიკის პირველი ხაზი კვლავ "მაკლარენის" პილოტებმა დაიკავეს...

## რბოლა

ავსტრალიის ეტაპისგან განსხვავებით, ამჯერად, ლუის ჰემილტონმა შეინარჩუნა პოული და ჯენსონ ბატონი მეორე პოზიციაზე დატოვა. შემდეგ იყვნენ "რედ ბულის" პილოტები – **მარკ უებერი** უსწრებდა **სებასტიან ფეტელს**, მათ მოჰყვებოდა ფერნანდო ალონსო. მიხაელ შუმახერსა და **რომენ გროსჟანს** ("ლოტუსი") კონტაქტი ჰქონდათ და მათ ერთმანეთს უქმეები გაუფუჭეს.

სტარტთან ერთად წვიმა გაძლიერდა და პირველივე წრეებზე პრაქტიკულად მთელი პელოტონი წვიმის საბურავებისთვის ბოქსებში შევიდა. ამ არეულობაში ჰემილტონმა და ბატონმა შეინარჩუნეს საკუთარი პოზიციები, მესამეზე კი სერხიო პერესი ("ზაუბერი") გადავიდა – მექსიკელმა პირველივე წრეზე მიიღო წვიმის საბურავი. უებერი მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ალონსომ კი ფეტელს მეექვსე პოზიციამდე დაახევინა უკან. მხოლოდ ჟან-ერიკ ვერნმა გაძლო წითელი დროშების აფრიალებამდე – ფრანგი პიტ-სტოპზე არ შევიდა და საშუალედო საბურავებით მეშვიდე ადგილამდე ამაღლდა.

პიტსტოპების შემდეგ თავსხმა წვიმა წამოვიდა და მსაჯებმა რბოლა წითელი დროშებით შეაჩერეს. პილოტები სასტარტო პოზიციებზე დაბრუნდნენ და გამოდარებას დაელოდნენ. რესტარტი დაახლოებით 20 წუთის შემდეგ შედგა და მაშინვე დაიწყო პიტსტოპების მორიგი სერია, რადგან წვიმის საბურავები საშუალედოთი უნდა შეეცვალათ.

პიტსტოპების მეორე რაუნდში წარუმატებლობა ელოდა ლუის ჰემილტონს – მას ბოქსებში რამდენიმე წამი დააკარგვინეს. ბრიტანელი ტრასაზე ალონსოს, პერესისა და ბატონის უკან აღმოჩნდა. თუმცა ჯენსონი მესამე ადგილზე დიდხანს არ დარჩენილა – მან **ნარაიან კართიკეიანის** (HRT) მანქანაზე თავისი ბოლიდის წინა ანტიფრთა დააზიანა და დაუგეგმავი პიტსტოპი დასჭირდა, რის შემდეგაც პირველი ეტაპის გამარჯვებული ქულებისთვის ბრძოლაში აღარ მონაწილეობდა. ჰემილტონმა თანაგუნდელისგან მესამე ადგილი მიიღო და ამ პოზიციაზე დაასრულა რბოლა. ლუისს დიდად არ შეუწუხებია წინ მიმავალი ალონსო და პერესი.

რბოლის ნაწილი, რომელშიც პილოტები საშუალედო საბურავებით მოძრაობდნენ, ბევრისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. საბურავების სწრაფად ცვეთის გამო **ნიკო როსბერგი** ("მერსედესი") და ფელიპე მასა ერთიმეორის მიყოლებით კარგავდნენ პოზიციებს და პირველები წავიდნენ საბურვების მეორე კომპლექტის მისაღებად, არადა, პიტსტოპების მეორე სერიის შემდეგ როსბერგი მეოთხე იყო, მასა – მერვე.

გუნდები ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეწელათ ეს მონაკვეთი, რადგან ტრასა შრებოდა, ამინდის პროგნოზი კი წვიმის განახლებას ვარაუდობდა – იმ მომენტისთვის ისევ საშუალედო საბურავების დაყენებას აზრი არ ჰქონდა, ხოლო "სლიკებზე" გადასვლა და წვიმის შემთხვევაში ერთ ზედმეტ პიტსპოტზე წასვლა არავის სურდა.

პირველმა "მშრალ" საბურავებზე გადასვლა **დანიელ რიკარდომ** გარისკა ფინიშამდე 19 წრით ადრე. ავსტრალიელის ტემპი ლიდერებისაზე რამდენიმე წამით სწრაფი იყო. ეს გახდა სხვა გუნდებისთვის "სლიკებზე" გადასვლის სიგნალი.

იმ მომენტისთვის სერხიო პერესი დამაჯერებლად ეწეოდა ალონსოს და გამარჯვებისთვის საბრძოლველად ემზადებოდა, მაგრამ "ზაუბერის" პილოტი შესატევ პოზიციაზე ვერ გავიდა. შემდეგ კი პერესი რამდენიმე წამით დაშორდა ალონსოს, რისი მიზეზიც მისი გუნდის ტაქტიკური შეცდომა გახდა – "ზაუბერმა" თავის პილოტს ბოქსებში ერთი წრით გვიან უხმო, ვიდრე "ფერარიმ" შეცვალა საბურავები ალონსოს ავტომობილზე.

ტრასაზე პერესი 7-წამიანი ჩამორჩენით დაბრუნდა, მაგრამ ყოველ წრეზე პრაქტიკულად ნამნახევარს უგებდა ესპანელს. ფინიშამდე შვიდი წრით ადრე მექსიკელი მხოლოდ ნახევარი წამით ჩამორჩებოდა ლიდერს, მაგრამ ამ ბრძოლაში სერხიომ შეცდომა დაუშვა და მე-14 მოსახვევიდან ტრასის მიღმა გადავარდა. ბოლიდი არ დაზიანებულა, პილოტს პოზიცია არ დაუკარგავს, მაგრამ ალონსოს დაწევა უკვე შეუძლებელი იყო.

ასე რომ, ალონსომ ბრიტანეთის შარშანდელი გრანპრის შემდეგ პირველი რბოლა მოიგო, სერხიო პერესმა კარიერაში პირველი პოდიუმი მოიპოვა, ლუის ჰემილტონმა კი სამეულში დაიკავა ადგილი – ინგლისელმა ბრწყინვალე კვალიფიკაციის შემდეგ ისევ გაუშვა ხელიდან გამარჯვება. საქმე მხოლოდ პიტსტოპზე შეყოვნებას არ ეხება – დისტანციის დარჩენილ ნაწილში ლუისი ალონსოსა და პერესზე ნელი იყო და ფინიშზე მათთან 14 და 12 წამი წააგო.

მეოთხე ადგილზე დაასრულა რბოლა მარკ უებერმა, რადგან ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე, კართიკეიანმა სებასტიან ფეტელის ბოლიდზე უკანა საბურავი გამოიყვანა მწყობრიდან, რითაც მოქმედ ჩემპიონს თუნდაც ერთი ქულის მოპოვების საშუალება მოუსპო. ხუთეულში შევიდა კიმი რაიკონენი – ფინელი ერთი პირობა უსწრებდა უებერს, მაგრამ პიტსტოპების ფინალურ სერიაში "რედ ბულთან" ერთი პოზიცია დათმო.

**ბრუნო სენამ** ("უილიამსი") მეექვსეზე დაასრულა რბოლა და გააკეთა ის, რაც ერთი კვირის წინ მალდონადომ ვერ შეძლო. სხვათა შორის, ვენესუელელი ამჯერადაც უქულოდ დარჩა – ძრავამ უმტყუნა. ტოპ-ათეულში დარჩენილი ადგილები **პოლ დი რესტამ** ("ფორს ინდია"), ჟან-ერიკ ვერნმა, **ნიკო ჰიულკენბერგმა** ("ფორს ინდია") და მიხაელ შუმახერმა გაინაწილეს.

ორი ეტაპის შემდეგ, საერთო ჩათვლას სათავეში ჩაუდგა ფერნანდო ალონსო. იმ სიტუაციაში, როცა ყველა ერთხმად აკრიტიკებს F2012-ის ტემპს, ესპანელი სასწაულებს ახდენს და მაქსიმუმს იღებს მანქანისგან. ფერნანდოს ხუთი ქულით ჩამორჩება ჰემილტონი, რომელმაც ბატონი ჩამოიტოვა უკან. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ფეტელი გენერალურ კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

## რბოლის შემდეგ

ფინიშზე ეტაპის ტრიუმფატორმა **ფერნანდო ალონსომ** განაცხადა, რომ მალაიზიის გრანპრიზე ტრიუმფი არაფერს ნიშნავს და "ფერარის" ისევ მოუწევს უდიდესი სამუშაოს ჩატარება იმისთვის, რომ რეალურად კონკურენტუნარიანი გახდეს...

*"დღეს დიდი სიურპრიზი გველოდა. მეგონა, რომ თუ ავსტრალიაში არაკონკურენტუნარიანები ვიყავით, აქაც იგივე იქნებოდა, ამიტომაც, უბრალოდ მაქსიმალურად მეტი ქულის აღებას ვგეგმავდი, საბოლოოდ კი 25 ქულა მივიღე – დაუჯერებელი შედეგია!*

*შესანიშნავი მიღწევაა მთელი გუნდისთვის: კარგად გამოვედით საკვალიფიკაციოს ფინალში და დღეს, რთული პირობების მიუხედავად, სიმშვიდეს ვინარჩუნებდით. ვულოცავ გუნდს გამარჯვებას. მათ დაიმსახურეს ეს ტრიუმფი. რთულ პერიოდში ვიმყოფებით, ამიტომაც ეს კვირა დიდი ხანი გვემახსოვრება.*

*სიმართლე ითქვას, ეს გამარჯვება არაფერს ცვლის. დღეს არსებული სიტუაცია არ გვაწყობს, რადგან დიდი ბრძოლა გვჭირდება კვალიფიკაციის ფინალში გასასვლელად და ქულების დასაგროვებლად. გუნდი პოულებისა და გამარჯვებებისკენ ილტვის, მაგრამ პირველ ორ რბოლაში სიჩქარე არ გვყოფნიდა.*

*ჩვენი მიზანი იყო, მინიმუმამდე დაგვეყვანა ქულების დაკარგვა – და საერთოდ არ დავკარგეთ. ჩემპიონატის პირველმა ორმა ეტაპმა კარგი ამბები მოგვიტანა, მაგრამ უკვე ჩინეთის, ბაჰრეინისა და ესპანეთის გრანპრის წინ ბევრ ტექნიკურ სიახლეს მივიღებთ და ბევრი მუშაობა მოგვიწევს",* - განაცხადა ესპანელმა.

*"ვფიქრობ, დღეს გამარჯვება სავსებით რეალური იყო. ცხადია, რომ გუნდმა ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა, როცა ადრეულ პიტსტოპზე გამომიძახა. მხოლოდ მეორე პაუზისას დავკარგეთ დრო, მიუხედავად ამისა, შემდეგ შევძელი ალონსოს დაწევა.*

*მოსახვევში ბოლიდის უკანა ნაწილზე კონტროლი დავკარგე, რამაც პირველი ადგილის შანსი დამაკარგვინა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, დღე ჩვენთვის წარმატებული იყო",* – ასეთი კომენტარი გააკეთა სერხიო პერესმა.

### მალაიზიის გრან-პრი. II ეტაპი

### სეპანგი (56 წრე. 310.408 კმ)

| | |
|---|---|
| 1(8). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 2:44.51,812 |
| 2(9). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +2,263 |
| 3(1). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +14,591 |
| 4(4). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +17,688 |
| 5(10). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +29,456 |
| 6(13). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | +37,667 |
| 7(14). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +44,412 |
| 8(18). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | +46,985 |
| 9(16). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია) | +47,8[illegible] |
| 10(3). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +4[illegible],996 |
| 11(5). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +1.15,527 |
| 12(15). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +1.16,828 |
| 13(7). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.18,593 |
| 14(2). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.19,719 |
| 15(12). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.37,319 |
| 16(19). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | [illegible] წრე |
| 17(20). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | 1 წრე |
| 18(24). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | 1 წრე |
| 19(11). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 2 წრე |
| 20(21). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | 2 წრე |
| 21(23). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 2 წრე |
| 22(22). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 2 წრე |
| 23(17). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 10 წრე |
| 24(6). რომან გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 52 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) – 35 (1 მოგება); 2. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 30; 3. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 25 (1 მოგება); 4. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 24; 5. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 22; 6. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 18; 7. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 16; 8. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) – 8; 9. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 8; 10. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) – 7; 11. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) – 4; 12. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 2; 13. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) – 2; 14. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) – 1.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **მაკლარენი** - 55; 2. **რედ ბული** - 42; 3. **ფერარი** - 35; 4. **ზაუბერი** - 30; 5. **ლოტუსი** - 16; 7. **ფორს ინდია** - 9; 7. **უილიამსი** – 8; 8. **ტორო როსო** – 6; 9. **მერსედესი** - 1.

გია **თვალაბეიშვილი**



ფერნანდო ალონსო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია